საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№082
(12 152)

10 აპრილი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი



საქართველოს ჩემპიონატი

XIX ტური	
ოლიმპი-ბორჯომი	2:0
მერანი-ვიტ ჯორჯია	0:0
ლოკომოტივი-ჩიხურა	0:0
ზესტაფონი-გათუმი	4:0
კახეთი-დინამო	2:3
სიონი-დილა	3:0
ტორპედო-ამერი	0:1

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ოლიმპი	19	15	3	1	45-6	48
2. დინამო	19	15	0	4	39-15	45
3. ზესტაფონი	19	12	6	1	37-6	42
4. ამერი	19	12	4	3	34-12	40
5. ვიტ ჯორჯია	19	11	5	3	38-23	38
6. სიონი	19	10	2	7	25-16	32
7. ტორპედო	19	8	4	7	18-17	28
8. გათუმი	19	6	4	9	19-22	22
9. ბორჯომი	19	5	5	9	17-29	20
10. მერანი	19	4	6	9	14-30	18
11. ლოკომოტივი	19	4	5	10	12-26	17
12. ჩიხურა	19	3	6	10	11-27	15
13. დილა	19	1	3	15	10-48	6
14. კახეთი	19	0	1	18	15-57	1

მომდევნო ტური
16:00. 13 აპრილი, პარასკევი

დინამო-ზესტაფონი
ბორჯომი-ტორპედო
ამერი-სიონი
დილა-კახეთი
გათუმი-ლოკომოტივი
ჩიხურა-მერანი
ვიტ ჯორჯია-ოლიმპი

ტურის მიმოხილვა 2-4

ლომაია დაშავდა, როდემდე?

ძართული ლეგიონის უძმეები 6

ცხოვრების მატჩი: რომა მზადაა

მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები 7

ბრწყინვალე შვიდეული

1-3-1, ბელგრადში ყველამ მედლისთვის იჭიდავა

ირაკლი თავაძე

1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი - ასეთია საქართველოს ნაკრების მონაგარი ძიუდოისტთა ევროპის პირველობაზე. ზედიზედ მეორედ კონტინენტის ჩემპიონი გახდა **ზაზა კედელაშვილი** (66); **დავით ქევხიშვილმა** (73), **ირაკლი ცირეკიძემ** (90) და მძიმეწონოსანმა **ლაშა გუჯეჯიანმა** ვერცხლის მედლები მოიპოვეს, ვეტერანმა **ნესტორ ხერგიანმა** (60) - ბრინჯაო. უმედლოდ მხოლოდ გუნდის დებიუტანტები დარჩნენ, მაგრამ თავი არც მათ შეურცხვენიათ - **გიორგი ბაინდურაშვილი** (81) - მეშვიდე იყო, **ლომერ ჟორჟოლიანი** (100) - მეხუთე. მედლების ამხელა კოლექცია ჩვენებმა ბოლოს 2001 წელს მოიპოვეს, თუმცა მაშინდელი მონაგარი ვერცხლი და 4 ბრინჯაო იყო.



ლაშა გუჯეჯიანის კისრული ფინალში, მომავალ ჩემპიონ ტედი რინერთან

მედალს ყველასგან ველოდები, მაგრამ ვიცი, ყველა ვერ მოიპოვებსო, გვითხრა ნაკრების თავკაცმა **შოთა ხაბარელმა** ბელგრადში გაფრენამდე. მართლაც, იშვიათად, რომ მთელი გუნდი ასე თანაბრად ძლიერად მოემზადოს ტურნირისთვის - ჩავარდნა არც ერთ ნონაში არ გვქონდა.

7 კაცში 5 მედალი და მთელი გუნდით საპატიო შვიდეულში - ასეთ შედეგს ნებისმიერი გუნდი წინასწარ დიდი სიამოვნებით მოაწერდა ხელს. თანაც, საქართველოს ნაკრები ერთადერთია, რომლის ყველა წევრიც შვიდეულში მოხვდა ანუ ყველამ მედლისთვის იბრძოლა. თანაც, კაცთა ტურნირში მედლების რაოდენობით ყველას ვაჯობეთ. ერთადერთი. ხარისხობრივად ჩამოვრჩით რუსებს, რომლებმაც ორი ოქრო მოიპოვეს. არადა, ბელგრადში სამი ფინალი ნავაგეთ დასანანად. ერთიც რომ მოგვეგო, ყველა პარამეტრით პირველები ვიქნებოდით.

წარმატება თვალსაჩინოა, თუმცა ეს ტურნირი უკვე წარსულია, წინ კი მსოფლიო ჩემპიონატია, სეზონის უმთავრესი შეჯიბრება, სადაც ოლიმპიადის ლიცენზიებიც გაიცემა. იმედია, ამ წარმატებით გუნდი ეიფორიაში არ ჩავარდება და მზადებას ასეთივე წარმატებით გააგრძელებს.

13

ჩვენი ბრალი არ არის, ღმერთო!

სუსტი უნდა გაანადგურო, მეტი რა გზაა?

European Nations Cup
Championnat Européen des Nations

შაბათს, ეროვნულზე. საქართველო-ჩეხეთი 98:3. ირაკლი გიორგაძის ლელო

12

ნუგზარ სუარიძის ფოტო

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი XVII

უმაღლესი ლიგა. XIX ტური

კახეთი-დინამო

2:3

7.04.07. თელავი. გ. ჩოხელი.
600 მაყურებელი

1:0 მ. ხიდაშელი (32), 1:1 ს. იაშვილი (61), 1:2 ს. იაშვილი (65. დიღმელაშვილის პასით), 1:3 ს. იაშვილი (66. ფეიქრიშაილის პასით), 2:3 ტეტიაშვილი (72)

იაშვილმა ვერ გამოიყენა პენალტი (23. მეკარე)

კახეთი: გ. იაშვილი, მ. ხიდაშელი, გიგაური (37. იოსებაშვილი), მურველაშვილი, ღოლაძე, კუპრაშვილი, ბიძინაშვილი, გ. ხიდაშელი, დავითულიანი (46. ჩუთლაშვილი), მაჩაიძე (58. მედოევი), ტეტიაშვილი.

სათადარიგოები: ქუფარაშვილი, ბიბილაშვილი.

დინამო: გრიშიკაშვილი, კაშია, კრშკო, ზელიჩი, შაშიაშვილი, დიღმელაშვილი, ხმალაძე (56. მერებაშვილი), ოდიკაძე (52. ფეიქრიშვილი), ხუციშვილი (81. ნოზაძე), კობახიძე, ს. იაშვილი.

სათადარიგოები: ლორია, თომაშვილი, კაშია, სპასოვიჩი.

არბიტრი: ა. ნონიკაშვილი.

იაშვილი იაშვილის წინააღმდეგ

სპონსორები გამოჩნდნენ, მაგრამ... ჯერ მხოლოდ სიზმარში

სანდრო იაშვილმა თავის ძმას სამი გოლი გაუტანა

მესიზმრა: კახეთის ღვინის მარანქარხნების ნაწარმს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ბაზრები აეთვისებინა, მათი წარმომადგენლები კი საფეხბურთო კლუბ "კახეთის" ოფისთან რიგში ჩამდგარიყვნენ - ზოგი გენერალური სპონსორის და ზოგიც რიგითი დამფინანსებლის სტატუსით. მშობლიურ ქალაქს მობრუნებოდნენ **ალეკო ამისულაშვილი**, დინამოელები - **სოსო გრიშიკაშვილი** და **სანდრო იაშვილი**, ვიტჯორჯიელი **ნიკა გელაშვილი**... ერთიორიც სხვა დაეშატებინათ და ამ შემადგენლობით უმოწყალოდ უსწორდებოდნენ ტიტულოვან დინამოელებს...

ცხადში კი ასე იყო: დინამოელები მატჩამდე ერთი საათით ადრე გამოჩნდნენ მინდორზე და ზანტი მოთელვებით შეუდგნენ საქმეს. დინჯმა კახელებმა კი 25 წუთით გვიან "იკადრეს" გამოსვლა და მადიანად დაიწყეს გახურება. გამახსენდა ამ გუნდების წინა სეზონის შეხვედრაც - მაშინდელი 6 ათასი გულშემატკივარი ამჯერად ათჯერ შემცირებული მეჩვენა...

სტუმარმა აქცენტი სწრაფ გოლზე გააკეთა. უტევდა ჰაერიდან, ცენტრიდან, ფლანგებიდან... ერთი სიტყვით, "დინამო" დინამიურად ირჯებოდა და მისმა ხარისხმაც აიწია - ხუმრობა ხომ არ იყო, "კახეთი" ჩემპიონობის პრეტენტექნიკისა თუ კლასის დემონსტრირებას ახდენდა. მაყურებელი კი ხალისობდა, რადგან საამისო საფუძველი ჰქონდა. შეხვედრამ ინტრიგა 60 წუთი შეინარჩუნა და ამ დროის მეორე ნახევარში დენტს ამარცხებდა. სათამაშო დროის ორ მესამედში კახელები უძლებდნენ მასზე ყველაფრით ძლიერ მეტოქეს. სათაურად წამძღვარებული კი ზედმეტად არ მოგეჩვენოთ - **სანდრო** და **გიგა იაშვილები** დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს და ეს დუელი სანახავად ერთ რამედაც ღირდა. **ხმალაძემ, კობახიძემ** და **დიღმელაშვილმა** სტარტზევე შეამზადეს თელაველთა კარის დარაჯი, მაგრამ პირველად, და თანაც სერიოზულად, მაინც სანდრომ გაიმეტა, როცა 20 მეტრიდან ძლიერად გაისროლა. ძმის დარტყმულს გიგამ აკრობატული ნახტომით ლაზათი დაადევნა. ერთ წუთში სანდრომ გემრიელი პასი გაუკეთა **ხუციშვილს**, რომლის დარტყმული თელაველთა მეკარემ და კარის მარცხენა ძელმა ერთობლივი ძალებით მოიგერიეს. მე-20 წუთზე, სანდრო მკერდზე მიღებული ბურთიანად 180 გრადუსით შემოტრიალდა კარისკენ და გამოზომილი პასით **ოდიკაძე** დატოვა მეკარესთან პირისპირ... ორ წუთში **დიღმელაშვილი-იაშვილის** "კედელს" **გიგაური** გადაეღობა და სასჯელად პენალტიც მიიღო. სანდრომ ბურთი უკიდურესი კუთხეში დაარტყა მისცა, მაგრამ... გიგა კვლავ ჯიბრზე იდგა - 0:0. ამის შემდეგ, ფორვარდმა იაშვილმა ოთხჯერ, ხოლო ხუციშვილმა ორჯერ, კვლავ მისცეს გიგას თავის გამოჩენის შანსი...

ამ დროს კი, გოლი მეორე კარში გავიდა: **ბიძინაშვილმა** მეკარის საჯარიმოს კუთხესთან ორი დინამოელი გააცურა და **მერაბ ხიდაშელს** გაატანინა. საოცრება კი ის იყო, თუ როგორ გაიპარა მასპინძელთა მარჯვენა მცველი იმ იშვიათი კონტრშეტევის დაბოლოვებისას, მანამდე უქმად მდგარი **გრიშიკაშვილის** სიახლოვეს...

მეორე ნახევარი "დინამომ" იმავე სტილითა და ტემპით დაიწყო, როგორიც პირველი. შესაცვლელიც არაფერი იყო, საქმეს მხოლოდ გოლი სჭირდებოდა. კახელებმა კიდევ 15 წუთი შეინახეს საკუთარი კარი მშრალად და მეტოქის დამრიგებელს პრესკონფერენციაზე ეს ათქმევინეს - ეს გუნდი ბოლო ადგილზე როგორ არისო?! საკვირველებას კი დიდი დრო აღარ ეწერა. სანდრო იაშვილმა, ხუთწუთიან მონაკვეთში, ერთი-მეორეზე უკეთესი სამი გოლი შეაგდო და სამივე თავით. დიღმელაშვილი, ხუციშვილი და **ფეიქრიშვილი** ინტენსიურად ტვირთავდნენ "ჰეთ-თრიკის" ავტორს. "კახეთის" ქომაგები დუმილ-ღიმილით ხვდებოდნენ სანდროს გოლებს. დუმილი გასაგებია, ღიმილით კი, სანდრო იაშვილის, მათი "ჯილა" ფეხბურთელის სანაკრებო მზაობით კმაყოფილებას აღნიშნავდნენ. მაყურებელმა 72-ე წუთზეც გაიხარა. კარისკენ დაძრულ **ტეტიაშვილს კრკშო, ზელიჩი** და **შაშიაშვილი** პოზიციურად დაუდგნენ - აბა, რას იზამო. ლუკამ ხვრელი მაინც შენიშნა, მარჯვენა ფეხი გაშალა და 20 მეტრიდან ისეთი ძელ-გოლი შეაგდო, "დინამოს" გრიშიკაშვილის თავგანწირულმა ნახტომმაც ვერ უშველა. ასე იყო ეს საქმე...

ნიკო ვაყელიშვილი
თელავიდან

ტორპედო-ამერი

0:1

7.04.07. ქუთაისი. ცენტრალური
1 000 მაყურებელი

0:1 წინამძღვრიშვილი (44)

ტორპედო: ქვილითაია, ბარაბაძე, ლაღაძე, გურული, ხურცილავა, ზ.ჩხეტიანი, ზივზივაძე, ა.კვერნაძე (46. იმედაძე), ნადირაძე (46. ჭედია), ქუთათელაძე (63. დანელია), ჯანაშია

სათადარიგოები: ოდიშარია, კირკიტაძე, ლონღაძე, გორგოძე

ამერი: ქვაჩახია — ელბაქიძე, დავითნიძე, მჭედლიშვილი, დიდავა, ჩიკვილაძე, ბოლქვაძე, მესხი (25. დეკანოსიძე), დოლიძე — დავითაშვილი (83. ჩიმაკაძე), წინამძღვრიშვილი (75. ტატანაშვილი)

სათადარიგოები: ნადირაშვილი, გვაძაბია, გაბისკირია, კაკაშვილი

გაფრთხილება: ზივზივაძე (51)

არბიტრი: მ. მაისურაძე

იმერ-ამერული კანონზომიერება

ერთადერთი გოლი რატი წინამძღვრიშვილმა (წინა პლანზე) გაიტანა

მამუკა კაკაურიძის ფოტო

ქუთაისის „ტორპედოს" გასაჭირის შესახებ ყველას კარგად მოგეხსენებათ, ქუთათურები ჩემპიონატს ინერციით აგრძელებენ და მოედანზე მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნით გადიან. მართალია, გორული მატჩისგან განსხვავებით, მასპინძლებმა ამჯერად ოპტიმალურ შემადგენლობას მოუყარეს თავი, მაგრამ სათანადოდ მოუმზადებელ გუნდს „ბორჯომთან" დამარცხების გამო, მოტივაციაგაზრდილ „ამერთან" რომ გაუჭირდებოდა, თავიდანვე ნათელი იყო.

შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმრების უპირატესობით დაიწყო და ასევე წარიმართა. თბილისელებს დებიუტშივე შეეძლოთ დაწინაურება, მე-2 წუთზე **ელბაქიძის** პასის შემდეგ **წინამძღვრიშვილი** ურტყამდა ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ სამიოდე მეტრიდან კარში ვერ მოახვედრა. „ტორპედომ" **ჩხეტიანის** სუსტი დარტყმით უპასუხა, რომლის დამორჩილებაც **ქვაჩახიას** არ გასჭირვებია. ტაიმის ბოლო 15 წუთში „ამერმა" მეტოქეზე დაწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და ერთმანეთის მიყოლებით რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა, რამაც საბოლოოდ შედეგიც გამოიღო. 30-ე წუთზე რატი წინამძღვრიშვილმა საჯარიმოდან ძლიერად დაარტყა, ბურთი კედელში მყოფ ერთ-ერთ ტორპედოელს მოხვდა და კარისაკენ რიკოშეტით წავიდა, **ქვილითაიამ** მოახერხა და ბურთს თითები წაარტყა, რის შემდეგაც ის ძელს მოხვდა. გამოვარდნილ ბურთთან პირველი **ბოლქვაძე** გაჩნდა. ხელს არავინ უშლიდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ისევ ქვილითაიამ იყოჩაღა და საკუთარი გუნდი იხსნა. 42-წუთზე ქვილითაიამ ბოლქვაძის სახიფათო დარტყმა მოიგერია. ტაიმის ბოლოს ქუთაისელთა კართან შტურმი შეწყდა, თითქოს პირველი ნახევარიც 0:0 უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მასპინძლებმა სწორედ მაშინ გაუშვეს ბურთი, როცა ამას ყველაზე ნაკლებად ელოდნენ. ქუთაისელთა მორიგი უშედეგო შეტევის შემდეგ ბურთი თბილისელებმა ჩაიგდეს ხელთ. **დოლიძის** ძლიერი დარტყმა ქვილითაიამ მოიგერია, მაგრამ დამაებაზე ყველას წინამძღვრიშვილმა დაასწრო და გახსნა ანგარიში - 0:1.

მეორე ნახევარში „ტორპედო" ანგარიშის გათანაბრებას შეეცადა. **მიხეილ კვერნაძემ** მოედანზე სამი თავდამსხმელი **იმედაძე, ჭედია** და **დანელია** გამოიყვანა, მაგრამ ქუთაისელთა შეტევებს სიმწვავე არ მომატებია, რაც „ამერის" უკანახაზელების საიმედო თამაშის დამსახურებაა. „ტორპედოს" მთელი მატჩის განმავლობაში რეალური საგოლე მომენტი არ ჰქონია. ეგ კი არა, **ზურაბ ქვაჩახიას** ბურთის მოსაგერიებლად მხოლოდ ერთადერთხელ მოუხდა გადახტომა. სტუმრებს მეორე ტაიმში ანგარიშის გაზრდაც შეეძლოთ, მაგრამ ორჯერ **ჩიკვილაძეს**, ერთხელ კი შეცვლაზე შემოსულ **ტატანაშვილს** გაუცუდდათ მომენტები და ანგარიშიც აღარ შეცვლილა.

დავით კოხრეიძე
ქუთაისიდან

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

რუსთავულო ქარო...

ოლიმპი-ბორჯომი

2:0

7.04.07. რუსთავი. ფოლადი.
3000 მაყურებელი

1:0 აფციაური (67), 2:0 ხუბუა (88)

ოლიმპი: მერლანი, მახვილაძე, ჭიჭვეიშვილი, გ. ონიანი, სეთურიძე (84. ბერუაშვილი), ძამსაშვილი, ქებაძე, აფციაური, ნავალოვსკი, გეწაძე (74. ხუბუა), კახელიშვილი (46. გოცირიძე).

სათადარიგოში: ალავიძე, ჩხარტიშვილი.

ბორჯომი: კოდალაევი, ქარქოზაშვილი, ლ. მერებაშვილი, ნადირაშვილი (14. რ. კვერნაძე), თ. ლონღლაძე, მემარნიშვილი, გრიგალაშვილი, კოშკაძე, კაიდარაშვილი, შ. ჯიქია, კაკალაძე (85. საყვარელიძე).

სათადარიგოში: შეყრილაძე, გოგიჩაიშვილი, თედიაშვილი, ნ. ლომიძე.

გაფრთხილება: კაიდარაშვილი (31), კოდალაევი (57).

მრბენტრი: მ. ბეუქლიშვილი

XVIII ტურში "ბორჯომმა" შინ "ამერის" მინიმალური ძლევით სენსაცია შემოგვთავაზა. ამ მატჩის შემდეგ, "ოლიმპის" მდევრებს იმედი გაუჩნდათ, რომ **ვლადიმერ ხაჩიძის** გუნდი **რევაზ ძოძუაშვილის** კრებულს სამს თუ არა, ორ ქულას მაინც დააკარგვინებდა. სხვათა შორის, მართლაც იყო შანსი, რომ რუსთაველ შეხვედრას უგოლო დასასრული ჰქონოდა. ეს კი, მეტწილად, სტუმართა მეკარე **ბესიკ კოდალაევის** დამსახურებას მიენერებოდა... თუმცა, მასპინძელთა ძალისხმევამ შედეგი მაინც მოიტანა, მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოიტანა.

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, რთული ბურთების აღება-მოგერიების შემდეგ, კოდალაევის კარში "ბრმა" გოლები გავიდა. დავამატოთ, რომ ეს გოლები, გარკვეულწილად, ძლიერი ქარის დამსახურებაც იყო. მატჩისშემდგომი პრესკონფერენციისას ბუნების ფაქტორზე მწვრთნელებმაც მიანიშნეს. თამაში კი მთლიანად რუსთაველთა კარნახით მიმდინარეობდა. ძოძუაშვილის ბიჭებმა არაერთი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ აკი გითხარით, კოდალაევის საიმედო თამაშის გამო, ბურთის გატანა დაუგვიანდათ...

მოდით, მივყვეთ თანმიმდევრობით. თავიდანვე ვთქვათ, რომ ძოძუაშვილი, რომელიც კონტრშეტევითი ფეხბურთის მიმდევრადაა ცნობილი, ამჯერადაც ორი ფორვარდით დაუპირისპირდა მეტოქეს. ბორჯომელებმა კი მხოლოდ **კაკალაძე** გაამწესეს წინ, რომლის მომარაგებას **გრიგალაშვილი, კაიდარაშვილი, კოშკაძე** და **ჯიქია** ცდილობდნენ.

მატჩი სწრაფ ტემპში დაიწყო და მეტოქეებმა ეგრევე თითო დარტყმა "გაცვალეს". თუმცა, **გეწაძისა** და გრიგალაშვილის გასროლას შედეგი არ მოჰყოლია, მერე, ამას **კოშკაძის** დარტყმა და **სეთურიძის** ფლანგური გარღვევაც დაემატა. 35-ე წუთზე, **კახელიშვილმა** სახიფათოდ დაჰკრა, მაგრამ კოდალაევი კვლავ მოწოდების სიმაღლეზე იყო. ტაიმის შუანელიდან მოყოლებული, მასპინძლებს უკვე საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. თუმცა სტუმართა მეკარე და დაცვა შეტევებს ღირსეულად უმკლავდებოდნენ.

ცხადია, ოლიმპელთა დაწოლამ მეორე ნახევარში უფრო მოიმატა. ძოძუაშვილი მიხვდა, რომ შემტევი პოტენციალის გაძლიერება იყო საჭირო და არ დაახანა: ჯერ **გოცირიძე** ჩართო თამაშში, მერე კი გუნდი **ხუბუათი** და **ბერუაშვილით** გააძლიერა. გოცირიძის გამოჩენით, ბორჯომელთა დაცვას მართლაც მოემატა პრობლემები. **აფციაური** და გეწაძეც უფრო გააქტიურდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს **ნავალოვსკიც**, რომელიც წინ და უკან ფუტკარივით შრომობდა. თამაშის ამ მონაკვეთიდან, აღსანიშნავია **ძამსაშვილის** შორეული და ძლიერი დარტყმაც. მეორე ნახევრის შუიდან გოლი მომწიფდა და ანგარიში, როგორც ზემოთ ვთქვით, "ბრმა" გოლით გაიხსნა. 67-ე წუთზე, აფციაურმა მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაანოდა, ქარის გამო ბურთმა ტრაექტორია იცვალა და... კოდალაევის კარში აღმოჩნდა.

რუსთაველები ერთ გოლს არ დასჯერდნენ და იერიშები გააგრძელეს. 70-ე წუთზე, გააქტიურებული აფციაურის ოსტატური დარტყმა კოდალაევმა კუთხურზე მოიგერია. უნდა აღინიშნოს, რომ ბორჯომელებიც არ იყვნენ უქმად. ისინი დაცვაში გამაგრდნენ და მეტოქეს კონტრშეტევებით უქმნიდნენ პრობლემებს. ერთ ეპიზოდში, მათ "ოლიმპს" მცირე შტურმიც მოუწყვეს, მაგრამ კაკალაძისა და კაიდარაშვილის დარტყმებს შედეგი არ მოჰყოლია. შეცვლაზე შესულმა ხუბუამ კი, 88-ე წუთზე, მარჯვენა ფრთაზე სოლო-რეიდი საგოლე დარტყმით დაასრულა - 2:0. დარჩენილ დროში აღარაფერი შეცვლილა და 3 ქულით, "ოლიმპმა" ოქროსკენ სავალ გზაზე მორიგი ნაბიჯი გადადგა.

მატჩის შემდეგ

ვლადიმერ ხაჩიძე (**ბორჯომის მწვრთნელი**): - აუტსაიდერები ვართ და ლიდერს ვეთამაშებოდით. ამას გარდა, მოედანიც ცუდ მდგომარეობაში იყო. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კიდევ კარგად ვითამაშეთ. თუმცა ფეხბურთი ასეთია, ძლიერმა მოიგო... წინა ტურში "ამერს" რომ მოვუგეთ, დაწერეს - "ბორჯომი" სხვა გუნდებისთვის თამაშობსო. რომ წაგვეგო, რას იტყოდნენ - სხვებმა დაინტერესესო? "ბორჯომი" მხოლოდ საკუთარი მიზნებისთვის თამაშობს... სანაკრებო ფეხბურთელები? ეროვნული ჩემპიონატში მართლაც არიან მოთამაშეები, რომელთა ნაკრებში გამოცდა შეიძლება. როცა ნაკრებში ფეხბურთელს ამა თუ იმ კლუბიდან იწვევ, იმ კლუბის მწვრთნელს მოთამაშეზე რაღაც მაინც უნდა ჰკითხო. ასეთ მოედნებზე ძნელია, ფეხბურთელის ძალაზე დასკვნის გაკეთება. ნებისმიერი ძლიერი ნაკრები გამოიყვანე, ამ მოედანზე ათამაშე და 3-4 კაცს თუ გამოარჩევ. ასე რომ, დროა, მივხედოთ მოედნებს. მსაჯობაზეც მინდა ვთქვა. ამ მხრივ, დღეს ჩინებულად იყო საქმე. უნდა აღვნიშნო, რომ არავიზე ნაკლები მსაჯები არ გვყავს.

რევაზ ძოძუაშვილი (**ოლიმპის მწვრთნელი**): - სასიხარულოა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში დაძაბული და საინტერესო თამაშები მომრავლდა. თუნდაც დღევანდელი მატჩი ავიღოთ. ბრძოლაც იყო, ტაქტიკა-სტრატეგიაც ჩანდა, შეტევაც, კონტრშეტევაც და თითქმის ყველა საფეხბურთო ნიუანსიც... კოლეგას ვეთანხმები, ეროვნულ ჩემპიონატში არაერთი გამორჩეული ფეხბურთელია. შევკრათ მათგან გუნდი და ვითამაშოთ ეროვნულ, ანდაც 21-წლამდელთა ნაკრებთან. მსაჯებზეც ვიტყვი. აღალად ვამბობ და ბევრი დამეთანხმება, რომ ჩვენთან მსაჯობის დონე ეროვნულ ჩემპიონატზე მაღალი დონისაა.

დავით ცაბაძე
რუსთავი-თბილისი

უტევს ზესტაფონის გაბონელი ახალწვეული კესანი — მამუკა კაკაურიძის ფოტო

რეპეტიცია დასკვნებისთვის

ზესტაფონი-ბათუმი

4:0

7.04.07. ზესტაფონი. ცენტრალური.
5000 მაყურებელი

1:0 ლონღლაძე (3. ვიეირას პასით), 2:0 ნ. კვასხვაძე (22. გ. ჩხეტიანის პასით), 3:0 ფიფია (60. პენ), 4:0 ნ. კვასხვაძე (64. ფიფიას პასით)

ზესტაფონი: ჭანტურია, თოდუა, ლონღლაძე, საჯაია, კ. ჩხეტიანი, ჟონატასი, ვიეირა (68. იონანიძე), ბ. ნოზაძე, ნ. კვასხვაძე, ფიფია (68. ლეანდრო), გ. ჩხეტიანი (46. კესანი).

სათადარიგოში: რ. კვასხვაძე, სანტოსი, ხიდეშელი, გ. ჭელიძე.

ბათუმი: სომხიშვილი, თედორაძე, გალოგრე (32. ფარტენაძე), ლობჟანიძე, ხოხონიშვილი, კუნჭულია (53. ტულუში), ნერგაძე, ცანავა, დარჩიძე, შალამბერიძე, ვ. კვარაცხელია (68. კერესელიძე).

სათადარიგოში: ბექთაშვილი, დუმბაძე, ბაჯელიძე, ბეჟანიძე.

გაფრთხილება: კუნჭულია (12), ცანავა (60), დარჩიძე (67).

მრბენტრი: გ. კიკაჩეიშვილი.

ამ წელს "ბათუმი" მშვენივრად თამაშობს. აქედან გამომდინარე, ზემო იმერეთში ყველა დაძაბულ ჯახს ელოდა, თუმცა მასპინძლებმა სტუმრებს შანსი არ დაუტოვეს და ზღვისპირეთში დიდი ანგარიშით დამარცხებულები გაუშვეს. შეიძლება ითქვას, რომ ორივე გუნდი საბრძოლო შემადგენლობით იყო. პირველივე წუთებიდან თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე გაჩაღდა. "ზესტაფონს" ბედმა დებიუტშივე გაუღიმა. მე-3 წუთზე, **ვიერამ** ჯარიმა ჩააწოდა, ბათუმელი მცველები წამიერად შეყოვნდნენ, რითაც კარგად ისარგებლა საჯარიმოში ჩასულმა **ლონღლაძემ** და **სომხიშვილს** დაბალ კუთხეში ბურთი ნახტომით გაუტანა - 1:0. **თემურ მახარაძის** შეგირდებმა მეტოქეზე დაწოლა გააგრძელეს. გუნდის კაპიტანმა **კახა ჩხეტიანმა** ეფექტური ჯარიმა შეასრულა, მაგრამ ამჯერად, ბურთი მეკარის ნადავლი გახდა. 22-ე წუთზე, ბათუმელთა კართან მორიგი შეტევა განხორციელდა. **გაგა ჩხეტიანი** და **კვასხვაძე** კომბინაციას ერთი შეხებით ათამაშებენ. კვასხვაძე პირისპირ რჩება მეკარესთან და მარჯვენა დაბალ კუთხეში ურტყამს. ბურთი ძელს ხვდება და ბადეში ფართხალებს - 2:0.

იგრძნო რა ნაგების საფრთხე, სტუმარი ამოძრავდა და ტაიმის ბოლოს ორჯერ რეალური შანსიც მიეცა. ჯერ **კვარაცხელია** ურტყამს ხელსაყრელი პოზიციიდან და ოდნავ აცილებს, მერე კი მას **კუნჭულია** "ბაძავს" და დაახლოებით პენალტის ნიშნულიდან ისიც უზუსტოდ ურტყამს.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსი სცენარით წარიმართა. მასპინძლები უნარიანად აკონტროლებდნენ მოედნის ცენტრს და სწრაფი გადაადგილებების ხარჯზე სახიფათოდ უტევდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ გულხელდაკრეფილი არც სტუმრები გახლდნენ, თუმცა მათ შეტევებს აშკარად სიმწვავე აკლდა. 53-ე წუთზე, ზესტაფონელთა კაპიტანმა ჩხეტიანმა კიდევ ერთხელ გაისწორა სამიზნე და მძლავრადაც დაჰკრა, მაგრამ სომხიშვილმა ბურთი აკრობატულ ნახტომში მოიგერია. მალე, ამას მოჰყვა **თოდუა-კვასხვაძის** ერთამოსუნთქვიანი კომბინაცია, რომელიც ოდნავ უზუსტო დარტყმით დასრულდა. ცოტა ხანში კი მასპინძელთა შეტევებმა მესამედაც გამოიღო ნაყოფი. ბრაზილიელი ჟონატასი დიდი სისწრაფით შეიჭრა საჯარიმოში, გზად ერთი მცველი ჩამოიშორა, თუმცა მეორემ ძირს დასცა და არბიტრმა **კიკაჩეიშვილმა** უყოყმანოდ გაიშვირა ხელი პენალტის ნიშნულისკენ. **ფიფიამ** 11-მეტრიანი ოსტატურად შეასრულა და ანგარიში კიდევ უფრო სოლიდური გახადა. მალე, ამას მეოთხეც მოჰყვა. თამაშში აქტიურად ჩართულმა გაბონელმა **პოლ კესანიმ** ორი მცველი გაიტყუა, გამოთავისუფლებულ პოზიციაზე ფიფია გაჩნდა, ამან კი ზუსტად გადაანოდა კარგად მოთამაშე ახალგაზრდა კვასხვაძეს, რომელსაც მიზანმა არ უმტყუნა.

"ბათუმის" გაბრძოლება კვლავ დაგვიანებული იყო. ახალგაზრდული ნაკრების ნევრმა **ხოხონეიშვილმა** რამდენიმე კარგი ფლანგური რეიდი განახორციელა, რასაც საჯარიმოს წინა ხაზთან ორი, მეტად სახიფათო ჯარიმა მოჰყვა, თუმცა სტუმრებმა მათი გამოყენება ვერ მოახერხეს. მთლიანობაში კი, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ "ბათუმს" ბევრად მეტი შეუძლია. ამის დამტკიცებას ის 17 აპრილს, "ზესტაფონთან" უკვე სათასო ნახევარფინალში ეცდება. იმერლებმა კი შაბათს წარმატებული რეპეტიცია გაიარეს. ვნახოთ, ვინ როგორ დასკვნებს გააკეთებს ამ თამაშიდან.

მატჩის შემდეგ

ამირან გოგიტიძე (**ბათუმის მწვრთნელი**): - "ზესტაფონი" ძლიერი და კარგად დაბალანსებული გუნდია. ვფიქრობ, დღეს ბედმა ზურგი შეგვაქცია, თორემ ასეთი ანგარიშით არ უნდა წაგვეგო. იმედია, სწორ დასკვნებს გავაკეთებთ და თასზე სულ სხვა ბრძოლას გავმართავთ.

თემურ მახარაძე (**ზესტაფონის მწვრთნელი**): - ამ ანგარიშმა არ უნდა მოგვატყუოს, "ბათუმი" ძლიერი გუნდია. უბრალოდ, დღეს ძალიან კარგად ვითამაშეთ, ყველაფერი გამოგვდიოდა, თუმცა თასზე, ალბათ, სულ სხვა "ბათუმთან" მოგვიწევს თამაში. რაც შეეხება კესანის, ვფიქრობ, გაბონელი კარგი ფეხბურთელია და შეძლებს, თავი ღირსეულად წარმოაჩინოს. საერთოდ, სადებიუტო მატჩი ყველასთვის და ყოველთვის ძნელი სათამაშოა. ამის პირობაზე, კესანი ურიგოდ ნამდვილად არ გამოიყურებოდა.

მერაბ გრძელიძე
ზესტაფონიდან

CDN ბავშვობის სიფხიზლე ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 355 ტელეფონის დაფიქსირება;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA GRRR ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადასვლა სხვისგან გაუჭირველად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკეთ, შეუკვეთეთ, ჩაერთეთ!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭვავის ყანაში

ლოკომოტივი-ჩიხურა

0:0

7.04.07. თბილისი. მ. მესხი.
100 მაყურებელი

ლოკომოტივი: გვარამაძე, თუთბერიძე, კვახაძე, ებრალიძე, ფოფხაძე, ყლენტი, მალიჩავა, ჩომახიძე, გულორდავა (67. სოსელია), სამხარაძე, გოჩაშვილი.

სათადარიგოები: მიგინეიშვილი, კორკიტაძე, ბახტაძე, ბარბაქაძე.

ჩიხურა: სტურუა, ბარამიძე, ქემოკლიძე, გიგაური, ქუხილავა, ბუცხრიკიძე (80. გვეტაძე), ი. ზაბახიძე, თავბერიძე (46. ვაშაკიძე), მხარაძე, ქუცურუა (87. სტეფნაშვილი) - გ. მიქაძე

სათადარიგოები: დოლაძე, მ. მიქაძე, ვ. ზაბახიძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი (თბილისი)

თამაში პრინციპულიც იყო და მნიშვნელოვანიც. შეხვედრა, შეიძლება, ტურის მატჩადაც მივიჩნიოთ გუნდების სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე - ორივეს გადათამაშების საფრთხე ელის.

გამომდინარე აქედან, თამაში საკმაოდ დაძაბული გამოდგა. **გიორგი კიკნაძეს** "ლოკომოტივში" სამწვრთნელო დებიუტი ჰქონდა და, ბუნებრივია, თავის გამოჩენა სურდა. ფეხბურთელებს მონდომება არ დაუკლიათ. ვიღაცამ კარგად ითამაშა, ვიღაცამ ცუდად, მაგრამ მოედანზე უჯიგროდ გასულს არცერთი ჰგავდა.

თუმცა იყო ფაქტორი, რომელიც მოთამაშეებს უდიდეს დაბრკოლებას უქმნიდა - მოედანი. "ლოკომოტივზე" "უემბლის" მსგავსი საფარი არასდროს ყოფილა, მაგრამ ის, რაც დღესაა, საზიზღრობაა. ვერ ვიტყვით, რომ უმაღლესი კლასის თამაში ვიხილეთ, მაგრამ საქართველოში ფეხბურთი არც ისეთი დაბალი დონისაა, როგორიც ასეთ მოედანზე ჩანს. ნორმალური გადაცემის, სწრაფი შეტევის ან კონტრშეტევის განხორციელების საშუალებას ასეთი საფარი არ იძლევა, ტემპი ეცემა და თამაშიც კვდება.

ერთ-ერთ ეპიზოდში კინაღამ კურიოზული გოლიც გავიდა. მცველმა ბურთი მეკარეს მიუგორა, **გვარამაძის** წინ ბურთი ორმოში ჩავარდა და კინაღამ ავტოგოლის მომსწრე გავხდით.

ანგარიშის გახსნა ორივე გუნდს შეეძლო. პირველი ტაიმის მე-12 წუთზე **გოჩაშვილი** ვალდებულიც იყო, ბურთი გაეტანა, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილს **სტურუამ** აჯობა. მალე თბილისელმა ფორვარდმა თავური დარტყმით სცადა ბადის შერხევა, მაგრამ სიზუსტე დააკლდა. 38-ე წუთზე უკვე "ჩიხურას" შეეძლო დანინაურება, ამ შემთხვევაში **მიქაძეს** გვარამაძემ აჯობა. ტაიმის ბოლოს კი **ქუცურუამ** კარის წინ მდგომი **მახარაძე** მოძებნა, მაგრამ საჩხერელთა ნახევარმცველმა ვერ იხეირა.

მეორე ტაიმშიც ვერ გამოიჩინეს შემტევებმა სიზუსტე, 64-ე წუთზე კი გვარამაძემ ისეთი ბურთი აიღო, ნებისმიერი მეკარე ინატრებდა. სტუმრებმა კუთხური მოაწოდეს, **გიგაურმა** თავით ბურთი კარის ცხრიანში გაუშვა და ლოკომოტიველებს ციგმა ოფლმა დაასხა, მაგრამ "კოშკამ" ისეთი ნახტომი გააკეთა, ყველას თავისი სანაკრებო პერიოდი გაახსენა.

საბოლოოდ, შეხვედრა ფრედ დასრულდა, რაც, "ლოკომოტივისთვის" უფრო მისაღები შედეგი უნდა იყოს, რადგან "ჩიხურას" ისევ 2 ქულით უსწრებს.

მერაბ მამულაშვილი

გლუნჩაძის ქულა

მერანი-ვიტ ჯორჯია

0:0

7.04.07. თბილისი. შევარდენი.
300 მაყურებელი

მერანი: გლუნჩაძე, კედელაშვილი, აფშილავა, გრიგალაშვილი, ოსიტაშვილი, ბესარაშვილი, ოქრუაშვილი (60. ზედელაშვილი), ქემაშვილი (80. კობერიძე), გაგუა, ნაკანი (54. ქორიძე), მოდებაძე

სათადარიგოები: სეფიაშვილი, ჯანგიძე, კეტაშვილი, ა. ნოზაძე

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ჯაფარიძე, გ. დათუნაიშვილი, რაზმაძე (65. ბეჭვაია), კლიმიაშვილი, ბერიაშვილი (63. ლუჭაშვილი), გელაშვილი, მელქაძე (76. კვალინიძე)

სათადარიგოები: მიქაბერიძე, ადამაძე, ინჯგია, კიკნაძე

გაფრთხილება: ოქრუაშვილი (27), ქემაშვილი (57), ა. კვახაძე (68)

არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ევროსაგზურისთვის მებრძოლმა "ვიტ ჯორჯიამ" "მერანთან" ჩემპიონატის ორივე მატჩში დაკარგა ქულები, თანაც ისე, რომ მცხეთაშიცა და "შევარდენზეც" უამრავი საგოლე მომენტი გაატანა ქარს.

შესანიშნავად ითამაშა "მერანის" მეკარე **კახა გლუნჩაძემ**, რომელმაც თავი ერთი კვირის წინათ, რუსთავის "ოლიმპთან" მატჩშიც გამოიჩინა. ახალგაზრდა გოლკიპერმა ვეტერინარებს არაერთი ურთულესი დარტყმა აუღო, ეს ქულა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მისი დამსახურებაა.

სტუმრებმა პირველივე წუთებიდან იგდეს ხელთ გამოკვეთილი სათამაშო და ტერიტორიული უპირატესობა და პირველი შანსიც მალე მიეცათ. მიზანმა **მელქაძეს** უმტყუნა, სულ მალე კი მეკარესთან პირისპირ გასულმა **ბერიაშვილმა** ითამაშა არაზუსტად.

"ვიტ ჯორჯიამ" მეტოქის საჯარიმოზე დაწოლა კიდევ უფრო გააძლიერა და მასპინძელთა კართან ხიფათი ხშირხშირად იქმნებოდა. პირველი ტაიმის შუაწელში გლუნჩაძემ თავისი გუნდი ორი აშკარა გოლისგან გადაარჩინა, ჯერ **გელაშვილს** აუღო, რამდენიმე წუთში კი **ლომაიას** თავური დარტყმა სასწაულებრივ ნახტომში მოიგერია. დამატებაზე **გიორგი დათუნაიშვილმა** ყველას დაასწრო, მეკარე აქ უკვე უძლური იქნებოდა, მაგრამ "მერანი" ამჯერად ძელმა გადაარჩინა.

ასლან ბალაძე შეგირდებს გამოცოცხლებისკენ აქტიურად მოუწოდებდა, მაგრამ თამაშის სურათი არ შეცვლილა. ვეტერინარები შეხვედრის მეორე ნახევარშიც დომინირებდნენ, თუმცა კვლავინდებურად, ან სიზუსტე აკლდათ, ანაც მოვლენათა ეპიცენტრში გლუნჩაძე იყო. მსაჯის საფინალო სასტვენის მოახლოებასთან ერთად, მერანელები საკუთარი კარის უსაფრთხოებას უფრო და უფრო დიდ დროს უთმობდნენ.

დასამახსოვრებელი იყო **კლიმიაშვილის** დარტყმა, რომელიც მოწინააღმდეგის კარს სანტიმეტრებით ასცდა, და **ლუჭაშვილის** მცდელობა. იგი "მერანის" მეკარესთან ერთი-ერთზე გავიდა, ურიგოდაც არ დაურტყამს, მაგრამ იმ დღეს გლუნჩაძე გოლის გაშვებას არ აპირებდა.

ასე მოიპოვა "მერანმა" მნიშვნელოვანი ქულა, "ვიტ ჯორჯიამ" კი არანაკლებ ძვირფასი ორი ქულა გაატანა ქარს. მუმლაძის გუნდი ნელ-ნელა შორდება საევროპე ზონას. ვნახოთ, შეძლებენ თუ არა ჯორჯიელები მდგომარეობის გამოსწორებას მომდევნო ტურებში.

ლევან ჯანეზაშვილი

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქუთაისის "ტორპედოსა" და სოხუმის "დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი

ბადრი ბოგიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

სიონი-დილა

3:0

7.04.07. ბოლნისი. თ. სტეფანია
700 მაყურებელი

1:0 ქარდავა (8. ბაბუნაშვილის პასით); 2:0 ბაბუნაშვილი (55. სილაგაძის პასით), 3:0 კორღალიძე (78).

გონჩაროვმა ვერ გამოიყენა პენალტი (87. მეკარე)

სიონი: მამალაძე, რაქვიაშვილი, ორბელაძე, ლ. ჭელიძე, ექონია, სილაგაძე (60. ოქროპირიძე), ბაბუნაშვილი, სანიკიძე (46. ალავიძე), კორღალიძე, დარასელია, ქარდავა (46. ცხადაძე)

სათადარიგოები: ბობღიაშვილი, უგრეხელიძე, ევოჩე, ბიიომო

დილა: თევდორაძე, ი. კობახიძე, ყველაშვილი, ლომაშვილი, ბალაშვილი, სადაღაშვილი, კ. ხანიშვილი, დ. ხანიშვილი, ვარდოსანიძე, სულთანიშვილი (48. ბ. ჩიტაია), გონჩაროვი

სათადარიგოები: კეჩხუაშვილი, ნ. ნოზაძე, ბალიაშვილი, აბრამიშვილი, კურტანიძე, გ. წინამძღვრიშვილი

გაფრთხილება: ვარდოსანიძე (18)

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

გასეირნება ამეერამდე

ზურაბ მამალაძემ კიდევ ერთი შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა

წლეულს პირველად მოხდა, ბოლნისელთა შემადგენლობაში არც ერთ ლეგიონერს რომ არ უთამაშია. **ჩასემს** თავის ტკივილი აწუხებდა და განაცხადში საერთოდ არ ყოფილა, **ბიომო** და **ევოჩე** კი დაასვენა მწვრთნელმა. უცხოტომელთა უთამაშებლობის მიუხედავად, ბოლნისელებს მეტოქის ძლევა არ გასჭირვებიათ. მასპინძლები მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და გაცილებით დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ მოგება.

"სიონმა" წარმატებას მალევე მიაღწია, მაგრამ გოლამდე საკმაოდ უცნაური ფაქტი დაფიქსირდა - რვა წუთში ბოლნისელი ფეხბურთელები რვაჯერ მოხვდნენ თამაშგარეში და აქედან შვიდჯერ **ბესიკ ქარდავა**. პირველი გოლიც მის ანგარიშზეა. **დარასელიამ** კუთხურიდან ჩაუწოდა ბურთი საჯარიმოს გარეთ მყოფ **ბაბუნაშვილს**, მის დარტყმულს კი ქარდავამ შეუცვალა მიმართულება - 1:0. გოლმა მასპინძლებს თითქოს ძალა შემატაო, დარჩენილი დრო შეტევებში გაატარებინა. შესვენებამდე "სიონს" კიდევ ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ **სილაგაძისა** და დარასელიას პასების მერე, **სანიკიძემ** და **ბაბუნაშვილმა** ბურთი ხარიხას გაარტყეს.

გორელები ეპიზოდურად ახორციელებდნენ კონტრშეტევებს. სტუმართაგან **კობა ხანიშვილი** გამოირჩეოდა, რომელიც იმ დღეს "დილას" სული და გული იყო. თუკი რამის გაკეთება მოახერხეს გორელებმა, სწორედ კობა ხანიშვილის დამსახურებაა. თუმცა მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვააო, ნათქვამია...

მეორე ტაიმში ბოლნისელთა უპირატესობა კიდევ უფრო გამოიკვეთა. უფრო მეტად გააქტიურდნენ ბაბუნაშვილი, **კორღალიძე,** დარასელია კი, როგორც სჩვევია, მშვენიერი პასებით ამარაგებდა თანაგუნდელებს. შესვენების შემდეგ მისი გადაცემის შემდეგ ბაბუნაშვილსა და კორღალიძეს უნდა გაეტანათ გოლები, მაგრამ სტუმრები ორივეჯერ ხარიხამ იხსნა. გამოირჩეოდა იყო ლევან სილაგაძეც, რომელმაც საგოლე გადაცემა მაინც მიითვალა - 55-ე წუთზე კარგი პასი გაუკეთა **ბაჩანა ცხადაძეს**, მაგრამ სანამ ბურთი ცხადაძემდე მიაღწევდა, ბაბუნაშვილი უკეთეს პოზიციაში აღმოჩნდა და ცხადაძემაც გაატარა ბურთი. მეკარესთან პირისპირ დარჩენილ ბაბუნაშვილს კი არ გასჭირვებია ანგარიშის გაზრდა - 2:0.

პირველი ტაიმის მსგავსად, გორელები იშვიათად ახორციელებდნენ შეტევებს. ერთ ეპიზოდში კობა ხანიშვილმა საკუთარ თავზე აიღო თამაში, გასცდა კიდეც ბოლნისელ მცველებს, მაგრამ დარტყმა გამოუვიდა არაზუსტი.

მასპინძელთა მესამე გოლი კორღალიძის ანგარიშზეა. თამაშში კარგად ჩართული **არჩილ ალავიძის** მიერ მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულ ბურთს **თევდორაძე** თითქოს დაეუფლა, მაგრამ ხელში ვერ შეიმაგრა, გაუვარდა და იქვე მდგარ კორღალიძეს მიუგორდა, რომელსაც მისი კარში გადაგზავნის მეტი არაფერი დარჩენოდა - 3:0. გოლიდან ცხრა წუთში კი უკვე გორელებს მიეცათ გატანის შანსი. **ლაშა ჭელიძის** უწესო თამაშს საკუთარ საჯარიმოში, პენალტი მოჰყვა, მაგრამ შაბათს მშვენივრად მოთამაშე **მამალაძემ გონჩაროვის** დარტყმული მოიგერია. სხვათა შორის, ზედიზედ მეორე ტურია, **მამალაძე** მშვენივრად თამაშობს. "სიონის" კარის დარაჯი "დინამოსთან" გასული ტურის მატჩშიც გამოირჩა. "ამერთან" მოახლოებული ჩემპიონატისა და თასის მატჩებისთვის კი ეს საკმაოდ მნიშვნელოვანია.

პაატა თოთაძე
ბოლნისი-თბილისი

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

17-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში

მძიმე მარცხი და რთული მოგება

დღეს, პორტუგალიაში კასტელო ბრანკოს საერთაშორისო ტურნირი მთავრდება, რომელშიც საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები იღებს მონაწილეობას. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდს 7 აპრილს პორტუგალიის 17-წლამდელთა ნაკრებთან ჰქონდა პირველი მატჩი. პორტუგალიელებისთვის ეს რიგით მე-16 მატჩი იყო, ჩვენი გუნდისთვის კი პირველი. შესაბამისად, მატჩში წარმატების მიღწევის დიდი იმედი არ უნდა გვქონოდა. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 1:0 მოიგეს. შესვენებამდე **გორდეზიანმა** და **ფილიამ** ორჯერ გაარტყეს ბურთი ძელს. შესვენების შემდეგ პორტუგალიელთა უპირატესობა უფრო მეტად გამოიკვეთა, თავი იჩინა ქართველთა მგზავრობით გამონვეულმა დაღლილობამაც და მეტოქეს კიდევ 4 გოლის გატანის საშუალება მივეცით. საბოლოოდ ტურნირის პირველ მატჩში 0:5 დამარცხდით. პორტუგალიასთან საქართველოს ნაკრებმა შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

საქართველო: **ნიორაძე, რიგვავა, ბაგალიშვილი, ახალბედაშვილი, მამულაძე, ძალამიძე, ქარდავა, მელიქიშვილი, ფილია, გორდეზიანი, ვაშაკიძე.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **მეფარიძე, ბოლოთაშვილი, შონია, შეყილაძე, ხაჩიძე.**

პირველ ტურში ნაგების შემდეგ, ჩვენები გონს მალე მოეგნენ და მეორე ტურში დანიელი თანატოლები დაამარცხეს. ანგარიში **ბაგალიშვილმა** გახსნა, მერე **შეყილაძემ** ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ უკვე მეტოქე გააქტიურდა და სკანდინავიელებმა წონასწორობის აღდგენა მოახერხეს. თუმცა მატჩის მიწურულს შეყილაძის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი **გორდეზიანმა** გოლად აქცია და 3:2 მოიგეთ. ჩვენმა გუნდმა დანიის წინააღმდეგ შემდეგი შემადგენლობით ითამაშა:

საქართველო: **ნიორაძე, რიგვავა, ბაგალიშვილი, ხაჩიძე, ახალბედაშვილი, ძალამიძე, მელიქიშვილი, შეყილაძე, ჩაკვეტაძე, გორდეზიანი, ვაშაკიძე.**

მეორე ტაიმში შეცვლაზე შევიდნენ: **მამულაძე, ქარდავა, ფილია, შონია, ბოლოთაშვილი.**

რაც შეეხება სხვა მატჩებს, დანიისა და პორტუგალიის 17-წლამდელებმა კასტელო ბრანკოს 18-წლამდელები ერთნაირი ანგარიშით 2:0 დაამარცხეს.

ორი ტურის შემდეგ ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა:

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. პორტუგალია	2	2	0	0	7-0	6
2. საქართველო	2	1	0	1	3-7	3
3. დანია	2	1	0	1	4-3	3
4. კასტელო ბრანკო	2	0	0	2	0-4	0

დღეს, ჩვენი ნაკრები კასტელო ბრანკოს 18-წლამდელებს დაუპირისპირდება. პორტუგალია კი დანიას უმასპინძლებს. თუკი დღეს მოვიგეთ, ეს კი სულაც არაა არარეალური, მეორე ადგილზე გავალთ.

დავით ცაბაძე

ჰერბერტ ცანკერის გუნდი ორი თამაშის შემდეგ მეორე ადგილზეა

უარი აზერბაიჯანელებს

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას ქართული მხარისთვის ამხანაგური მატჩის ჩატარების თაობაზე მიუმართავს. კერძოდ, საუბარია, ახალგაზრდულ ნაკრებებზე.

"19-დან 25 აპრილამდე გვსურდა, ახალგაზრდული ნაკრები შეგვეკრიბა და სპარინგმატჩი გაგვემართა. ამ თხოვნით საქართველოსა და ირანის ფეხბურთის ფედერაციებს მივმართეთ. მათ თავაზიანად მოგვიბოდიშეს და გვითხრეს, რომ დიდი სურვილის მიუხედავად, ამ შეხვედრის ჩატარებას ვერ შეძლებდნენ, მიზეზად კი საკუთარი ეროვნული ჩემპიონატების მჭიდრო კალენდარი დაგვისახელეს", - თქვა აზერბაიჯანის ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **შაქირ გარიბოვმა**. ცნობისათვის, 21 აპრილს საქართველოს ჩემპიონატის ტურია დანიშნული. გარიბოვმა იქვე დასძინა, რომ ამხანაგურის გამართვა სტუმრად სურდა.

ლევან ჯანეზაშვილი

ასათიანი დუბლებიდან დაბრუნდება

მალხაზ ასათიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. როგორც იცით, საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "ლოკომოტივის" ლიდერი უკვე სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ექიმთა ვარაუდით, დაახლოებით ორ კვირაში მოედანსაც დაუბრუნდება.

რუსული პრესის ცნობით, იგი ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ, პირველ მატჩს, სავარაუდოდ, დუბლშემადგენლობაში ჩაატარებს. ასათიანი მთავარ გუნდსაც ძალიან მალე უნდა დაუბრუნდეს, "ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელი **ანატოლი ბიშოვეცი** ღიად აცხადებს, რომ ჯანმრთელ ასათიანს ძირითადი შემადგენლობისკენ გზა ხსნილი ექნება.

ასე რომ, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, აპრილის ბოლოსთვის მალხაზი რკინიგზელთა დაცვის ბურჯი უნდა იყოს. იმედია, ჩვეულ ფორმას დროულად აღიდგენს, რის შემდეგაც მისი ძლიერ ევროპულ გუნდში ტრანსფერის საკითხი უფრო რეალური გახდება.

მანამდე კი ასათიანი პრესასთან საუბარში იმედს გამოთქვამს, რომ მისი დაბრუნების შემდეგ, "ლოკომოტივი" რუსეთის პრემიერლიგაში სატურნირო მდგომარეობას საგრძნობლად გამოისწორებს, კლუბის შეცვლის თემაზე ლაპარაკისგან კი თავს იკავებს.

ლევან ჯანეზაშვილი

მალხაზ ასათიანი

დემეტრაძის პერსპექტივა

არა და არ დაადგა საშველი **გიორგი დემეტრაძის** გამოჩენას "მეტალურგის" შემადგენლობაში. არსებობდა გარკვეული ეჭვი, რომ ეს მისი და ფეხბურთის ფედერაციის დაპირისპირებით იყო გამოწვეული, თუმცა თავად ფეხბურთელი ამას კატეგორიულად უარყოფდა. ეს მან როგორც უკრაინელ, ასევე ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა. უქმეებზე კიევში წარმატებული თამაშის შემდეგ დონეცკელთა მთავარ მწვრთნელს **კო ადრიაანსეს** დემეტრაძის უთამაშებლობაზეც ჰკითხეს, რაზეც მწვრთნელმა მიუგო: *"მე არ განვიხილავ ჩემს ფეხბურთელებს ძირითად და მეორეხარისხოვნებად. თუ ვინმე გუნდში მყავს, ესე იგი ის საჭიროა. ასეთია დემეტრაძეც. ის "მეტალურგისთვის" საჭირო ფეხბურთელია. არის მატჩები, როცა საჭიროა კონკრეტულად ამა თუ იმ მოთამაშის გამოყვანა მოედანზე. როგორც კი დადგება დრო დემეტრაძის გამოჩენისა, მაშინვე გამოვა მოედანზე "*.

თავად ფეხბურთელი შეძლებისდაგვარად ერიდება კომენტარის გაკეთებას პრესასთან თავის უთამაშებლობაზე, თუმცა მაინც იმედიანადაა. როცა საუბარი "მეტალურგის" პერსპექტივაზე მიდგა, დემეტრაძე ძალაუნებურად თავის თავს შეეხო და აღნიშნა: "დარწმუნებული ვარ, რომ "მეტალურგი" შეძლებს ევროსაგზურის მოპოვებას. გარკვეული დრო იყო საჭირო, მწვრთნელს თავისებურად აეთამაშებინა გუნდი. ყველაზე მეტი პრობლემა დაჭვაში გვქონდა და ეს ნელ-ნელა გვარდება, რაც შედეგებზეც აისახება მომავალში. მომავალი ტურიდან ალბათ მეც ვითამაშებ და იმედია, სასიკეთოდაც წავადგები გუნდს".

რაც შეეხება დემეტრაძის მიერ "მეტალურგის" დატოვების ეჭვს, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ გამოთქვეს უკრაინელმა ჟურნალისტებმა მისი უთამაშებლობის გამო, ფორვარდმა თემას დელიკატურად აუარა გვერდი.

ჭაბუკთა ლიგა

1989 წ. დაბადებულები	
ლოკომოტივი-ბათუმი	5:0
ზესტაფონი-ოლიმპი	0:2
მერანი-ბორჯომი	1:2
დილა-გორელი	5:3
კახეთი-დინამო	0:3
ცხინვალი-ვიტ ჯორჯია	0:3
სიონი-ჩიხურა	3:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	20	17	1	2	76-14	52
2. ოლიმპი	19	15	3	1	46-10	48
3. ლოკომოტ.	20	10	6	4	44-21	36
4. ამერი	19	11	1	7	43-30	34
5. ვიტ ჯორჯია	19	10	4	5	40-15	34
6. მერანი	20	9	2	9	31-25	29
7. ტორპედო	20	7	7	6	28-27	28
8. ზესტაფონი	18	8	2	8	39-33	26
9. ცხინვალი	19	8	1	10	30-41	25
10. ბორჯომი	20	7	1	12	35-46	22
11. ბათუმი	19	6	4	9	29-45	22
12. ჩიხურა	19	6	1	12	27-38	19
13. სიონი	19	5	1	13	32-64	16
14. კახეთი	19	5	0	14	27-66	15
15. დილა	20	3	2	15	17-69	11

1990 წ. დაბადებულები	
ბათუმი-ლოკომოტივი	1:1
დინამო-კახეთი	3:0
ჩიხურა-სიონი	1:1
ვიტ ჯორჯია-ცხინვალი	3:0
ბორჯომი-დილა	2:0
ოლიმპი-ზესტაფონი	2:0
ბორჯომი-მერანი	1:4

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	20	16	1	3	55-11	49
2. ჩიხურა	20	14	4	2	59-14	46
3. ოლიმპი	19	14	2	3	55-12	44
4. ვიტ ჯორჯია	20	13	5	2	51-9	44
5. ამერი	19	11	5	3	40-13	38
6. ტორპედო	20	9	7	4	26-18	34
7. მერანი	20	9	2	9	30-38	29
8. ზესტაფონი	20	8	5	7	28-23	29
9. სიონი	19	7	2	10	27-35	23
10. ლოკომოტ.	20	6	3	11	37-33	21
11. დილა	20	6	3	11	21-40	21
12. ბათუმი	19	5	4	10	16-38	19
13. კახეთი	19	3	2	14	14-49	11
14. ბორჯომი	20	2	1	17	12-72	7
15. ცხინვალი	19	0	2	17	8-74	2

1991 წ. დაბადებულები	
ბათუმი-ლოკომოტივი	1:0
დინამო-კახეთი	4:0
ჩიხურა-სიონი	2:0
ვიტ ჯორჯია-ცხინვალი	3:0
ბორჟომი-დილა	2:1
ოლიმპი-ზესტაფონი	1:1
ბორჯომი-მერანი	1:2

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. დინამო	20	17	1	2	46-11	52
2. ბათუმი	19	14	2	3	37-14	44
3. ოლიმპი	19	13	5	1	62-17	44
4. ვიტ ჯორჯია	20	12	5	3	31-10	41
5. მერანი	20	11	3	6	35-25	36
6. დილა	20	9	4	7	31-26	31
7. ამერი	19	9	0	10	25-22	27
8. ტორპედო	20	8	3	9	27-30	27
9. ბორჯომი	20	7	4	9	27-24	25
10. ზესტაფონი	20	6	2	12	32-50	20
11. კახეთი	19	5	5	9	23-29	20
12. ლოკომოტ.	20	4	8	8	21-34	20
13. ჩიხურა	20	6	1	13	29-42	19
14. სიონი	19	4	0	15	13-46	12
15. ცხინვალი	19	0	1	18	10-69	1

იმედრული ესკიზები

ვანში დიდი ხანია დიდი ფეხბურთი ჩაკვდა. "სულორი" შარშან ცდილობდა უმაღლესში აღზევებას და არაფერი გამოვიდა.

თუმცა ვანის "სულორის" ყოფილი პრეზიდენტი **დავით ლორთქიფანიძე** ფეხბურთს მაინც ვერ ელევა და უკვე ხუთი წელია, სოფელ სალხინოში საალდგომოდ საინტერესო ტრადიცია დანერგა - სოფლის ორი გუნდი, "ხიდისთაველები" და "ჩანჩქერელები" ერთმანეთს ეჯიბრებიან.

დერბი ყოველთვის დაძაბულია და აქამდე გუნდები გადამწყვეტ უპირატესობას არ ფლობდნენ. საერთო ანგარიში 2:2 იყო.

წლევანდელი საალდგომო დერბი "ჩანჩქერელებმა" პენალტების სერიით მოიგეს, მატჩს 800 მაყურებელი დაესწრო.

დავით მეფარიშვილი

იკითხეთ "ტონუსი", იყავით ტონუსში...

ტონუსი

მსუბუქი გაზეთი ყველა თაობისათვის

ფასი 30 თეთრი

www.kazbegi.com

გაეცანი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

მარცხნივ დავით მუჯირი

ორი გასროლა და დანაკლისი

გერმანიაში ლომაიამ ჩაიმუხლა

ქართულმა ლეგიონმა ამ უქმეებზე ორჯერ გაისროლა, გოლი რუსთაგან ვიზის გამო გატანჯულმა დავით მუჯირმა გოგიტა გოგუას "სატურნს" გაუტანა. ვასილ გიგიაძე უკრაინაში კვლავ ერთპიროვნულად ბომბარდირობს, გიგიაძემ საკმაოდ უცნაური გოლით დაამახსოვრა თავი კიევის "არსენალს". ევროპული სარბიელებიდან ჩვენთვის ერთი უსიამოვნო ამბავიც შევიტყვეთ, ტრავმა მიიღო საქართველოს ნაკრების გოლკიპერმა გიორგი ლომაიამ. ცუდი ტენდენცია შეინიშნება უკრაინაში, იქ ქართველ ლეგიონერებს სულ უფრო ნაკლებად ენდობიან.

გოგიტა გოგუამ (მარცხნივ) ტრავმის შემდეგ პირველად ითამაშა

როგორც გლადიატორები

ინგლისში "ასტონ ვილასთან" საშინაო მატჩი გამოტოვა ქართველმა მცველმა **ზურაბ ხიზანიშვილმა**. მცველმა ტრავმა გლაზგოში, შოტლანდიის ნაკრებთან თამაშისას მიიღო. მისი თამაში თავიდანვე საეჭვო იყო, მატჩის დღეს კი ცხადი გახდა, რომ **მარკ ჰიუზს** ზურას გარეშე მოუწევდა ფონს გასვლა, "ბლექბერნი" 1:2 დამარცხდა და 40 ქულა დარჩა. იტალიაში მოიგო **კახა კალაძის** "მილანმა", "სან სიროზე" 3:1 "ემპოლი" დაამარცხა. კახა ტრავმის შემდეგ პირველად იყო სასტარტო შემადგენლობაში. "მილანი" 47 ქულით მეხუთეა და აგრძელებს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას. კახამ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა, შესვენებაზე ქართველი **დარიო შიმჩით** ჩაანაცვლეს. მატჩის შემდეგ კახამ "ბაიერნთან" მომავალ მატჩზე ისაუბრა და შემდეგი თქვა: *"შინ 2:1 რომც მოგვეგო გერმანიაში თამაში მაინც გაგვიჭირდებოდა. ასე რომ, მიუხხენში მთელი შემართებით მივდივართ საბრძოლველად, ისე როგორც გლადიატორები"*. ტრავმის გამო ვერ დაეხმარა საკუთარ კლუბს **შოთა არველაძე**. **ლუის ვან გაალმა** არველაძის დაყენება შემადგენლობაში აღარ გარისკა და მის ნაცვლად ახალბედა **იერემაინი** დააყენა. "ალკმაარმა" უარველაძეოდაც იოლად იმარჯვა სტუმრად "ბრედასთან" - 4:1. წინა დღით "ეინდჰოვენმა" წააგო, ხოლო "აიაქსმა" ფრედ ითამაშა. ამით "ალკმაარს" გაჩემპიონების შანსი გაუჩნდა, შოთას კლუბს 66 ქულა აქვს, როგორც "აიაქსს" და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება "ეინდჰოვენს".

ლომაია დაიმტვრა

"შალკე" კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს ბუნდესლიგას. "ხუმარებმა" შინ მიონხენგლადბახის "ბორუსია" 2:0 დაამარცხეს **ასამოას** და **კურანის** გოლებით. **ლევან კობიაშვილმა** 90 წუთი ითამაშა და "შპორტალისგან" 3 ბალი მიიღო. "შალკეს" მთავარი მოცილე ჩემპიონობაში კვლავ ბრემენის "ვერდერია", რომელიც გელზენკირხენულ გუნდს ორი ქულით ჩამორჩება.

მეორე ბუნდესლიგაში "აუეს" ძირითადში ადგილი დაკარგა **დავით სირაძემ**, მან "კიოლნთან" 0:1 მარცხში ბოლო ათი წუთი ითამაშა, მას შემდეგ, რაც პოლონელი ვეტერანი **იუსკოვიაკი** შეცვალა. სირაძეს მეორე ბუნდესლიგაში 3 დეკემბრის შემდეგ არ გაუტანია, მას 24 მატჩში სულ 2 გოლი აქვს გატანილი, რაც ფორვარდისთვის ცუდი შედეგია. რაც დრო გადის სულ უფრო ცოტა შანსი რჩება მეორე ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისა "კარლ ცაისს". კვირას ქართველთა კლუბი "ფიურტს" ესტუმრა და 0:2 დამარცხდა. "კარლ ცაისმა" გიორგი ლომაია 22-ე წუთზე დაკარგა. მან მასპინძელთა ნახევარმცველ **დენი ფუხსთან** შეჯახებისას ტრავმა მიიღო და ის დებიუტანტი **კრაუსით** შეცვალეს. "კარლ ცაისმა" გოლები მეორე ტაიმში გაუშვა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ლომაიას მაინც ცუდი შეფასება დაუწერეს - 4. შეცვალეს **მიხეილ აშვეთიაც**, ქართველმა ფორვარდმა თავი მხოლოდ ყვითელი ბარათის მიღებით გამოიჩინა, "შპორტალმა" მას 4,5 ბალი დაუწერა. მიუხედავად იმისა, რომ **ალექსანდრე იაშვილს** არც გული გაუტანია და არც საგოლე პასი გაუკეთებია, მან მაინც ძალზე აქტიურად და კარგად ითამაშა, ამიტომაც "შპორტალისგან" ორიანი მიიღო. **ოთარ ხიზანეიშვილი** კვლავ ტრავმირებულია, "ფრაიბურგმა" "აუგსბურგს" 2:0 მოუგო.

"ფრაიბურგი" 48 ქულით მეხუთეა და მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩება მესამეზე მყოფ "დუისბურგს". "აუეს" 42 ქულა აქვს და მერვე ადგილზეა, "კარლ ცაისი" 26 ქულით ბოლოსწინაა.

პარაშუტი ვასოსაგან

უკრაინის ჩემპიონატში გამარჯვების გოლი გაიტანა ჩემპიონატის ბომბარდირმა **ვასილ გიგიაძემ**, მან 52-ე წუთზე კიევის "არსენალის" კარში მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა. გოლი ასე გავიდა **ოპრიამ** აუტიდან ჩამოანდა, ბურთი საჯარიმოს კუთხესთან მდგომმა ქართველმა მიიღო და ბრუნში დაარტყა. მანამდეც და მერეც გიგიაძეს ბევრი მომენტი შეექმნა, თუმცა ხან მეკარე თამაშობდა კარგად, ხან კი თავად ფორვარდი სცოდავდა. გიგიაძე "ფუტბოლმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. **ლადო ბურდულს** არ უთამაშია. სტუმართა შორის არ იყო დისკვალიფიცირებული **ლაშა ჯაკობია**. "მეტალურგისა" და "ზარიის" მატჩის მთავარი მოქმედი გმირი მასპინძელთა კაპიტანი **დავით კვირველია** იყო, მან ერთადერთ გოლში თავისი წილი დაიდო, როცა მის ჩაწოდებულს მოჰყვა კუთხური, საიდანაც ზაპოროჟიელებმა გაიტანეს. 75-ე წუთზე თავად ქართველს შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ პენალტი ვერ გაიტანა - ბურთი შტანგას გაარტყა. **ირაკლი მოდებაძე** მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე. სტუმართა რიგებში აღარ გამოჩენილა **გიორგი ჭელიძე**.

ბოლო დროს საკმაოდ ხშირად ქართველი ლეგიონერები თამაშგარეულ რჩებიან. 21-ე ტურმა ამ მხრივ ყველა რეკორდი მოხსნა, არ უთამაშიათ: **ალადაშვილს, მარცვალაძეს, იმედაშვილს, კანდელაკს, დემეტრაძეს,** ბურდულს, **ციმაკურიძეს, ბარაბაძესა** და ჭელიძეს.

დაბრუნდა და გაიტანა

დავით მუჯირი, როგორც იქნა, რუსეთს დაუბრუნდა, და პირველივე მატჩში გაიტანა. "კრილია სოვეტოვი" "სატურნს" ეწვია და 1:1 დაუზავდა. მუჯირმა 28-ე წუთზე გახსნა ანგარიში. **ბობიორის** ჩაწოდების შემდეგ ქართველმა, პრაქტიკულად, კარის ხაზიდან გაიტანა. **გოგიტა გოგუამ** 90 წუთი ითამაშა. ნალჩიკში არ შედგა ქართული დაპირისპირება, რადგან "რუბინის" რიგებში ორივე ქართველი (ნუკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე) სათადარიგო იყო. მასპინძელთა შორის კი **ლევან გვაზავაც** და **ალეკო ამისულაშვილიც** სასტარტოში იყვნენ. რუსული მედია წერს, რომ ალეკო ამისულაშვილმა ფლანგიდან დაცვის ცენტრში შეიწია და კარგად ითამაშა. "სპორტ ექსპრესმა" ქართველებს ასეთი შეფასებები ჩამოურიგა: მუჯირი - 6, გოგუა - 5,5, ამისულაშვილი - 5,5 და გვაზავა - 6.

სადა ხარ მამია?

რაციპოლონეთში სეზონი განახლდა, **მამია ჯიქიას** ლოძის ლკს-ში არ უთამაშია. მისი ბედით დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ ვეტერანმა ნახევარმცველმა ლოძელთა რიგები დატოვა და რანგით დაბლა მოთამაშე ჩორეოუს "რუხში" დაბრუნდა, სადაც ის 1997-2002 წლებში თამაშობდა. "რუხის" რიგებში მამიამ უკვე ორ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. "რუხი" 44 ქულით პირველ ადგილზეა, ასე რომ, დიდი შანსია მამია კიდევ ერთ კლუბთან ერთად დაუბრუნდეს უმაღლეს დივიზიონს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლევან კობიაშვილის (შუაში) შეტევა



თემურ ქეცბაია

ფეხბურთელი	მატჩი	ანგ.	შენიშვნა	სეზ. სტატ.
ინგლისი				
პრემიერლიგა, XXXII ტური				
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი-ასტონ ვილა	1:2	არ უთამაშია, ტრავმა	17 თ, 0 გ.
იტალია				
სერია A, XXX ტური				
კახა კალაძე	მილანი-პალერმო	3:1	45 წუთი (შეცვალეს)	13 თ, 1 გ.
გერმანია				
ბუნდესლიგა, XXVIII ტური				
ლევან კობიაშვილი	შალკე-გლადბახი	2:0	90 წუთი	23 თ, 3 გ.
II ბუნდესლიგა, XXVIII ტური				
ალექსანდრე იაშვილი	ფრაიბურგი-აუგსბურგი	2:0	90 წუთი	26 თ, 8 გ.
ოთარ ხიზანეიშვილი	ფრაიბურგი-აუგსბურგი	2:0	არ უთამაშია, ტრავმა	12 თ, 1 გ.
დავით სირაძე	აუე-კოლონი	0:1	10 წუთი (შეცვლაზე)	24 თ, 2 გ.
გიორგი ლომაია	ფიურტი-კარლ ცაისი	2:0	22 წთ (შეცვალეს)	9 თ, -9 გ.
მიხეილ აშვეთია	ფიურტი-კარლ ცაისი	2:0	61 წთ (შეცვალეს) გაფრთხ.	9 თ, 4 გ.
მათე ლვინიანიძე	მიუნხენი-კარლსრუე	2:0	არ უთამაშია	15 თ, 0 გ.
პოლანდია				
ერედივიზიე, XXXI ტური				
შოთა არველაძე	ბრედა-ალკმაარი	1:4	არ უთამაშია, ტრავმა	26 თ, 13 გ.
საბერძნეთი				
სუპერლიგა, XXVII ტური				
ლევან ცქიტიშვილი	პანიონიოსი	-	ტური გადიდო	15 თ, 2 გ
ლევან მაღლაკელი	ქანეი	-		19 თ, 0
უკრაინა				
ვიშა ლიგა, XXXI ტური				
კახა კალაძეული	დინამო-მეტალურგი დ.	0:0	არ უთამაშია	6 თ, 0 გ.
ოთარ მარცვალაძე	დინამო-მეტალურგი დ.	0:0	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
დავით იმედაშვილი	დინამო-მეტალურგი დ.	0:0	არ უთამაშია	16 თ, 4 გ.
ჯაბა კანკავა	სტალი-დნიპრო	3:1	არ უთამაშია, დისკვ.	16 თ, 4 გ.
რევაზ ბარაბაძე	სტალი-დნიპრო	3:1	არ უთამაშია	3 თ, 0 გ.
ილია კანდელაკი	ჩერნომორეცი-მეტალისტი	1:3	არ უთამაშია	17 თ, 0 გ.
გიორგი დემეტრაძე	დინამო-მეტალურგი დ.	0:0	არ უთამაშია	14 თ, 2 გ.
ლადო ბურდული	კრივბასი-არსენალი	1:0	არ უთამაშია	18 თ, 1 გ.
ვასილ გიგიაძე	კრივბასი-არსენალი	1:0	90 წუთი, 1 გოლი	21 თ, 11 გ.
გიორგი ციმაკურიძე	კარპატი-ილიჩივეცი	1:0	არ უთამაშია	13 თ, 0 გ.
დავით კვირველია	მეტალურგი ზ.-ზარია	1:0	90 წუთი, პენალტი აცილა	16 თ, 4 გ.
ირაკლი მოდებაძე	მეტალურგი ზ.-ზარია	1:0	28 წუთი (შეცვლაზე)	17 თ, 3 გ.
გიორგი ჭელიძე	მეტალურგი ზ.-ზარია	1:0	არ უთამაშია, სათადარიგო	4 თ, 0 გ.
ლაშა ჯაკობია	კრივბასი-არსენალი	1:0	არ უთამაშია, დისკვ.	9 თ, 2 გ.
რუსეთი				
პრემიერლიგა, IV ტური				
გოგიტა გოგუა	სატურნი-კრილია	1:1	90 წუთი	2 თ, 0 გ.
ნუკრი რევიშვილი	სპარტაკი ნ.-რუბინი	1:0	არ უთამაშია, სათადარიგო	0 თ, 0 გ.
ლაშა სალუქვაძე	სპარტაკი ნ.-რუბინი	1:0	არ უთამაშია, სათადარიგო	2 თ, 0 გ.
დავით მუჯირი	სატურნი-კრილია სოვეტოვი	1:1	71 წთ (შეცვალეს), 1 გოლი	3 თ, 1 გ.
გალაზ ასათიანი	დინამო-ლოკომოტივი	2:1	არ უთამაშია, ტრავმა	0 თ, 0 გ.
ალეკო ამისულაშვილი	სპარტაკი ნ.-რუბინი	1:0	90 წუთი, გაფრთხილეს	4 თ, 0 გ.
ლევან გვაზავა	სპარტაკი ნ.-რუბინი	1:0	75 წუთი (შეცვალეს)	4 თ, 0 გ.
პოლონეთი				
ვიშა ლიგა, XXIX ტური				
მამია ჯიქია	ლკს-ოდრა	1:1	გუნდიდან ნაიდა	4 თ, 0 გ.
დანია				
სუპერლიგა, XXI ტური				
გიორგი ფოფხაძე	ჰორსენსი-ვიბორგი	3:1	არ უთამაშია	4 თ, 0 გ.

ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

ცხოვრების მატჩი: რომა მზად არ[illegible]

მესტალიაზე სილვას გარეშე? პირველი შეხვედრის გმირმა ვარჯიშისას ფეხი იტკინა...



ალექს ფერგიუსონი და ოლე გუნარ სოლსკიაერი

მანჩესტერი-რომა

პირველი მატჩი 1:2

"რომას" "ოლდ ტრაფორდზე" ჯოჯოხეთური დახვედრა ელის, მას შემდეგ, რაც პირველ შეხვედრაზე რომში ჩასულ მანჩესტერელ ფანებს ადგილობრივი ტიფოზები და პოლიცია დანებითა და ხელკეტებით გაუმასპინძლდნენ. 15 ინგლისელი გულშემატკივარი დაშავდა. ინგლისელები ყველაფერში იტალიელებს ადანაშაულებენ, ისინი კი თავს იმართლებენ, ყველაფერი "მანჩესტერის" მთვრალმა ფანებმა დაიწყესო. საქმეს უეფა იძიებს და მტყუანმართლსაც ის გაარკვევს, მანამდე კი განმეორებითი შეხვედრა დიდ ემოციებს გვპირდება. "იუნაიტედი" მატჩს ორი მარცხით ხვდება – პირველი თავად რომში (1:2) და მეორე შაბათს, პორტსმუთში, იქაც 1:2. პრემიერლიგაში ამ ნაგების შემდეგ, ლიდერ "მანჩესტერსა" და მდევარ "ჩელსის" შორის ქულათა სხვაობა უკვე სამამდე შემცირდა, თან **ფერგიუსონის** გუნდს სტუმრად აქვს სათამაშო "სტემფორდ ბრიჯზე". თუმცა დიდი სიახლე არ არის, რომ "მანჩესტერი" საკუთარ კედლებში ათჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე გასვლაზე. ჩემპიონთა ლიგის ბოლო 31 საშინაო შეხვედრაში "მანიუმ" მხოლოდ ერთხელ ნაადგო. სნორედ ამის ეიმედება სერ ალექსს, როცა ამბობს: "*სტუმრად გატანილი გოლით საკმაოდ დიდი უპირატესობა მოვიპოვეთ, ახლა 1:0-იც საკმარისია, რომ ნახევარფინალში ვითამაშოთ*". სხვათა შორის, უკვე შვიდი ნელი გავიდა, რაც "იუნაიტედს" ევროპულ ნახევარფინალში აღარ უთამაშია. მაგრამ ფერგიუსონი "რომას" მაინც გამორჩეულად უფრთხის და აი რატომ: "*რომაელების გამარჯვება ლიონში (2:0) რაღაც განსაკუთრებული იყო. "ლიონს" ერთ-ერთ ფავორიტად ვთვლიდი და მათი მარცხი ჩემთვის უდიდესი მოულოდნელობა აღმოჩნდა. ის თამაში კარგად უნდა გავაანალიზოთ. ჩვენ ვიცით, რომ "რომას" დიდი სიურპრიზების შემოთავაზება შეუძლია*".

ტრავმირებული მცველების, **გარი ნევილის, ვიდიჩისა** და **სილვერსტრის** გარდა, "მანჩესტერს" ასევე არ ეყოლება ნახევარდაცვის ბურჯი **ჰოლ სქოულზი**, რომელიც პირველ შეხვედრაში უკვე 35-ე წუთზე გააძევეს (ორი გაფრთხილების გამო). რიცხობრივ უმცირესობაში დარჩენილმა "იუნაიტედმა" მაინც შეძლო **რუნის** გოლით გათანაბრება, მაგრამ სამ წუთში **ვუჩინიჩისგან** კიდევ ერთი ბურთი მიიღო. სქოულზს დღეს, სავარუდოდ, **ფლეტჩერი** შეცვლის.

ინგლისელებისგან განსხვავებით, "რომამ" ჩემპიონატის ბოლო ტურში კარგად გაიკვარჯიშა და ისე მოუგო სტუმრად "კატანიას". აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატში რომაელებმა წლეულს პირველად შეძლეს გასვლაზე გამარჯვება. თუმცა, სიმართლე ითქვას, **სპალეტის** გუნდს ამჯერად სტუმრის არანაირი ატრიბუტი არ გააჩნდა, რადგან შეხვედრა ლეჩეში ნეიტრალურ მოედანზე გაიმართა და თან ცარიელი ტრიბუნების წინ. "რომამ" ძირითადი შემადგენლობის შვიდი ფეხბურთელი დაასვენა: მსუბუქი ტრავმების გამო, **ტოტი** და **ტადეი** რომში დარჩნენ, **დე როსი, მანსინი** და **პანუჩი** თამაშში მეორე ტაიმის შუაში შევიდნენ, **კივუ** და მეკარე **დონი** ბოლომდე თადარიგში ისხდნენ. პირველ ტაიმში **ტავანოს** მიერ გატანილ გოლს მეორეში ერთი ვუჩინიჩმაც დაამატა და "რომამ" 2:0 მოიგო. "ჯალოროსიმ" მინიმალური დანახარჯით მაქსიმუმი მიიღო და სპალეტიც, რაღა თქმა უნდა, ნასიამოვნები დარჩა: "*კმაყოფილი ვარ ჩემი ბიჭების თამაშით, ისეთი შეხვედრების შემდეგ, როგორიც ოთხშაბათს "მანჩესტერთან" გვქონდა, ფეხბურთელებს უჭირთ ხოლმე სტიმულის პოვნა, მაგრამ ჩვენ ეს საშიშროება თავიდან ავიცილეთ. ტოტი რომში დარჩა და "ვილა სტიუარტის" კლინიკას ეწვია, რათა მის კონდიციებთან დაკავშირებით ყველა ეჭვი მოხსნილიყო. ფრანჩესკო უსიკვდილოდ ითამაშებს "ოლდ ტრაფორდზე" მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თავისი ქალაქისთვის რაღაც მნიშვნელოვანი გააკეთოს. მთელი რომი მოუთმენლად ელის სამშაბათის მატჩს, რომელსაც დღევანდელი გამარჯვების წყალობით ამაღლებული განწყობითა და სათანადო კონდიციებით ვხვდებით. მთელი გუნდი "ოლდ ტრაფორდის" თამაშზე ფიქრობს, ინგლისელები აგრესიულ ფეხბურთს ითამაშებენ, თუმცა მათი არ მეშინია, რადგან "რომამ" უკვე დაამტკიცა, რომ ყოველმხრივ სრულყოფილი გუნდია, მათ შორის ხასიათის თვალსაზრისითაც. მანჩესტერის თამაში ცხოვრების თამაშია და "კატანიასთან" გამარჯვება საუკეთესო საშუალებაა, რომ ასეთი თამაშისთვის მოემზადო. "რომა" მზად არის. ჩვენ ევროპის ერთ-ერთ ფართო მოედანზე ვითამაშებთ, იქ დიდი სივრცეა იმისთვის, რომ ინდივიდუალური უნარები გამოავლინო, "იუნაიტედი" კი ასეთი უნარებით ძალიან მდიდარია. მაგრამ ნუ დაგვიწყდება, რომ "რომაც" ინდივიდუალიზმზე აგებული გუნდია, ასე რომ, დიდი მატჩი იქნება*".

რომაელებს დიდი ძალა დააკლდებათ დისკვალიფიცირებული **სიმონე პერროტას** სახით. ასევე ვერ ითამაშებს დაშავებული **მაქს ტონეტო**. სამაგიეროდ, სპალეტის გუნდს დისკვალიფიკაციამოხდილი **დავიდ პისარო** უბრუნდება, რითაც "რომა" ბუნებრივ ტაქტიკურ წყობას დაიბრუნებს. პისაროს არყოფნის გამო, პირველ შეხვედრაში "ჯალოროსი" 4-1-4-1 ტაქტიკაზე გადაეწყო და მხოლოდ ერთი საყრდენით (დე როსი) ითამაშა, "ოლდ ტრაფორდზე" კი ისევ ჩვეული 4-2-3-1-ით წარსდგება. პერროტას, სავარაუდოდ, ისევ ვილჰელმსონი შეცვლის, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სპალეტიმ ვუჩინიჩი პირველი წუთიდან ათამაშოს და გამთამაშებლის ადგილზე, რომელსაც პერროტა იკავებს, ტოტი გაამწესოს.

სავარაუდო შემადგენლობები

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ო'ში, ჰაინცე, ქერიკი, ფლეტჩერი, კრისტიანო რონალდო, გიგზი, რუნი, საა

რომა: დონი, კასეტი, მექსი, კივუ, პანუჩი, დე როსი, პისარო, ვილჰელმსონი, ტადეი, მანსინი, ტოტი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

ვალენსია-ჩელსი

პირველი მატჩი 1:1

კიკე სანჩეს ფლორესმა პრიმერა დივიზიონის წინა ტურში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენა და სათადარიგოებს მისცა შესაძლებლობის გამომჟღავნების შანსი. მათ მწვრთნელის მიერ გაცემული ავანსები ბოლომდე ვერ გაამართლეს. ცხადია, "ბილბაოსთან" განცდილი მარცხით სენიორ ფლორესი კმაყოფილი ვერ დარჩებოდა, მაგრამ ფაქტია, რისკზე წასვლა მისთვის არავის დაუძალებია. "ვალენსიის" დამრიგებელმა პრიმერა დივიზიონი ჩემპიონთა ლიგის ინტერესების სამსხვერპლოზე მიიტანა. ამით ცხადი გახდა, რომ "ღამურები" "ჩელსისთან" მატჩსა და ზოგადად, ჩემპიონთა ლიგას გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. წამყვანი ექვსი მოთამაშის დასვენებას სხვა ახსნას, უბრალოდ, ვერ მოვუნახავთ. ბუნებრივია, მათი არყოფნა სტუმართა შანსებს ერთი-ორად ამცირებდა, თუმცა ფლორესს იმედი ჰქონდა, რომ სათადარიგო შემადგენლობის დასვენებული ბიჭები "სან მამესიდან" ქულას მაინც წამოიღებდნენ. კიკე ფლორესმა "ბილბაოსთან" განცდილი მარცხი მთავარ არბიტრს, **მეხუტო გონსალესს** გადააბრალა. აი, რა განაცხადა მან საფინალო სასტვენის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე: "*იმ მწვრთნელთა კატეგორიას არ განვეკუთვნები, რომლებიც წარუმატებლობას სხვებს აბრალებენ. არასოდეს მიმიცია საკუთარი თავისთვის იმის უფლება, რომ მსაჯების წინააღმდეგ გამოლაშქრა. ყოველთვის კორექტული ვიყავი, მაგრამ ახლა ვეღარ გავჩუმდები. მეხუტო გონსალესმა გაგვძარცვა. ამას ძარცვა ჰქვია და სხვა არაფერი. რომ არა მისი საშინელი მუშაობა, ნამდვილად არ წავაგებდით.*"

სენიორ ფლორესმა იმავე პრესკონფერენციაზე ექვსი ფეხბურთელის დასვენების მოტივებზეც ისაუბრა: "*ყოველ სამ დღეში ერთი შეხვედრის გამართვა გვიწევს. გარდა ამისა, ვალდებულები ვართ, ყოველდღიურად ვივარჯიშოთ. შეუძლებელია, ერთმა და იმავე შემადგენლობამ შუცვლელად იასპარეზოს. დასამალი არ არის, რომ ჩემპიონთა ლიგას დიდ იმედებს ვუკავშირებთ. გვსურს, ფინალში გავიდეთ. ამიტომ, გადავწყვიტე, ბიჭებისთვის ამოსუნთქვის საშუალება მიმიეცა. გარდა ამისა, ვფიქრობდი, რომ ემოციურად დატვირთული ლონდონური მეოთხედფინალის შემდეგ ისინი გამოფიტულები იქნებოდნენ. გადავწყვიტე, იმ მოთამაშეებისთვის მიმეცა შანსი, რომლებიც დროის დიდ ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებენ ხოლმე. გარკვეული შეცდომების მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ბიჭებმა ღირსეულად ითამაშეს. მეხუტო გონსალესმა მათ მთელი შრომა წყალში ჩაუყარა. იმედია, საჩემპიონთალიგო პაექრობაში არბიტრი უფრო კვალიფიციურად იმუშავებს.*"

"ვალენსიისა" და "ჩელსის" განმეორებით მეოთხედფინალს არ ეხება, მაგრამ არ შეგვიძლია, გაკვირვება არ გამოვხატოთ. საინტერესოა, რომელ ჭკუათმყოფელს მოუვიდა აზრად, პრიმერა დივიზიონში დარჩენისთვის მებრძოლი "ბილბაოს" თამაშზე მთავარ მსაჯად ბასკი მხუტო გონსალესის დანიშვნა?! მართლაც გასაოცარია...

ბოლო წლების სტატისტიკა "ღამურების" აშკარა სიძლიერეზე მეტყველებს. საქმე ის არის, რომ "ვალენსია" ინგლისურ კლუბებთან ჭიდილში ზედიზედ ათი მატჩია არ დამარცხებულა. ამას ისიც უნდა დავამატოთ, რომ სენიორ ფლორესის ბიჭებს ბოლო ხუთ საშინაო საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში მხოლოდ ერთი გოლი აქვთ გაშვებული. უდავოა, "ჩელსის" უმძიმესი გამოცდის ჩაბარება მოუნევს.

ესპანელებს უეფას მიერ დასჯილი **კარლოს მარჩენა** და **დავიდ ნავარო** კვლავ ვერ დაეხმარებიან. სავარაუდოა, რომ მარჩენას **რაულ ალბიოლი** შეცვლის. ვერ ითამაშებს **ვისენტეც**. ახალგაზრდა ნახევარმცველმა "არისტოკრატებთან" შეხვედრაში ფეხი იტკინა. მას კუნთი გაუწყდა და უახლოესი ერთი თვის ლაზარეთში გატარება მოუწევს. გემახსოვრებათ, **ფერნანდო მორიენტესმა** ესპანეთის ნაკრების საკვალიფიკაციო ორთაბრძოლაში მხრის ტრავმა მიიღო. ექიმებმა მოროს ექვსკვირიანი იძულებითი შვებულება გამოუწერეს. ჯერ ამ დროის ნახევარიც არ გასულა. შესაძლოა, ვალენსიელთა უსიამოვნებები ამითაც არ ამოიწუროს. ბოლო ვარჯიშზე **დავიდ სილვას** მუხლში იმდენად მტკივნეულად ჩაარტყეს, რომ მან მოედანი კოჭლობით დატოვა. შეშფოთებულმა მწვრთნელმა შეგირდების წვრთნა რამდენიმე წუთით შეწყვიტა და სამედიცინო კაბინეტში გაიქცა. იმ წამს სენიორ ფლორესს ვერაფერი უთხრეს, მაგრამ საგულდაგულო შემოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ფორვარდს მუხლის მყესები არ დაშავებია. მას მხოლოდ ძვლის უმნიშვნელო დაჟეჟილობა აწუხებს. აღსანიშნავია, რომ სილვა ფეხს გუშინ საღამოსაც იტკივებდა. ექიმებს პაციენტის დროულად გამოჯანმრთელების იმედი აქვთ. "სტემფორდ ბრიჯზე" გატანილი უმნიშვნელოვანესი გოლის ავტორის ბედი ბოლო მომენტში გაირკვევა. გამორიცხული არ არის, დავიდმა მოედანზე გასვლა ვერ შეძლოს. მიუხედავად ამისა, ესპანელმა ჟურნალისტებმა სავარაუდო შემადგენლობაში ის მაინც შეიყვანეს.

"ჩელსიმ" ვალენსიისკენ ამაღლებული განწყობილებით აიღო გეზი. **ჟოზე მოურინიოს** ბიჭებმა "ტოტენჰემს" დედაქალაქური დერბი მოუგეს (1:0). მათთვის ყველაზე სასიხარულო ალბათ ის არის, რომ "მანჩესტერთან" ჩამორჩენა სამ ქულამდე შეამცირეს. ძნელი მისახვედრი არ არის, არისტოკრატთა საჩემპიონო შანსი საგრძნობლად გაიზარდა. ლონდონელები "წითელ ეშმაკებს" ერთ თვეში მშობლიურ "სტემფორდ ბრიჯზე" უმასპინძლებენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ პირველობა მოიპოვონ. მანამდე დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ მოურინიო მომავალს ოპტიმისტურად უყურებს. პორტუგალიელ სპეციალისტს იმედიანი განწყობის საფუძველს გუნდის მიღწევები აძლევს. "ჩელსის" ყველა ტურნირის ჯამში ზედიზედ 17 მატჩია არ წაუგია. ინგლისელები "მესტალიაზე" საუკეთესო შემადგენლობით იასპარეზებენ. ტრავმებისა და დისკვალიფიკაციების გამო, მათ არავინ დააკლდებათ. **ჯო კოულს, მაიკლ ესიენს, არიენ რობენს, ლასანა დიარასა** და **დიდიე დროგბას** შედარებით ფრთხილად თამაში მოუწევთ. იმ შემთხვევაში, თუ სტუმრები "ვალენსიის" ბარიერს დაძლევენ და ჩამოთვლილი ფეხბურთელები ყვითელ ბარათებს მიიღებენ, ნახევარფინალს დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებენ.

სავარაუდო შემადგენლობები

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, აიალა, მორეტი, დელ ორნო, ხოაკინი, ალბელდა, ალბიოლი, ანგულო, სილვა, ვილია.

ჩელსი: ჩეხი, ბრიჯი, კარვალიო, ტერი, ეშლი კოული, მაკელელე, ჯო კოული, ბალაკი, ლემპარდი, დროგბა, შევჩენკო.

მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

ვალენსიელთა თვალებში შიშს ხომ არ დაუსადგურება?

შალკე

ესეც ასა!

სლომკა: თუ ჩემპიონობა გვინდა, ყველა თამაში უნდა მოვიგოთ!

სლომკა და ასამოა

შაბათს "შალკემ" აუტსაიდერ მიონხენგლადბახის "ბორუსიას" მოუგო (2:0) და დაგეგმილი 3 ქულა აიღო. ამრიგად, **ლევან კობიაშვილის** გუნდი ბუნდესლიგის ლიდერობას ინარჩუნებს. მართალია, "ხუმარებმა" ბოლოადგილოსანთან საჩემპიონო ფეხბურთი ისევ ვერ აჩვენეს, სამაგიეროდ, იბრძოლეს, იბრძოლეს როგორც ჩემპიონებმა. და ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ **მირკო სლომკას** გუნდი სატურნირო ცხრილის სათავეში დარჩენილიყო.

"3 ქულა აუცილებლად უნდა აგვაღო და მიხარია, რომ ეს მოვახერხეთ. წინ კიდევ 6 ურთულესი მატჩი გველის და ახლა ისეთ სიტუაციაში ვართ, რომ წაფორხილების უფლება აღარ გვაქვს - თუ ჩემპიონობა გვინდა, ყველა თამაში ჩვენს სასარგებლოდ უნდა დავასრულოთ," - განაცხადა სლომკამ ნამატჩევს. მწვრთნელი აბსოლუტურად მართალია: მიუხედავად იმისა, რომ "შალკე" დარჩენილ ტურებში გრანდებს არ ხვდება, კობი და კომპანია მაინც ძალიან ფრთხილად უნდა იყვნენ, რადგან მათ "მაინცთან", "კოტბუსთან", "ბოხუმთან", დორტმუნდის "ბორუსიასთან" და "არმინიასთან" მოუწევთ ჭიდილი და აღსანიშნავია, რომ ექვსივე მათგანი ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ასეთ გუნდებთან 3 ქულის მოპოვება კი, მოგეხსენებათ, ძალიან რთულია.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შაბათი **ჯერალდ ასამოას** დღე იყო. ასამ მიმდინარე სეზონში "შალკეს" ძირითად შემადგენლობაში პირველად იასპარეზა და პირველივე თამაშში გადამწყვეტი გოლის გატანა მოახერხა. როგორც იცით, "ფელტინს არენა აუფ შალკეს" პუბლიკის უსაყვარლესი ფეხბურთელი შემოდგომიდან მოყოლებული, ტრავმირებული გახლდათ და ვარჯიში ცოტა ხნის წინათ განაახლა. "გლადბახთან" სლომკა ასამოას ენდო და ასამაც იმედები არ გაუცრუა. ჯერალდი მთელი თამაშის განმავლობაში თავდაუზოგავად იბრძოდა, 22-ე წუთზე კობიაშვილის ჩაწოდების შემდეგ თავით დაჰკრა და ბურთი ძელს მოარტყა, მერე კი ოცნება მაინც აიხდინა - 57-ე წუთზე ანგარიში გახსნა (2 მეტრიდან ცარიელ კარში შეაგდო). ასამოასთან ერთად ბედნიერი დღე ჰქონდა **კევინ კურანისაც,** რომელმაც 573-წუთიანი უგოლო სერია შეწყვიტა - კურანმ "გლადბახის" კარის დარაჯ **კეისი კელერის** კარი 71-ე წუთზე დალაშქრა, როცა **კრისტიან პანდერის** ჩაწოდების შემდეგ ბურთი თავით გადაგზავნა ამერიკელი გოლკიპერის კარში. კევინს უკვე 12 გოლი აქვს და აქედან 8 თავით გაიტანა.

"ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. დღეს კარგად ვითამაშეთ და მოგება დავიმსახურეთ. ბედნიერი ვარ, რომ ანგარიში მე გავხსენი," - ემოციებს ვერ თოკავდა ასა. მომდევნო ტურში "შალკე" მაინცში ჩადის. სხვათა შორის, **ლინკოლნთან** ერთად - ბრაზილიელმა ხუთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა...

გოტფრიდ ლენცი



პატრიკ ვიეირა

ნოსტალგია

ვიეირა ლონდონის ხშირი სტუმარია

ინგლისური "სანისთვის" მიცემულ ინტერვიუში **პატრიკ ვიეირამ** განაცხადა, რომ ინგლისური და იქაური საფეხბურთო ვნებები ენატრება. *"ძალიან მაკლია ინგლისი და პირველ რიგში ის ვნებები, რომელიც იქაურ გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებშია* - თქვა "არსენალის" ყოფილმა ნახევარმცველმა და კაპიტანმა - *როგორც კი თავისუფალ დროს ვპულობ, მაშინვე ლონდონში მივფრინავ ხოლმე. "არსენალის" ახალ "ემირითსის" სტადიონზე უკვე სამჯერ ვიყავი, ვფიქრობ, რომ ის მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი სტადიონია".*

"ინტერის" ფრანგ ნახევარმცველს ტიერი ანრის "არსენალიდან" შესაძლო აბარგებაზეც ჰკითხეს. *"ვიცოდი, რომ გასულ ზაფხულს ის გუნდიდან არ წავიდოდა, მიუხედავად იმისა, რომ უამრავი შემოთავაზება ჰქონდა. ვფიქრობ, ეს საუკეთესო გადაწყვეტილება იყო მისთვისაც და "არსენასლისთვისაც". მაგრამ ახლა, ასაკის გამო, ანრი ფრთხილად უნდა შეუდგეს შეთავაზებული ვარიანტების შესწავლას"* – თქვა ვიერამ.

მწვრთნელი

ჟოზე მოურინიო ინგლისის ნაკრებში?

ნიუს ოფ ზე უორლდი: ჟოზე ხვდება, რომ ჩელსიში დარჩენა არ უწერია, მაგრამ ლონდონიდან აბარგება არ სურს...

ამ უძმეეგზე "ჩელსიმ" "ტოტენჰემი" დაამარცხა (1:0), "მანჩესტერ იუნაიტედმა" "პორტსმუთთან" ვერაფერი გააწყო (1:2) და ლიდერთა შორის სხვაობა სამ ქულამდე შემცირდა. **ჟოზე მოურინიოსთან** დაახლოებულმა წყარომ "ნიუს ოფ ზე უორლდს" აუწყა, მწვრთნელს "ჩელსიში" დარჩენა სურს, მაგრამ რაც დრო გადის რწმუნდება, რომ **რომან აბრამოვიჩი** კარისკენ მიუთითებსო. თუ ასე მოხდება და თუ ინგლისის ნაკრების დამრიგებლის პოსტიც ვაკანტური გახდება, ჟოზე საფეხბურთო ასოციაციას თანამშრომლობას შესთავაზებს.

მოგეხსენებათ, **სტივ მაკლარენის** პოზიციები შერყეულია. 6 ივნისს ინგლისი ესტონეთს ეთამაშება. საკმარისია, ბრიტანელებმა ქულები დაკარგონ, რომ მწვრთნელს მაშინვე შეუწყვეტენ კონტრაქტს. "ნიუს ოფ ზე უორლდის" მტკიცებით, ასოციაციის მაღალჩინოსნები აღიარებენ, რომ მაკლარენის დანიშვნა შეცდომა იყო. მის შემცვლელად ბოლტონელ **სემ ელერდაისს** განიხილავენ, მაგრამ თუ მოურინიოს დანიშვნა შესაძლებელი იქნება, ასოციაციას დაფიქრება მოუწევს.

44 წლის სპეციალისტს არაერთხელ უთქვამს, რომ კარიერის მიწურულს პორტუგალიის ნაკრებში მუშაობა სურს. როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. მისი ოჯახი ლონდონში შესანიშნავად მოეწყო, მაგრამ აბრამოვიჩთან გართულებული ურთიერთობა, ჟოზეს კონტრაქტის ამონურვის საშუალებას არ უტოვებს. ცოტა ხნის წინათ მოურინიომ "რეალზეც" დიდი ენთუზიაზმით ისაუბრა, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სამეფო კლუბში "ხეტაფეს" ბოსი **ბერნდ შუსტერი** დაინიშნება.

მოურინიოს მომავალი გაურკვეველია

გერმანია. ბუნდესლიგა. XXVIII ტური

აინტრახტი-კოტბუსი 1:3

აინტრახტი: ნიკოლოვი-4, ოხსი-4, რუსი-3.5, ვასოსკი-4, შპიხერი-3, პროისი-4.5 (79. ჰუგელი), ფინკი-4.5 (61. ამანატიდისი-3.5), ა. მაიერი-4, შტრაიტი-3, ტაკაჰარა-4.5, ჰელერი-3 (75. კიოლერი).

კოტბუსი: პიპლიცა-4, და სილვა-3, კუკიელკა-3.5, კვიტანოვიჩი-3, ციბიგი-4, ბაუმგარტი-3.5, ტ. როსტი-4.5, სკელა-4.5 (68. გუნკელი-3.5), მუნტეანუ-3.5 (93. ბანდროვსკი), რადუ-3 (89. შაო), კიოიო-4.

გოლები: 0:1 რადუ (58), 1:1 ა. მაიერი (64), 1:2 პროისი (76-საკ. კარში), 1:3 მუნტეანუ (91).

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა**: 19-14; **კუთხური**: 13-3; **ჯარიმა**: 13-19; **ბურთის ფლობა**: 71%-29%.

მაყურებელი: 45 074

შალკე-ბორუსია (მ) 2:0

შალკე: ნოიერი-3, რაფინია-2.5, ბორდონი-3, კრსტაიჩი-3, პანდერი-2.5, ბაირამოვიჩი-2.5, ჰამით ალთინთოფი-2.5 (90. ჰოოგლანდი), კობიაშვილი-3, ასამოა-1.5 (65. ჰალილ ალთინთოფი-3.5), კურანი-2, იოზილი-2 (90. კუნერტი).

ბორუსია (მ): კელერი-3.5, ბიოგელუნდი-4, გოჰური-4.5, ზე ანტონიო-5, იანსენი-4, სფერდი-4 (35. პოლანსკი), ელ ფაკირი-3.5, ინსუა-4, კომპერი-4.5 (46. თიგესენი-4), ლამიდი-4 (68. ნოიენილი-4), რაფაელი-4.5.

გოლები: 1:0 ასამოა (57), 2:0 კურანი (71).

გაფრთხილება: 0-2; **დარტყმა**: 26-9; **კუთხური**: 6-6; **ჯარიმა**: 19-16; **ბურთის ფლობა**: 60%-40%.

მაყურებელი: 61 482

ჰამბურგი-შტუტგარტი 2:4

ჰამბურგი: ფ. როსტი-4, ბენჯამინი-5, ბ. რანჰარდტი-5, მატიისენი-5, ატუბა-4, იაროლიმი-4, დე იონგი-5 (46. ტროხოვსკი-3.5), მაჰდავიკია-5 (46. ლაასი-3.5), ბენ-ჰატირა-5.5, ვან დერ ვაარტი-4, სანოგო-5 (63. ოლიჩი-3.5).

შტუტგარტი: ჰილდებრანდი-3, ოსორიო-3, მეირა-2, დელპიერი-2.5, მანინი-3, პარდო-2.5, ჰილბერტი-2.5 (91. ფარნერუდი), ჰიტცლშპერგერი-3, ხედირა-2.5, კაკაუ-2.5 (67. და სილვა-4), ლაუთი-5 (75. შტრელერი).

გოლები: 0:1 კაკაუ (10), 0:2 ხედირა (13), 0:3 ჰილბერტი (27), 0:4 მეირა (51), 1:4 იაროლიმი (67), 2:4 ოლიჩი (75).

გაძევება: ბენ-ჰატირა (34. ჰამბურგი), ჰიტცლშპერგერი (43. შტუტგარტი).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 19-14; **კუთხური**: 10-4; **ჯარიმა**: 21-14; **ბურთის ფლობა**: 55%-45%.

მაყურებელი: 57 000

ჰანოვერი-ბაიერნი 1:2

ჰანოვერი: ენკე-3.5, ჩერუნდოლო-3, ფარენჰორსტი-4.5, ჟურავი-4, ვინციფსი-3.5, ბალიტში-3, ლალა-4 (73. ჰაშემიანი), როზენტალი-3, ბრუგინკი-2.5 (54. იანკოვი-4), ჰუშტი-4, შტაინერი-3.5.

ბაიერნი: კანი-2.5, გიორლიტცი-4.5 (46. სანტა კრუსი-4), დემიკელისი-3, ვან ბუიტენი-4.5, ლამი-4, ლელი-4, ოტლი-2.5, ვან ბომელი-3.5, შვაინშტაიგერი-2.5, მაკაი-4.5 (62. პოდოლსკი-4), პისარო-3.5.

გოლები: 1:0 ბრუგინკი (44), 1:1 დემიკელისი (53), 1:2 შვაინშტაიგერი (71).

გაძევება: ფარენჰორსტი (79. ჰანოვერი).

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა**: 19-9; **კუთხური**: 7-3; **ჯარიმა**: 14-15; **ბურთის ფლობა**: 53%-47%.

მაყურებელი: 49 000

ალემანია-ბორუსია (დ) 1:4

ალემანია: შტრაუბი (11. ნიხთი-3.5), შტელე-4.5, კლიტცპერა-5, ჰერციგი-5.5, ლეიფაკაბესი-4.5, ლემანნ-5, პინტუ-5 (62. ფილი-4), რეგეკამპფი-4, რიოსლერი-4, შლაუდრაფი-5.5, იბიმეიჩი-3.5.

ბორუსია (დ): ვაიდენფელერი-3, ფ. დეგენი-3.5 (82. ნ. შაჰინი), ბრეუნსკა-3, ვიორნსი-2.5, დედე-2.5, კრუსკა-3, კრინგე-3.5, პიენაარი-3 (88. საკა), ტინგა-2, ფრაი-2, სმოლიარეკი-2 (76. ვალდესი).

გოლები: 0:1 ვიორნსი (14), 0:2 ფრაი (54), 0:3 ფრაი (58), 0:4 ტინგა (61), 1:4 იბიშევიჩი (63).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა**: 18-21; **კუთხური**: 1-7; **ჯარიმა**: 15-24; **ბურთის ფლობა**: 45%-55%.

მაყურებელი: 20 800

ვოლფსბურგი-მაინცი 3:2

ვოლფსბურგი: იენტკეში-3.5, კიროგა-3.5, მადლუნგი-4.5, ჰოფლანდი-3, ვან დერ ჰეიდენი-3 (77. შარპეი), სანტანა-3.5, მენსეგესი-4 (44. მაკიადი-2.5), კრეინოვეკი-3.5, მარსელინიო-1, ბოაკი-4, კლიმოვიჩი-2.5 (74. ჰანკე).

მაინცი: ვახე-4, დემირტასი-4 (90. გიუნეში), ბ. ფრიდრიხი-4.5, ნოვესკი-3, როზე-4, გერბერი-4, ანდრეასენი-3.5, პეკოვიჩი-3.5, ფოილნერი-4.5 (90. ვრანჩიჩი), ჟაბიში-5 (64. იოვანოვიჩი-4), ზიდანი-2.

გოლები: 0:1 ზიდანი (21-პენ), 1:1 კლიმოვიჩი (41), 1:2 ზიდანი (79), 2:2 მარსელინიო (80), 3:2 მარსელინიო (87).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 20-9; **კუთხური**: 5-3; **ჯარიმა**: 18-31; **ბურთის ფლობა**: 61%-39%.

მაყურებელი: 19 011

ჰერტა-არმინია 1:1

ჰერტა: ფიდლერი-2.5, ჩაპედი-4, შიმუნიჩი-5.5, ვან ბურეკი-4, ფილბერტმ-5, დარდაი-3.5, ებერტი-3.5, ბაშთურქი-4.5, კ. ბოატენგი-5 (58. დეუგა-3.5), ხიმენესი-5 (76. ფათი), პანტელიჩი-5 (58. ედე-3).

არმინია: ჰაინი-2, კორზინიტცი-3, ვეშტერმანი-2, კუჩერა-2.5, შულერი-4, კაუფი-3.5, ზუმა-2.5 (62. კამპერი-4), ტეშე-3.5 (72. მარქსი), ბიომე-3.5, კობილიკი-3.5 (86. აიგლერი), ვიხნიარეკი-4.

გოლები: 0:1 კუჩერა (19), 1:1 ებერტი (71).

გაძევება: შიმუნიჩი (73. ჰერტა).

გაფრთხილება: 2-0; **დარტყმა**: 7-16; **კუთხური**: 10-7; **ჯარიმა**: 20-9; **ბურთის ფლობა**: 57%-43%.

მაყურებელი: 41 512

ლევერკუზენი-ბოხუმი 1:4

ლევერკუზენი: იდლერი-5, ჰაგი-5.5 (25. ვორონინი-4.5), ჟუანი-5, კასტრო-4.5 (68. შვეგლერი-), ბაბიჩი-5 (46. ატერსონი-4), როლფესი-4.5, შნაიდერი-3, ბარნეტა-4, ფრაიერი-3, ბარბარესი-5, კისლინგი-4.

ბოხუმი: დრობნი-3, მალტრიტცი-4, იაია-3 (55. ბუტშერი-4.5), ტალიტეი-3, ე. ბრეიტერ-3.5, დაბროვსკი-4, იმჰოფი-3.5, მიმიმოვიჩი-2.5, ეპალე-4.5 (71. ბეხმანი), გროტე-2.5 (80. დრშეკი), გეკასი-2.

გოლები: 0:1 ჰაგი (8-საკ. კარში), 0:2 იაია (16), 0:3 გეკასი (22), 1:3 კისლინგი (62), 1:4 გეკასი (90).

გაძევება: კისლინგი (81. ლევერკუზენი).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა**: 18-22; **კუთხური**: 5-5; **ჯარიმა**: 16-21; **ბურთის ფლობა**: 66%-34%.

მაყურებელი: 22 500.

ვერდერი-ნიურნბერგი 1:0

ვერდერი: ვიზე-2.5, ფრიტცი-3.5, მერტეზაკერი-2.5 (89. ოვომოიელა), ნალდო-3, პასანენი-3.5, ფრინგსი-3, ვრანიეში-3.5 (70. როზენბერგი), დიეგო-4, ჰანტი-3.5 (85. ბაუმანი), კლოზე-4, უგო ალმეიდა-3.

ნიურნბერგი: რ. შეფერი-3.5, ა. ვოლფი-2.5, ბოშამი-3.5, პინოლა-3.5, პოლაკი-3.5, გალაშეკი-3.5, გრეშკო-3.5 (21. გლაუბერი-4), ენგელჰარდტი-4.5 (79. სიბონი), ვიტეკი-4.5 (73. პაგენბურგი), შროთი-4.5, საენკო-2.5.

გოლი: 1:0 როზენბერგი (75).

გაფრთხილება: 2-3; **დარტყმა**: 14-12; **კუთხური**: 10-5; **ჯარიმა**: 21-23; **ბურთის ფლობა**: 56%-44%.

მაყურებელი: 40 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. შალკე	28	17	5	6	44-27	56
2. ვერდერი	28	16	6	6	62-33	54
3. შტუტგარტი	28	15	7	6	49-33	52
4. ბაიერნი	28	15	5	8	43-32	50
5. ლევერკუზენი	28	12	6	10	44-40	42
6. ნიურნბერგი	28	9	14	5	38-26	41
7. კოტბუსი	28	9	8	11	32-37	35
8. ჰანოვერი	28	9	8	11	34-41	35
9. ჰერტა	28	9	8	11	38-45	35
10. ვოლფსბურგი	28	8	11	9	30-32	35
11. ბოხუმი	28	9	6	13	36-43	33
12. ალემანია	28	9	6	13	43-52	33
13. ბორუსია (დ)	28	8	8	12	33-39	32
14. ჰამბურგი	28	6	14	8	32-31	32
15. აინტრახტი	28	6	13	9	35-48	31
16. არმინია	28	7	9	12	33-37	30
17. მაინცი	28	7	9	12	26-43	30
18. ბორუსია (მ)	28	6	7	15	22-35	25

ბომბარდირები: 16 - გეკასი (ბოხუმი); 13 - გომესი (შტუტგარტი), ფრაი (ბორუსია დ), მაკაი (ბაიერნი); 12 - კურანი (შალკე); 11 - კლოზე (ვერდერი), რადუ (კოტბუსი), ზიდანი (მაინცი), პანტელიჩი (ჰერტა); 10 - დიეგო (ვერდერი), ტაკაჰარა (აინტრახტი), მუნტეანუ (კოტბუსი), კაკაუ (შტუტგარტი).

მომდევნო ტური

13 აპრილი. ბორუსია (მ)-ჰამბურგი. 14 აპრილი. მაინცი-შალკე, ბოხუმი-ჰერტა, შტუტგარტი-ჰანოვერი, არმინია-აინტრახტი, კოტბუსი-ვოლფსბურგი, ნიურნბერგი-ალემანია. 15 აპრილი. ბორუსია (დ)-ვერდერი, ბაიერნი-ლევერკუზენი.

II ბუნდესლიგა

XXVIII ტური

ბურგაუზენი-კაიზერსლაუტერნი 0:0

დუისბურგი-ოფენბახი 4:0

გოლები: 1:0 კურტი (18), 2:0 კურტი (40), 3:0 კურტი (60), 4:0 გრლიჩი (90)

ფრაიბურგი-აუგსბურგი 2:0

გოლები: 1:0 მოჰამადი (18), 2:0 ჰდიუადი (33-საკ. კარში)

ფიურთი-კარლ ცაისი 2:0

გოლები: 1:0 სიდიმარი (52), 2:0 ტიმი (56)

უნტერჰაჩინგი-ბრაუნშვაიგი 3:2

გოლები: 0:1 ბრინკმანი (6), 1:1 ფელდჰანი (15), 2:1 შპიჩაკი (32), 3:1 ლეხლაიტერი (33), 3:2 ატემი (40)

მაინცი-კარლსრუე *იხ. მე-15 გვერდი*

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. კარლსრუე	27	17	6	4	58-31	57
2. ჰანზა	28	14	12	2	42-22	54
3. დუისბურგი	28	13	10	5	54-33	49
4. ფიურთი	28	14	6	8	46-30	48
5. ფრაიბურგი	28	13	9	6	43-33	48
6. კაიზერი	28	11	11	6	35-27	44
7. აუე	28	13	3	12	40-39	42
8. აუგსბურგი	28	11	9	8	34-25	42
9. კიოლნი	28	11	8	9	41-37	41
10. მაინცი	27	11	5	11	37-39	38
11. პადერბორნი	28	8	9	11	26-30	33
12. კოგლენცი	28	8	8	12	28-37	32
13. ოფენბახი	28	8	6	14	34-47	30
14. ესენი	28	7	7	14	30-35	28
15. უნტერჰაჩინგი	28	7	7	14	28-42	28
16. ბურგაუზენი	28	6	9	13	33-53	27
17. კარლ ცაისი	28	6	8	14	28-48	26
18. ბრაუნშვაიგი	28	3	7	18	14-43	16

ბომბარდირები: 15 - ფედერიკო (კარლსრუე); 14 - კაპლანი (კარლსრუე); 12 - ტიმი (ფიურთი); 11 - ჰელმესი (კიოლნი), ტურკერი (ოფენბახი), კერნი (ჰანზა), მოხტარი (დუისბურგი); 10 - ლოური (აუგსბურგი), ლავრიჩი (დუისბურგი).

რეგიონალიგა (ჩრ)

XXX ტური

ოსნაბრიუკი-უნიონი 1:0; კილი-ემდენი 0:0; ფორტუნა-ჰერტა II 0:2; გლადბახი II-ლევერკუზენი II 1:1; მაგდებურგი-დორტმუნდი II 2:2; ერფურტი-ვერდერი II 1:1; ალენი-ვილჰელმშავენი 1:0; დინამო (დ)-ლიუბეკი 2:0.

რეგიონალიგა (სამ)

XXVI ტური

კასელი-დარმშტადტი 0:3; კარლსრუე II-ბაიერნი II 1:1; პირმასენსი-როიტლინგენი 1:1; აალენი-კაიზერი II 2:1; ელვერსბერგი-შტუტგარტი II 2:0; მიუნხენი II-ჰფიულენდორფი 2:0; ვეენი-ზააბრიუკენი 1:0.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწვრთნელო გადაადგილება

გუიდოლინი პალერმოს ემშვიდობება?

თუ მწვრთნელს ახლავე დაითხოვენ, სეზონის ბოლომდე გუნდს მისი თანაშემწე ჩაიბარებს

ფრანჩესკო გუიდოლინი

"პალერმო" ჩემპიონთა ლიგაზე ოცნებას ემშვიდობება, **ფრანჩესკო გუიდოლინი** კი "პალერმოს". შეიძლება ითქვას, რომ არაოფიციალურად მწვრთნელი უკვე დათხოვნილია. სერია A-ს ბოლო ტურში სიცილიურმა გუნდმა შინ "კალიარისთან" 1:3 წააგო და მართალია, მეოთხე ადგილს ინარჩუნებს, მაგრამ ისე, რომ ერთი შეხვედრით მეტი აქვს ჩატარებული. საკმარისია, რომ 18 აპირილის გამოტოვებულ ტურში (სადაც "პალერმო" არ მონაწილეობს) "მილანმა" ასკოლიში მოიგოს და სიცილიური გუნდი ჩემპიონთალიგაზე ზონის მიღმა აღმოჩნდება. ზედიზედ რვა ტურია, რაც "პალერმო" გამარჯვებას ვეღარ ახერხებს (10 ქულა ბოლო 12 ტურში), ამ ბოლო საშინაო მარცხმა კი კლუბის ბობოქარი პრეზიდენტი **მაურიციო ძამპარინი** სულ გადარია. ბოლო დროს ძამპარინი უწრეველოდ დუმდა, კომენტარებს ერიდებოდა, მაგრამ შაბათს მოთმინების ფიალა აეევსო და ცხელ გულზე ასეთი განცხადება გააკეთა: *"ეს გუიდოლინის უკანასკნელი დღე იყო პალერმოში. რას წარმოვიდგენდი, რომ ჩვენს ტიფოზებთან ერთად, საკუთარ მოედანზე "ატალანტასთან", "ლაციოსთან", "ინტერთან" და ახლა უკვე "კალირისთან" წაგებას მოვესწრებოდი. ორთვენახევარია, რაც ჩვენს სპორტულ დირექტორ ფოსკის მწვრთნელის დათხოვნას ვურჩევ, მაგრამ ის აყოვნებს, იმ იმედით, რომ სიტუაცია შეიცვლება. მაგრამ არ შეიცვლება, იმიტომ, რომ გუიდოლინი, სამწუხაროდ, გამუდმებული წნეხის ქვეშაა. და თავის დაძაბულობას ფეხბურთელებსაც გადასცემს. ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ფეხბურთელები განსაკუთრებულად დათარსულები არიან. მაგრამ თუ მათ მწვრთნელიც ემატება, ეს უკვე დასასრულის დასაწყისია. არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ გუნდი დათარსული და უიღბლო მწვრთნელის ხელში დავტოვოთ. სეზონის ბოლომდე გუნდს მეორე მწვრთნელს, რენცო გობოს ჩავაბარებ. ასე თუ გავაგრძელეთ, "პალერმო" მერვე ადგილზე დასრულებს, გუნდმა სახე დაკარგა და ამა ზრზენ ფეხბურთს თამაშობს".*

ყველაფერი გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ სიცილიელმა დირექტორებმა პრეზიდენტის დაოკება სცადეს და იმდენს მიაღწიეს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ორი დღით გადაადებინეს. თავად გუიდოლინის კომენტარი ნამატჩევს ასეთი იყო: *"მწვრთნელის დათხოვნაზე ფიქრის დრო ახლა არ არის. ეს ძალიან გულდასაწყვეტი იქნება, მაგრამ ჩემი გადასაწყვეტი არაა, ამის თაობაზე პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. ასეა თუ ისე, თავს მშვიდად ვგრძნობ, რადგან ვიცი, რომ ბრწყინვალე სეზონი ჩავატარეთ. შეუძლებელია, რომ ორმა-სამმა თვემ ხაზი გადაუსვას იმ დიდ წარმატებებს, რომლებსაც ამ სეზონში მივაღწიეთ. ეს გუნდი ყველას მხრიდან პატივისცემას იმსახურებს".*

ეს ყველაფერი შაბათს ხდებოდა. კვირას კი, აღდგომის დღეს, ძამპარინიმ ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში ასეთი კომენტარი გააკეთა: *"ორშაბათს ან სამშაბათს კლუბის დირექტორებთან შეხვედრა მექნება და ერთად გადავწყვეტთ მწვრთნელის ბედს, მანამდე კი, მაცადეთ, სააღდგომო კვერცხი შევირგო. თუ გუდიოლინი წავა, სეზონის ბოლომდე გუნდის გაძღოლას ჩვენი კლუბის რომელიმე მწვრთნელს დავავალებთ".*

იმისგან დამოუკიდებლად, დარჩება თუ არა გუიდოლინი პოსტზე, იტალიური პრესა დარწმუნებულია, რომ მომავალ სეზონში "პალერმოს" ახალი თავკაცი ეყოლება.

***P.S.** უკანასკნელი ინფორმაციით, გუიდოლინი "პალერმოში" რჩება.*

ჯერმეინ დეფო

მოსალოდნელი ტრანსფერი

ფერგის დეფო უნდა

"მანჩესტერ იუნაიტედი" "ტოტენჰემს" 10 მილიონ გირვანქას შესთავაზებს. **სერ ალექს ფერგიუსონმა** მტკიცედ გადაწყვიტა, **ჯერმეინ დეფოს** შეძენა. ინგლისის ნაკრების თავდამსმხმელი სტაბილურად არ თამაშობს. "მამლების" ბოსი, **მარტინ იოლი** როტაციულ საკადრო პოლიტიკას ეწევა და ოთხი ფორვარდი - დეფო, **დიმიტარ ბერბატოვი, რობი კინი** და **მიდო** მონაცვლეობით გაჰყავს მინდორზე. 24 წლის ჯერმეინს კონტრაქტში ორი წელი რჩება. მას ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმებია. ოთხი წლის წინათ "ვესტ ჰემს" მის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. დღეს მისი 10 მილიონად გაყიდვა ყოველმხრივ მომგებიანი გარიგება იქნებოდა. სხვათა შორის, ფერგიმ დეფოს შეძენა პირველად ოთხი წლის წინათ დააპირა, მაგრამ ფეხბურთელმა მანჩესტერს ლონდონში დარჩენა ამჯობინა. "იუნაიტედის" გარდა, ფეხბურთელს "პორტსმუთიც" აკვირდება.

ლივერპული

რაული სულ რაღაც 5 მილიონი ღირს?

კრაუჩი რჩება, ჩაბი ალონსოსაც ახალ კონტრაქტს გაუფორმებენ...

ახალი სპეკულაციები "ლივერპულში" **რაულის** მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ: "სანდი მირორმა" გვაუწყა, რომ **რაფა ბენიტესს** "რეალის" კაპიტანი სულ რაღაც 5 მილიონი გირვანქა დაუჯდება. 29 წლის თავდამსხმელი "კოპების" ბოსის ძველი ნაცნობი და მეგობარია. მათ ერთმანეთი იმ დროს გაიცნეს, როცა ბენიტესი "რეალის" სათადარიგო გუნდის მწვრთნელი იყო. შაბათის ნომერში გაუწყეთ, რომ მადრიდელთა პრეზიდენტი რამონ კალდერონი შემადგენლობის გაახალგაზრდავებას აპირებს. ზაფხულის დადგომასთან ერთად, "რეალში" გალაქტიკოების ეპოქაც საბოლოოდ დასრულდება. "ბერნაბეუდან" წავლენ **დევიდ ბექჰემი** და **რობერტო კარლოსი**. დღითიდღე იზრდება შანსი, რომ მათ კვალს მადრიდელთა ცოცხალი ლეგენდა რაულ გონსალეს ბლანკოც გაჰყვეს. საინტერესო კომენტარი გააკეთა ფეხბურთელის აგენტმა **ხინეს კარბახალმა**: *"თუ რაულს ახალი სამსახურის მოძებნა მოუწევს, ძნელი გამოსაცნობი არ არის, სად გააგრძელებს კარიერას. რა თქმა უნდა, ინგლისში."* კარბახალს "ლივერპული" არ უხსენებია და არც მინიშნება გაუკეთება. ინგლისელ მიმომხილველებს კი ეჭვიც არ ეპარებათ, რომ მან სწორედ მერსისაიდული გრანდი იგულისხმა.

რაული

რაულის ტრანსფერი **პიტერ კრაუჩის** პოზიციებს არ შეასუსტებს. ამ ინფორმაციასაც "სანდი მირორში" ვკითხულობთ. აყლაყუდა თავდამსხმელი ბენიტესის ფავორიტია. მწვრთნელს მის გაყიდვაზე ფიქრიც კი არ სურს. იანვრის ტრანსფერებისას "ნიუკასლს" კრაუჩის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა ჰქონდა გამზადებული, მაგრამ რა საჭიროა ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელის ტრანსფერზე დაყენება, თუ ცნობილია, რომ სენიორ რაფას შემადგენლობის გასაძლიერებლად 40 მილიონს გამოუყოფენ? ბენიტესი: *"კრაუჩით ძალიან კმაყოფილი ვარ. ის არ იყიდება. ყველა ფეხბურთელის კარიერაში დგება მომენტი, როცა ისინი უეცრად აცნობიერებენ, რა უნდა მოიმოქმედონ იმისთვის, რომ დიდ წარმატებას მიაღწიონ. პიტერს ახლა სწორედ ეს დაემართა."*

"ლივერპულში" დარჩება **ჩაბი ალონსოც**. ნახევარმცველს "ბარსელონა" ეპატიჟებოდა, მაგრამ ბენიტესმა, პირველ რიგში, ჩაბისა და სხვა ვარსკვლავებთან ახალი კონტრაქტების გაფორმება მოითხოვა. ალონსოს ხელშეკრულებას 2012 წლამდე შესთავაზებენ და თითქმის ორჯერ გაუზრდიან ხელფასს. მომავალი სეზონიდან ის კვირაში 75 ათას გირვანქას მიიღებს. ალონსო: *"სიმართლე გითხრათ, მოლაპარაკებების გამართვა სულაც არ მეჩქარება. წინ დიდი მატჩები გველის და მირჩევნია, იმათზე ვიფიქრო, მაგრამ თუ კლუბი დღესვე დამელაპარაკება, რა თქმა უნდა, სიამოვნებით მოვუსმენ."*

იტალია. სერია A. XXXI ტური

რეჯინა-ინტერი 0:0

რეჯინა: კამპანიოლო-7, დი დიო-6, არონიკა-6.5, ლანდარო-6.5, მესტო-6.5, ამერინი-6 (88. გაცი-შ.გ), ჯაკ. ტედესკო-5.5, ტონიოცი-5, მოდესტო-6, ვიჯანი-6 (74. ამორუზო-6), ბიანკი-5 (79. ნარდინი-6).

ინტერი: ჟულიო სეზარი-6.5, მაიკონი-6, კორდობა-6, სამუელი-შ.გ (6. ბურდისო-6), გროსო-6.5 (74. რეკობა-5.5), ხ. ძანეტი-6, დაკური-6, კამბიასო-6, ფიგუ-6.5, კრესი-5, ადრიანო-5.5 (87. სოლარი-შ.გ).

გაფრთხილება: 1-2; **კუთხური:** 6-6; **ჯარიმა:** 23-19; **თამაშგარე:** 0-0; **კარში დარტყმა:** 8-20 (5-12); **ბურთის ფლობა:** 42%-58%.

მაყურებელი: 23 000

კატანია-რომა 0:2

კატანია: პანტანელი-5.5, სარდო-6, სოტილი-5, ვარგასი-5, სტოვინი-5, ედუსეი-5.5, იტკო-5.5 (75. კორონა-შ.გ), კაზერტა-6, ლუჩენტი-6 (90. ბიაჯანტი-შ.გ), სპინეზი-5 (90. პლაზმატი-შ.გ), მასკარა-5.5.

რომა: კურჩი-6.5, კასეტი-6.5, მ. ფეერარი-6, მექსე-6, როზი-5.5 (67. მანსინი-შ.გ), ფატი-6.5 (73. დე როსი-6), პისარო-6.5, ვილპელმსონი-5.5 (57. პანუჩი-6), პერროტა-6.5, ტავანო-7, ვუჩინიჩი-7.

გოლები: 0:1 ტავანო (37), 0:2 ვუჩინიჩი (83)

გაფრთხილება: 4-3; **კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 21-19; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 18-16 (6-11); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

მაყურებელი: 0 (ნეიტრალურზე)

ლაციო-მესინა 1:0

ლაციო: პერუჯა-6.5, ბეპრამი-6, სტენდარდო-7, სიგილია-6, ძაური-6.5, მუდინგაი-7, ბარონიო-6, მანფრედონი-6.5, მაური-6.5 (82. ხიმენესი-შ.გ), პანდეევი-6.5 (90. მაკინვა-შ.გ), როკი-6.5 (90. ფირმანი-შ.გ).

მესინა: პაოლეტი-6, ძანკი-6, იულიანო-5.5 (73. მორელო-შ.გ), კანდელა-5, ლავეეია-5, პესტრინი-5, დე ვეეე-5, მაზიელო-5 (81. დი ნაპოლი-შ.გ), ჯალმბარდო-5.5, რიგანო-6, ბაკაიოკო-6 (54. ალვარესი-5.5).

გოლი: 1:0 სტენდარდო (45)

გაძევება: კანდელა (54. მესინა)

გაფრთხილება: 2-1; **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 24-22; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 18-8 (7-4); **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

მაყურებელი: 20 000

პალერმო-კალიარი 1:3

პალერმო: ა. ფონტანა-6.5, კასანი-6, ბარძალი-6.5, ბიავა-5, მ. პიზანი-6, დიანა-6.5, გუანა-6.5 (81. ჯოვ. ტედესკო-შ.გ), ჩარამიტარო-6 (72. ჯაკომაცი-6), ბრიეცა-6 (45. დელაფიორე-6), ბრეშანო-7, კიკანი-7.

კალიარი: კიმენტა-6, ფერი-6, ლოპესი-6, ბიანკო-6.5, დელ გროსი-6.5, ბიონდინი-6 (79. ლ. კოლეჩი-შ.გ), კონტი-6, ბუდელი-6 (72. მარკინი-შ.გ), ა. დ'აგოსტინო-6 (89. აგოსტინი-შ.გ), პეპე-6.5, სუასო-7.

გოლები: 0:1 ბრეშანო (3), 1:1 სუასო (37-პენ), 1:2 პეპე (82), 1:3 სუასო (86)

გაძევება: ბიავა (36. პალერმო)

გაფრთხილება: 3-2; **კუთხური:** 4-5; **ჯარიმა:** 20-20; **თამაშგარე:** 3-2; **კარში დარტყმა:** 12-14 (7-11); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

მაყურებელი: 22 000

ფიორენტინა-ასკოლი 4:0

ფიორენტინა: ფრეი-6, უიფალუში-6, გამბერინი-6, კროლდრუპი-6.5, პოტენცა-6 (67. ბრივიო-6), პაციენცა-6, ლიეერანი-6.5, მონტოლივო-7, რეტინალდო-7 (75. სანტანა-შ.გ), ტონი-6, მუტუ-5 (67. იორგენსენი-6).

ასკოლი: ელეფფეროპულოსი-5, მინიერი-5.5 (62. გუბერტი-6), დი ბიაჯო-5, მელარა-5, ფოლიო-5, ჰ. ძანეტი-5, ბუდიანსკი-5.5, ლომბარდი-5.5 (46. ნასტასე-5.5), სონჩჩინი-5 (82. პერული-შ.გ), ფინი-5.5, პაოლური-5.

გოლები: 1:0 რეტინალდო (4), 2:0 მონტოლივო (45), 3:0 ტონი (57), 4:0 კროლდრუპი (70)

21-ე წუთზე მუტუმ ვერ გაიტანა პენალტი (მიზანს მიღმა)

გაფრთხილება: 1-4; **კუთხური:** 8-4; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 18-9 (11-4); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

მაყურებელი: 25 000

სიენა-უდინეზე 2:2

სიენა: მანინგერი-5.5, ბერტატო-5.5 (54. ნეგრო-7), რინაუდო-6, პორტანოვა-6, მოლინარო-6, ანტონინი-6, ე. ბრეეი-5.5 (64. ერიიმენკო-შ.გ), გალოპა-6.5, ალბერტო-6, კოეა-5 (46. მაკარონე-6.5), ფრეი-5.

უდინეზე: დე სანტისი-5.5, კოდა-6, ნატალი-6, საპატა-6, ობოდო-6 (81. ზიეოკი-შ.გ), მოტა-5.5, პინეი-6, მუნტარი-6 (84. ბარეტო-შ.გ), დოსენა-6, იაკუინტა-6.5, დი ნატალე-7.

გოლები: 0:1 დი ნატალე (42), 0:2 იაკუინტა (60), 1:2 მაკარონე (76), 2:2 ნეგრო (81)

გაფრთხილება: 0-2; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 15-16; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 8-10 (7-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

მაყურებელი: 6 000

ატალანტა-კიევო 1:0

ატალანტა: კალდერონი-6, რივალტა-5.5, ტალამონტი-6, ლორიკი-6, ბელინი-6 (60. ადრიანო პერეირა-6), არიატი-6, ბერნარდინი-6.5, მილი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი. XXIX ტური

ბილბაო-ვალენსია 1:0

ბილბაო: არანსუბია, ესპარიტო, პრიეტო, სარიეგი, კასასი (44. გარმენდია), უსტარიტსი (82. იესტე), ხავი მარტინესი, ირაოლა, ეზეგერია (56. მურილიო), გაბილონდო, ადურისი.

ვალენსია: ბუტელი, კურო ტორესი (72. მიგელი), ალბიოლი, მორეტი, დელ ორნო, მარჩენა, პალარდო (46. ვილია), ხორხე ლოპესი (56. ხოაკინი), სილვა, უგო ვიანა, ანგულო.

გოლი: 1:0 გაბილონდო (28)

გაფრთხილება: 3-3; **დარტყმა:** 9(5)-10(3); **კუთხური:** 4-5; **თამაშგარე:** 3-7; **ჯარიმა:** 28-13; **ბურთის ფლობა:** 37%-63%

მაყურებელი: 33 000

სარაგოსა-ბარსელონა 1:0

სარაგოსა: სესარ სანჩესი, დიოგო, პიკე, გაბრიელ მილიტო, ხუანფრანი, საპატერი, სელადესი (58. მოვილია), სერხიო გარსია (77. ნერი), აიმარი (87. ლაფიტა), დ'ალესანდრო, დიეგო მილიტო.

ბარსელონა: ვიქტორ ვალდესი, ოლეგერი (72. ვან ბრონკჰორსტი), ტიურამი, პუიოლი, მარკესი (46. ძამბორტა), ჩავი, ინიესტა, დეკუ, ჟიული (66. გუდიონსენი), მესი, რონალდინიო.

გოლი: 1:0 დიეგო მილიტო (57)

გაფრთხილება: 4-6; **დარტყმა:** 14(5)-8(4); **კუთხური:** 2-5; **თამაშგარე:** 1-0; **ჯარიმა:** 23-25; **ბურთის ფლობა:** 44%-56%

მაყურებელი: 29 000

დეპორტივო-ხიმნასტიკი 1:0

დეპორტივო: ავატე, კოლოჩინი, ლოპო, ჟორჟე ანდრადე, კაპდევილა, ესტოიანოფი (81. ბარაგანი), სერხიო (46. ვერდუ), დე გუსმანი, არისმენდი (50. იაგო), კრისტიანი, ადრიანი.

ხიმნასტიკი: ბისარი, რუსი, დავიად გარსია, სესარ ნავასი, მარკო, კალვო (75. გრანი), ხენერელო, შაბოდი, ხუან დიასი (75. ხილი), პინილია (71. მაკუკუსა), პორტილიო.

გოლი: 1:0 იაგო (58)

გაძევება: დე გუსმანი (90. დეპორტივო)

გაფრთხილება: 4-2; **დარტყმა:** 14(2)-12(0); **კუთხური:** 3-4; **თამაშგარე:** 3-4; **ჯარიმა:** 14-15; **ბურთის ფლობა:** 39%-61%

მაყურებელი: 8 000

ესპანიოლი-სოსიედადი 1:0

ესპანიოლი: კამენი, ველასკო, ტორეხონი, ლაკრუსი, დავიდ გარსია (80. ხარკე), იტო, კოსტა, კორო (76. ლუის გარსია), მოა (68. რიერა), ჯონათასი, პანდიანი.

სოსიედადი: ბრავო, ხვრარდო, ანსოტეგი, ვიქტორ ლოპესი, აიტორი, რივასი, გარიტანო, ჩაბი პრიეტო (76. ნოვო), სავიო, მიკელ ალონსო (64. დიას დე სერიო), ერერა (51. კოვაჩევიჩი).

გოლი: 1:0 კორო (57)

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა:** 14(4)-6(3); **კუთხური:** 3-3; **თამაშგარე:** 5-4; **ჯარიმა:** 23-23; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

მაყურებელი: 15 150

სევილია-რასინგი 0:0

სევილია: კობენიო, დანიელ ალვესი, აიტორ ოსიო, ესკუდე, დრაგუტინოვიჩი (69. დუდა), ხესუს ნავასი, რენატო, მარესკა, პუერტა, ლუიშ ფაბიანო (69. კანუტე), ჩევანტონი (60. კერჟაკოვი).

რასინგი: ტონიო, პინილიოსი, რუბენი, გარაი, ორიოლი, სკალონი, ვიტოლო, კოსსა (75. ანგონიო ტომასი), სერანო (63. ბალბოა), მუნიტისი (90+2. კრისტიან ალვარესი), ფიგიჩი.

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 17(4)-10(2); **კუთხური:** 11-2; **თამაშგარე:** 4-1; **ჯარიმა:** 18-21; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

მაყურებელი: 45 000

ლევანტე-ბეტისი 1:1

ლევანტე: მოლინა, დესკარგა (76. ნინიო), ალვარო, ალექსისი, რუბიალესი, ზე მარია (61. ეტიენი), ბერსონი (86. რეჯი), ტომაზი, კურტუა, კაპო, სალვა.

ბეტისი: დობლასი, ილიჩი (46. კაფა), ხუანტო, ნანო, ვეგა, ხუანდე (46. ჩისკო), მიგელ ანხელი, არსუ, ედუ (72. დანი), ფერნანდო, რობერტი.

გოლები: 1:0 დესკარგა (33), 1:1 რობერტი (79)

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 15(6)-15(6); **კუთხური:** 6-5; **თამაშგარე:** 4-3; **ჯარიმა:** 19-22; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

მაყურებელი: 18 183

მალიორკა-ხეტაფე 2:0

მალიორკა: მოია, ვქტორი, ბალესტეროსი, ნუნიესი, ნავარო, ჯონსი, პერეირა, იბაგასა (87. ვარელა), იანკოვიჩი (72. ბასინასი), არანგო, ვიქტორი.

ხეტაფე: აბონდანსიერი, კონტრა, ალეგესი, ბერენგერი, პარედესი, კოტელო, ვივარ დორადო (82. ალბინი), სელესტინი, ნაჩო (58. კასკერო), მანუ, მარისი (59. გუისა).

გოლები: 1:0 ნუნიესი (63), 2:0 ტრეხო (89)

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა:** 16(5)-8(2); **კუთხური:** 3-5; **თამაშგარე:** 2-0; **ჯარიმა:** 16-23; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

მაყურებელი: 18 000

რეკრეატივო-სელტა 4:2

რეკრეატივო: ლოპეს ვალიეხო, დანი ბაუტისტა, არსო, პაბლო ამო, მერინო, აიტორი (77. ჩელი), ხესუს ვასკესი, ბარბერი, ხუანმა (63. კასორლა), სინამა პონგოლე (60. როსუ), უჩე.

სელტა: ესტებანი, ანხელი, კონტრერასი (90+2. პერერა), ლეკი, პლასენტე, ნენე, უბინია, ირინეი (63. ბამოგო), გუსტავო ლოპესი, კანობიო (89. ტამაში), ბაიანო.

გოლები: 1:0 ხესუს ვასკესი (37-პენ), 1:1 ნენე (75-პენ), 2:1 როსუ (85), 3:1 როსუ (87), 3:2 ნენე (89), 4:2 ჩელი (90+2)

გაფრთხილება: 2-2; **დარტყმა:** 20(10)-13(5); **კუთხური:** 6-3; **თამაშგარე:** 1-3; **ჯარიმა:** 21-20; **ბურთის ფლობა:** 42%-58%

მაყურებელი: 17 000

რეალი-ოსასუნა 2:0

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, ივან ელგერა, კანავარო, ტორესი (68. რობერტო კარლოსი), ემერსონი, დიარა, რაული, იგუაინი, რობინიო (86. რეიესი), ვან ნისტელროი.

ოსასუნა: რიკარდო, ხავიერ ფლანიო, კრუჩაგა, კუელარი, მონრეალი, ერისე, მუნიოსი (62. მილოშევიჩი), ვალდო, დავიდ ლოპესი, ხუანლუ (66. ასპლილკუეტა), ვან ნისტელროი.

გოლები: 1:0 რაული (24), 2:0 რობინიო (80)

გაფრთხილება: 0-2; **დარტყმა:** 18(8)-9(2); **კუთხური:** 10-7; **თამაშგარე:** 4-2; **ჯარიმა:** 18-11; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

მაყურებელი: 72 000

ვილიარეალი-აზლეტიკო 0:1

ვილიარეალი: ვიერა, ხოსემი, ფუენტესი, სიგანი, ხოსე ენრიკე, ხოსიკო (57. პირესი, მარკოს სენა, მატიას ფერნანდესი (79. კანი), მარკოსი, ფორლანი, ფრანკო (46. ხოსე მარი).

ატლეტიკო: ლეო ფრანკო, პერეა, პაბლო, ელერი, ანტონიო ლოპესი, ლუქსენი, გაბი, ხურადო (76. პერნია), გალეტი (88. მისტა), ფერნანდო ტორესი, აგუერო (71. კოშტინია).

გოლი: 0:1 ელერი (31)

გაძევება: პირესი (86. ვილიარეალი)

გაფრთხილება: 5-5; **დარტყმა:** 11(2)-11(7); **კუთხური:** 0-4; **თამაშგარე:** 0-4; **ჯარიმა:** 21-25; **ბურთის ფლობა:** 54%-46%

მაყურებელი: 20 000

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ბარსელონა	29	16	8	5	59-27	56
2. სევილია	29	16	7	6	48-24	55
3. რეალი	29	16	6	7	41-25	54
4. სარაგოსა	29	14	8	7	43-29	50
5. ვალენსია	29	15	5	9	40-29	50
6. ატლეტიკო	29	13	8	8	34-24	47
7. რეკრეატივო	29	13	6	10	40-38	45
8. რასინგი	29	11	11	7	35-34	44
9. ესპანიოლი	29	10	11	8	32-31	41
10. ხეტაფე	29	10	9	10	25-23	39
11. დეპორტივო	29	10	9	10	22-30	39
12. ვილიარეალი	29	10	8	11	29-36	38
13. მალიორკა	29	10	6	13	31-40	36
14. ოსასუნა	29	10	5	14	34-35	35
15. ბეტისი	29	7	12	10	29-35	33
16. ბილბაო	29	7	8	14	32-45	29
17. ლევანტე	29	6	11	12	24-39	29
18. სელტა	29	6	9	14	30-44	27
19. ხიმნასტიკი	29	5	6	18	29-52	21
20. სოსიედადი	29	4	9	16	20-37	21

ბომბარდირები: 19 - კანუტე (სევილია), დიეგო მილიტო (სარაგოსა); 17 - რონალდინიო (ბარსელონა); 16 - ვან ნისტელროი (რეალი); 12 - მორიენტესი (ვალენსია); 11 - ვილია (ვალენსია); 10 - ლუის გარსია (ესპანიოლი), ფორლანი (ვილიარეალი), ტამუდო (ესპანიოლი), ბაიანო (სელტა).

მომდევნო ტური

15 აპრილი. ბილბაო-ესპანიოლი, ატლეტიკო-ლევანტე, ბარსელონა-მალიორკა, ბეტისი-სოსიედადი, სელტა-დეპორტივო, რასინგი-რეალი, ვალენსია-სევილია, ხეტაფე-ვილიარეალი, ოსასუნა-რეკრეატივო, ხიმნასტიკი-სარაგოსა.

II დივიზიონი

XXXII ტური

ერაულესი-ალბასეტე 0:1

გოლი: 0:1 ბიაჯინი (81)

რეალი B-ვალიადოლიდი 1:3

გოლები: 0:1 ლორენტე (17), 1:1 ნეგრედო (22), 1:2 ლორენტე (43), 1:3 ვიქტორი (52)

მურსია-სიუდადი 2:1

გოლები: 1:0 გალიარდო (54), 2:0 არანდა (63), 2:1 რაფიტა (77)

მალაგა-ლორკა 4:0

გოლები: 1:0 იდალგო (17), 2:0 კალეხა (41), 3:0 გამესი (59), 4:0 იდალგო (69)

ვესინდარიო-ხერესი 2:1

გოლები: 1:0 მორალესი (34), 1:1 არუაბარენა (73), 2:1 იერი (82-პენ)

კადისი-სპორტინგი 1:1

გოლები: 0:1 დ. კასტრო (11), 1:1 დომინგესი (36)

ალკორკონი-სალამანკა 0:2

გოლები: 0:1 ბრაულიო (30), 0:2 ვერა (85)

ალმერია-ლას პალმასი 2:1

გოლები: 0:1 ტრაშორასი (18), 1:1 კორონა (20), 2:1 უჩე (22)

კასტელონი-ნუმანსია 3:1

გოლები: 1:0 მორა (17), 2:0 აურელიო (28), 3:0 ნატალიო (35), 3:1 ბოლო (87)

ელჩე-პონფერადინა 1:0

გოლი: 1:0 ფაბარდო (40)

გენერიფე-ეხიდო 3:1

გოლები: 1:0 ბლანკო (31), 1:1 ვეგა (69-პენ), 2:1 ხუვენალი (79), 3:1 მარერო (88)

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ვალიადოლიდი	32	21	8	3	51-22	71
2. ალმერია	32	18	7	7	54-33	61
3. მურსია	32	17	9	6	48-33	60
4. სიუდადი	32	14	6	12	33-30	48
5. ხერესი	32	13	8	11	38-29	47
6. სალამანკა	32	13	8	11	43-38	47
7. ნუმანსია	32	13	8	11	35-33	47
8. ალბასეტე	32	13	7	12	37-36	46
9. ეხიდო	32	12	9	11	40-38	45
10. კადისი	32	11	12	9	35-33	45
11. ერაულესი	32	12	8	12	38-36	44
12. ტენერიფე	32	12	6	14	33-38	42
13. სპორტინგი	32	12	5	15	37-35	41
14. კასტელონი	32	11	8	13	33-34	41
15. ლას პალმასი	32	10	11	11	39-39	41
16. ელჩე	32	10	10	12	33-36	40
17. ალავესი	32	10	10	12	36-42	40
18. მალაგა	32	10	9	13	34-38	39
19. რეალი B	32	10	8	14	36-47	38
20. პონფერადინა	32	8	10	14	29-40	34
21. ლორკა	32	7	7	18	27-46	28
22. ვესინდარიო	32	6	4	22	27-60	22

ინგლისი. პრემიერლიგა. XXXII- XXXIII ტურები

XXXII ტური

ჩელსი-ტოტენჰემი 1:0

ჩელსი: ჩეხი, ფერერა, კარვალიო, ტერი, ბრიჯი, მაკელელე, ლემპარდი, მიკელი (83. ჯო კოული), დროგბა, რაატ-ფილიპსი (71. ბალაკე), კალუ (74. შევჩენკო).

ტოტენჰემი: რობინსონი, სტალტერი, დოსონი, რიჩა, ჰიმბონდა, ჯენასი (81. ზოკორა), ტაინიო (64. ტაარაბტი), გალი, მალბრანკი, მიდო (69. ბერბატოვი), დეფო.

გოლი: 1:0 კარვალიო (52).

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 11(8)-6(5); **ჯარიმა:** 13-11; **კუთხური:** 11-7.

მაყურებელი: 41 864

პორტსმუთი-მანჩესტერ იუნ. 2:1

პორტსმუთი: ჯეიმსი, ლორენი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ტრაორე, ონილი, დევისი, პიუზი, ტეილორი, მვარუვარი (67. ლუალუა), კანუ (81. კრანჩარი).

იუნაიტედი: ვან დერ სარი, ოში, ფერდინანდი, ბრაუნი, ჰაინცე, ფლეტჩერი (59. სოლსკიაერი), სქოულზი, ქერიკი (77. სმიტი), რიჩარდსონი (46. გიგზი), რუნი, რონალდო.

გოლები: 1:0 ტეილორი (30), 2:0 ფერდინანდი (89-საკ.კარში), 2:1 ოში (90).

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა:** 14(9)-15(7); **ჯარიმა:** 13-2; **კუთხური:** 8-7.

მაყურებელი: 20 223

არსენალი-ვესტ ჰემი 0:1

არსენალი: ლემანი, ებუე, ტურე, გალასი, კლიში, ლიუნგბერგი (75. ფულიო ბაპტიშტა), ფაბრეგასი, ჟილბერტო (85. დიაბი), გლები (65. ალიადიერი), როსიცკი, ადებაიორი.

ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, კოლინზი, ფერდინანდი, მაკარტნი (46. სპექტორი), ბოუიერი, როკოკერი, ნობლი, ეთერინგტონი, ტევეზი (82. ბლანკო), ზამორა (65. ბოა მორტე).

გოლი: 0:1 ზამორა (45).

გაფრთხილება: 0-1; **დარტყმა:** 29(15)-6(5); **ჯარიმა:** 10-15; **კუთხური:** 14-1.

მაყურებელი: 60 098

რედინგი-ლივერპული 1:2

რედინგი: ჰანემანი, ბეგარსონი, ინგიმარსონი, დაბერი (46. ბიკეი), შორი, ოსტერი (82. ლიტა), სიდველი, ჰარპერი, ჰანტი, დოილი, კიტსონი.

ლივერპული: რეინა, ფინენი, ჰიიპია, კარაგერი, არბელოა, ჯერარდი, სისოკო, მასკერანო, გონსალესი (79. რიისე), კრაუჩი (65. პენანტი), ბელამი (50. კუიტი).

გოლები: 0:1 არბელოა (15), 1:1 გუნარსონი (47), 1:2 კუიტი (86).

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 8(4)-4(3); **ჯარიმა:** 10-16; **კუთხური:** 7-6.

მაყურებელი: 24 121

ვიგანი-ბოლტონი 1:3

ვიგანი: ფილანი, ტეილორი, ჯეკსონი, ჰოლი, ბაინესი, ვალესნია, შარნერი, სკოკო (74. კოტერილი), მაკალოხი, ჰესკი, ფოლანი (63. კამარა).

ბოლტონი: იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ფაიე, ბენ ჰაიმი (35. გარდნერი), თეიმურიანი, ტომპსონი (74. ტალი), სპიდი, დევისი, ანელკა (88. იანაკოპულოსი), დიუფი.

გოლები: 1:0 ჰესკი (32), 1:1 ანელკა (44), 1:2 თეიმურიანი (68), 1:3 თეიმურიანი (73).

გაფრთხილება: 0-3; **დარტყმა:** 17(9)-10(9); **ჯარიმა:** 7-13; **კუთხური:** 9-5.

მაყურებელი: 18 610

შეფილდ იუნ.-ნიუკასლი 1:2

შეფილდი: კენი, ბრომბი, ლუკეტი, ჟაგიელკა, არმსტრონგი, გილესპი, მონგომერი, ლიგერტვუდი (56. ტონგე), სტივ ქუინი (56. ნეიდი), კაზიმ-რიჩარდსი, სტიდი (87. ვებერი).

ნიუკასლი: გიგენი, სოლანო (84. ონიეკუ), მური, ტეილორი, კარი, მილნერი, ბატი, პარკერი (56. ემრე), დაფი, სიბირსკი (75. დაიერი), მარტინსი.

გოლები: 0:1 მარტინსი (17), 1:1 ნეიდი (74), 1:2 ტეილორი (80).

გაფრთხილება: 1-1; **დარტყმა:** 17(11)-10(3); **ჯარიმა:** 11-13; **კუთხური:** 5-4.

მაყურებელი: 32 572

ბლეკბერნი-ასტონ ვილა 1:2

ბლეკბერნი: ფრიდელი, ემერტონი, სამბა, ნელსენი, უორნოკი, ბენტლი, მოკოენა, ქერამოლ-ეუ (63. დანნი), პედერსენი, მაკარტნი, დერბიშირი (63. ნონდა).

ასტონ ვილა: სორენსენი, ბერდსლი (80. ჰიუზი), მელბერგი, ლაურსენი, ბუმა, გარდნერი, პედროვი, ბერი, მელონი (76. მაკენი), აგბონლაორი, ბერგერი (84. დევისი).

გოლები: 1:0 მაკარტნი (24-პენ), 1:1 ბერგერი (34), 1:2 აგბონლაორი (73).

გაფრთხილება: 2-1; **დარტყმა:** 10(3)-9(7); **ჯარიმა:** 17-12; **კუთხური:** 4-10.

მაყურებელი: 24 211

მიდლსბრო-უოტფორდი 4:1

მიდლსბრო: შვარცერი, შავიერი, ჰუთი, რიგოტი, ტეილორი (87. პერნანი), დაუნინგი, ბოატენგი, როშემბაკი, ჯონსონი, იაკუბუ (80. კრისტი), ვიდუკა (89. ლი).

უოტფორდი: ფოსტერი, ჩემბერსი, შიტუ, დემერიტი, სტიუარტი, სმიტი, მაჰონი (46. პრისკინი), ფრენსისი, რინალდი, ჰენდერსონი (29. ბუაზა), კაბა.

გოლები: 1:0 ვიდუკა (5), 1:1 ფრენსისი (23), 2:1 ბოატენგი (27), 3:1 ვიდუკა (75), 4:1 როშემბაკი (79).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა:** 24(14)-6(3); **ჯარიმა:** 7-14; **კუთხური:** 9-3.

მაყურებელი: 25 534

მანჩესტერ სიტი-ჩარლტონი 0:0

სიტი: ისაკსონი, ონუოა, დანი, დესტენი, ბოლი, ჯონსონი, ბარტონი, სუნი, ირლანდი (74. სინკლერი), ვასელი (74. სამარასი), მპენზა.

ჩარლტონი: კარსონი, იანგი, ელ ქარქური, დიავარა, პრეიდარსონი, ჟენგი, სონგი, ფაიე, ტომასი (90. რომედალი), მარკუს ბენტი, დარენ ბენტი.

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა:** 13(6)-3(1); **ჯარიმა:** 12-11; **კუთხური:** 9-3.

მაყურებელი: 41 424

ევერტონი-ფულჰემი 4:1

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, ოსმანი, კარსლი, ნევილი, არტეტა (82. ნეიმითი), ვოგანი (78. ანიჩებე), ჯონსონი (82. ბიტე).

ფულჰემი: ნიემი, ვოლეი, ნაიტი, ბოკანეგრა, როსენორი, რუთლიჯი, დევისი, ბრაუნი, სმერტინი, რაძინსკი (60. ჯონი), მაკბრაიდი, ჯონი (71. ჰელგუსონი).

გოლები: 0:1 ბოკანეგრა (22), 1:1 კარსლი (25), 2:1 სტაბსი (34), 3:1 ვოგანი (45), 4:1 ანიჩებე (80).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა:** 14(10)-15(8); **ჯარიმა:** 18-12; **კუთხური:** 4-10.

მაყურებელი: 35 612

XXXIII ტური

უოტფორდი-პორტსმუთი 4:2

უოტფორდი: ფოსტერი, მარიაპა, დემერიტი, კარლაისლი (90. ჩემბერსი), სტიუარტი, სმიტი, ფრენსისი, მაჰონი (84. ბანგურა), ბუაზა (90. დოილი), პრისკინი, კაბა.

პორტსმუთი: ჯეიმსი, პამარო, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ტრაორე (60. კრანჩარი), ჰიუზი, ონილი, დევისი (79. მვუემბა), ტეილორი, ლუალუა (60. დუალა), კანუ.

გოლები: 0:1 ტეილორი (16), 1:1 ბუაზა (28-პენ), 2:1 მაჰონი (45), 3:1 პრისკინი (51), 4:1 ბუაზა (73), 4:2 მვუემბა (81).

გაფრთხილება: 0-0; **დარტყმა:** 15(10)-10(6); **ჯარიმა:** 13-15; **კუთხური:** 6-2.

მაყურებელი: 21 560

ასტონ ვილა-ვიგანი 1:1

ვილა: სორენსენი, ბერდსლი, მელბერგი, ლაურსენი, ბუმა (38. იანგი), გარდნერი, პეტროვი, ბერგერი, ბერი, მელონი (73. მური), აგბონლაორი.

ვიგანი: ფილანი, ჰოლი (52. სკოკო), ჯეკსონი, ბაინესი, ანსუორთი (46. ტეილორი), ვალენსია, შარნერი, ლანდზაატი, კილბეინი, ჰესკი (84. ფოლანი), მაკალოხი.

გოლები: 0:1 ჰესკი (21), 1:1 აგბონლაორი (50).

გაძევება: ვალენსია (34. ვიგანი).

გაფრთხილება: 2-3; **დარტყმა:** 13(7)-2(1); **ჯარიმა:** 11-11; **კუთხური:** 13-1.

მაყურებელი: 31 920

ბოლტონი-ევერტონი 1:1

ბოლტონი: იაასკელაინენი, ჰანტი, მეიტე, ფაიე, გარდნერი, თეიმურიანი (90. ტომპსონი), კამპო, სპიდი, დევისი, ანელკა, დიუფი (87. იანაკოპულოსი).

ევერტონი: ჰოვარდი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი, ლესკოტი, არტეტა, ნევილი, კარსლი, ოსმანი, ჯონსონი, ვოგანი (62. ბიტე).

გოლები: 1:0 დევისი (18), 1:1 ვოგანი (33).

გაფრთხილება: 3-1; **დარტყმა:** 7(4)-9(7); **ჯარიმა:** 16-19; **კუთხური:** 7-7.

მაყურებელი: 25 179

ფულჰემი-მანჩესტერ სიტი 1:3

ფულჰემი: ნიემი, ვოლეი, კრისტანვალი, ბოკანეგრა, როსენორი, რუთლიჯი (73. დემპსი), სმერტინი (55. რაძინსკი), ბრაუნი, დევისი, მაკბრაიდი, ჰელგუსონი (58. მონტელა).

სიტი: ისაკსონი, ონუოა, დესტენი, დანი, ბოლი, სუნი, ჯონსონი, ბარტონი, ბისლი (81. სინკლერი), ვასელი (85. სამარასი), მპენზა.

გოლები: 0:1 ბარტონი (21), 0:2 ბისლი (36), 0:3 ვასელი (59), 1:3 ბოკანეგრა (76).

გაფრთხილება: 1-3; **დარტყმა:** 12(5)-7(5); **ჯარიმა:** 12-15; **კუთხური:** 7-4.

მაყურებელი: 22 435

ნიუკასლი-არსენალი 0:0

ნიუკასლი: გიგენი (25. ჰარპერი), სოლანო, ონიეკუ, ტეილორი, კარი, მილნერი, ბატი, ემრე (88. ლუკე), დაფი, მარტინსი, დაიერი (52. ნზოგბია).

არსენალი: ლემანი, ებუე, კოლო ტურე, გალასი, კლიში, გლები (61. ფულიო ბაპტიშტა), ფაბრეგასი, ჟილბერტო, დიაბი, ლიუნგბერგი, ადებაიორი (71. ალიადიერი).

გაფრთხილება: 1-2; **დარტყმა:** 8(4)-6(2); **ჯარიმა:** 13-14; **კუთხური:** 3-6.

მაყურებელი: 52 293

ჩარლტონი-რედინგი 0:0

ჩარლტონი: კარსონი, დიავარა, ელ ქარქური, პრეიდარსონი (24. თეთჩერი), იანგი, ჩენგი, ემბროუზი, ბილონგი (69. ლიზბი), თომასი, მ. ბენტი (30. ჰოლანდი), დ. ბენტი.

რედინგი: ჰანემანი, ბიკეი, დე ლა კრუსი, ინგიმარსონი, შორი, ჰარპერი, ჰანტი, კი-ჰიეონი, სიდუელი, ლიტა, ლონგი.

გაფრთხილება: 1-0; **დარტყმა:** 8(5)-15(6); **ჯარიმა:** 13-13; **კუთხური:** 1-11.

მაყურებელი: 26 271

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. მანჩ. იუნ	32	25	3	4	75-23	78
2. ჩელსი	32	23	6	3	56-19	75
3. ლივერპული	32	18	6	8	50-22	60
4. არსენალი	32	16	8	8	52-29	56
5. ბოლტონი	33	16	6	11	40-40	54
6. ევერტონი	33	13	12	8	44-29	51
7. ტოტენჰემი	32	14	6	12	44-45	48
8. პორტსმუთი	33	12	10	11	41-37	46
9. რედინგი	33	13	6	14	44-41	45
10. ნიუკასლი	33	11	8	14	36-41	41
11. ბლეკბერნი	32	12	4	16	38-47	40
12. მანჩ. სიტი	32	11	7	14	26-35	40
13. მიდლსბრო	32	10	9	13	36-39	39
14. ასტონ ვილა	33	8	15	10	33-38	39
15. ფულჰემი	33	7	14	12	34-52	35
16. ვიგანი	33	9	7	17	32-49	34
17. ჩარლტონი	33	8	8	17	29-49	32
18. შეფილდი	32	8	7	17	26-47	31
19. ვესტ ჰემი	32	8	5	19	26-51	29
20. უოტფორდი	33	4	11	18	24-53	23

ბომბარდირები: 18 - დროგბა (ჩელსი); 16 - რონალდო (მანჩესტერ იუნ); 13 - მაკარტი (ბლეკბერნი); 12 - რუნი (მანჩესტერ იუნ), აიეგბენი (მიდლსბრო); 11 - ლემპარდი (ჩელსი), ჯონსონი (ევერტონი), ვან პერსი (არსენალი), მარტინსი (ნიუკასლი).

მომდევნო ტური

14 აპრილი. **არსენალი-ბოლტონი, მანჩესტერ სიტი-ლივერპული, მიდლსბრო-ასტონ ვილა, პორტსმუთი-ნიუკასლი, რედინგი-ფულჰემი, შეფილდი-ვესტ ჰემი.** 15 აპრილი. **ევერტონი-ჩარლტონი, ვიგანი-ტოტენჰემი.**

ჩემპიონატი

LXI ტური

ბირმინგემი-ბარნლი	0:1
კრ.პალასი-პრესტონი	3:0
კარლიფი-უენსდი	1:2
ქოვენთრი-ქუინზ პარკი	0:1
პალი-ნორვიჩი	1:2
იფსვიჩი-ბარნსლი	5:1
ლიდსი-პლიმუთი	2:1
ლესტერი-დერბი	1:1
ლუტონი-საუთჰემპტონი	0:2
საუთენდი-კოლჩესტერი	0:3
სანდერლენდი-ვულვზი	2:1
ვესტ ბრომვიჩი-სტოკი	1:3

LXII ტური

ბარნსლი-ბირმინგემი	1:0
ბარნლი-კარლიფი	2:0
კოლჩესტერი-ლიდსი	2:1
დერბი-ქოვენთრი	1:1
ნორვიჩი-ვესტ ბრომვიჩი	1:2
პლიმუთი-ლესტერი	3:0
პრესტონი-საუთენდი	2:3
ქუინზ პარკი-ლუტონი	3:2
უენსდი-იფსვიჩი	2:0
სტოკი-კრ.პალასი	2:1
ვულვზი-პალი	3:1
საუთჰემპტონი-სანდერლენდი	1:2

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. სანდერლენდი	42	24	7	11	65-41	79
2. დერბი	42	23	9	10	58-42	78
3. ბირმინგემი	41	22	8	11	58-37	74
4. ვესტ ბრომვიჩი	42	20	10	12	71-51	70
5. ვულვზი	42	20	9	13	49-50	69
6. პრესტონი	42	20	8	14	59-50	68
7. სტოკი	42	18	13	11	56-37	67
8. საუთჰემპტონი	42	18	12	12	70-50	66
9. კოლჩესტერი	42	19	8	15	65-49	65
10. კარლიფი	42	17	12	13	55-47	63
11. უენსდი	42	17	11	14	64-61	62
12. კრ. პალასი	42	16	10	16	53-47	58
13. პლიმუთი	42	13	16	13	55-59	55
14. იფსვიჩი	42	16	6	20	57-55	54
15. ნორვიჩი	41	15	8	18	51-62	53
16. ქოვენთრი	42	15	8	19	44-54	53
17. ბარნლი	41	13	12	16	43-41	51
18. ქუინზ პარკი	42	13	10	19	51-63	49
19. ლესტერი	41	11	14	16	44-56	47
20. პალი	42	12	8	22	47-63	44
21. ბარნსლი	42	13	5	24	48-76	44
22. ლიდსი	42	12	6	24	44-68	42
23. საუთენდი	42	10	12	20	43-68	42
24. ლუტონი	42	9	10	23	49-72	37

ბომბარდირები: 21 - ჩოპარა (კარდიფი); 19 - კამარა (ვესტ ბრომვიჩი); 18 - რასიაკი (საუთჰემპტონი); 17 - კარტონი (კოლჩესტერი), ირნმოუ (ნორვიჩი); 16 - ჰოვარდი (დერბი), იველუმი (კოლჩესტერი); 15 - ლი (იფსვიჩი); 14 - მაკშიფრი (ბირმინგემი), ნაჯენტი (პრესტონი).

I ლიგა

LXI ტური

**ბლეკპული-ტრანმერი 3:2; ბორნმუთი-ბრედფორდი 1:1; ბრენტფორდი-ჩელტენჰემი 0:2; ბრაიტონი-დონკასტერი 0:2; ბრისტოლი-სუონსი 0:0;

საფრანგეთი

XXXI ტური

ოსერი-ბორდო 0:0

ოსერი: სორენი, ფორესი, მინო, კაბუელი, სანია, შეირუ, ტომასი, ბა (43. მატის), კალენბერგი, აკალე, იელენი (82. ნიკულეა).

ბორდო: რამე, მარანტი, ალანუსი, ჟურიეტი, ენრიკე, ფობერი (74. კავენაგი), მავუბა (57. ვენდელი), მიკუ, ფერნანდო, იუსი, შამახი (83. ალოსნო).

გაფრთხილება: 3-3

გაძევება: შეირუ (51. ოსერი)

მაყურებელი: 14 556

მონაკო-ტრუა 0:0

მონაკო: რომა, მოდესტო, ბოლივარი, ჟიეე, დოს სანტოსი, დ. პერესი, პლასილი, ი. ტურე (59. გაპკე), მენეზი (59. ლეკო), პიკიონი (75. მერიემი), კოლერი.

ტრუა: ლე კორმი, ბერკაკი, ენზა იამისი, კუასი, პესლეი, ამზენი, ნივე, ბარბოსა (78. ლაშორი), მატუიდი, იბ. ბანგურა, დანიკი.

გაფრთხილება: 1-1

მაყურებელი: 9 311

ნანსი-ლორიანი 0:1

ნანსი: გრეგორინი, სოგე, პუიგრენე, ლეკლუზი, მრეტიენი, ბ. გავანონი, ბერენგერი (80. დუშენენი), ის. დია, ჰაჯი (66. კურბელო), კიმი, ფორტუნე.

ლორიანი: რე. რიუ, ტალე, მარშალი, სიანი, მორელი, ევოლო (54. ნამუში), აბრიელი, მანსური, ლე პენი, გინიაკი (74. ბარი), საიფი (77. ბურანი).

გოლი: 0:1 საიფი (68-პენ)

გაძევება: ლეკლუზი (90+5. ნანსი)

გაფრთხილება: 3-3

მაყურებელი: 18 370

ჟსუ-ლე მანი 2:1

ჟსუ: ლანდრო, მულუმბუ, როზენალი, სა. ტროორე, არმანი, ტ. კლემანი, ე. სისე, როტენი, ფრო (82. გალიარდო), ლუინდულა (75. კ. როდრიგესი), პაულეტა (69. დიანე).

ლე მანი: როში, ო. ტომასი, ბსსა, ლუვინენ, ბონარი, რომარიკი, კუტადორი (83. ლუკო), სესენონი, ის. ბანგურა (83. ფანმონი), გრაფიტე, სამასა (64. დე მელო).

გოლები: 0:1 გრაფიტე (30), 1:1 ლუინდულა (56), 2:1 დიანე (81)

გაფრთხილება: 0-2

მაყურებელი: 42 3 68

სოშო-ნიცა 1:1

სოშო: რიშერი, ნ'დაკი, ბრეშე, ტოშიჩი, პიშო, პიტო, ზიანი, ისაბეი (68. ბირსა), ლეგრუა, ალეკარო სანტოსი (70. დაგანო), გრაქსი (59. კერსია).

ნიცა: ლორისი, აპამი, აბარდონადო, კანტე, ვარო, ბალმონენ, ეშუაფნი, ფანი, დიაკიტე, ლასლანდი (90+1. სკოტე), ბელიონი (77. ვაირუა).

გოლები: 0:1 ბელიონი (67), 1:1 დაგანო (70)

გაფრთხილება: 0-1

მაყურებელი: 16 759

სტ.ეტიენი-ნანტი 2:1

სტ.ეტიენი: ფანო, ონონი, ზ. კამარა, ილუნგა, დერნისი (52. გარენი), პერენი, მ. დაბო, საბლე (90. პერკისი), ფეინდუნო, გომისი, ჰაინეი (68. ლანდრენი).

ნანტი: ბარტეზი, სეტო, კუბილე, დეს ნევეისი (46. სავინო), გიიონი, ვენკორი (61. პეიე/80. კესერუ), და როშა, სა, დიალო, ზაირი, პიერონი.

გოლები: 1:0 ონონი (26), 1:1 დიალო (28), 2:1 გომისი (33)

გაძევება: დაბო (65. სტ. ეტიენი)

გაფრთხილება: 2-1

მაყურებელი: 33 606

ვალანსი-ლიონი 0:0

ვალანსი: პენეტო, მატერი, ფლაშე, უადუ, რიპერი, ფეოვინო, დუმენგი (58. დოსევი), ჰაიუე, რუდე, სავიდანი (87. ლორონი), ჰასლი (75. ბეზაზი).

ლიონი: კუპე, რეგეიერი, სკალაჩი, კრისი, ბიდალი, ტულალანი (21. ფაბიო სანტოსი), ტიაგო, კალსტროიმი, ვილტორი, ბენზემა (53. ფ. მალუდა), ბაროში (77. ფრედი).

გაფრთხილება: 2-2

მაყურებელი: 15 999

რენი-ლანსი 1:0

რენი: პუპლენი, მელბიოტი, ტ. ფატი, ბორნი, ედმანი, ბრ. მეიერუ, სორლენი, ე. დიდო, ტომერტა (85. მარეო), უტაკა (81. დანზე), ბრიანი.

ლანსი: ოტანეკუ, ბიშეკაცი (74. დემონი), ადე. კულიბალი, პილტონი, ტიქსიე, კოვაჩევიჩი (80. ბუკარი), სე. კეიტა, კარიერი (74. ფემაა), მონტერუბიო, დინდანე, კუზენი.

გოლი: 1:0 უტაკა (30)

გაფრთხილება: 0-2

მაყურებელი: 27 108

ესპანეთი

XIV ტური

ატლეტიკო-ტენერიფე	2:2
ალბაკეტე-ალბასეტე	4:2
მონტერეი-ატლეტიკო	2:0
კორუნიას-მორელია	3:1
ჩივასი-ბიზკაია	1:0
ნ

ევროპის ერთა თასი

ჩვენი ბრალი არ არის, ღმერთო!

სუსტი უნდა გაანადგურო, მეტი რა გზაა?

7 აპრილი. თბილისი

საქართველო-ჩეხეთი 98:3

საქართველო: (15-9) ჯიმშელაძე, შკინინი (ელოშვილი 49), ურჯუკაშვილი (დ.კაჭარავა 54), ი. გიორგაძე, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი აბუსერიძე (სამხარაძე 49); (1-8) გასვიანი (მაგრაქველიძე 45), კოპალიანი (ულენტი 52), დიდებულიძე, მჭედლიშვილი, ი. მაისურაძე (ახვლედიანი 61), ჩხაიძე, უდესიანი (სუთიაშვილი 49) - *16 ლ (მჭედლიშვილი, დადუნაშვილი-3, მაისურაძე, ურჯუკაშვილი-3, შკინინი, გიორგაძე, ჯიმშელაძე, ელოშვილი, კაჭარავა, ხამაშურიძე, კვირიკაშვილი, საჯარიმო); 9გ - კვირიკაშვილი*

ჩეხეთი: (15-9) **რუდოლფი (ირმანი 61), ნევიცკი (ჰონერი 52), ვოკრუპლიკი, ტომჩიკი, შლანგერი, კრეიჩი, დოსედლა (სიროვი 57); (1-8) შუსტერი (სკალი 61), ოსვალდი (ზახარიაში 61), ინდრაკი (ბენდა 61), დლოუპი (მენშიკი 59), ნემეჩეკი, ვენიგერი, მადრი (მენშიკი 64), კუჩერა - ა** *(კრეიჩი)*

მსაჯი: ჟან-კრისტოფ გასტუ (საფრანგეთი)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საქართველო	4	3	0	1	+103	6
2. რუმინეთი	3	2	0	1	+66	4
3. რუსეთი	2	1	0	1	+6	2
4. პორტუგალია	1	1	0	0	+3	2
5. ესპანეთი	4	1	0	3	-50	2
6. ჩეხეთი	2	0	0	2	-128	0

პირველი წრის ბოლომდე. 24 აპრილი: რუსეთი-ჩეხეთი, **5 მაისი:** ჩეხეთი-ესპანეთი,**12 მაისი:** პორტუგალია-რუსეთი, **19 მაისი:** ჩეხეთი-პორტუგალია, **23 ივნისი:** საქართველო-პორტუგალია, **10 ნოემბერი:** რუმინეთი-რუსეთი, **17 ნოემბერი:** პორტუგალია-რუმინეთი

საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა, შაბათს ეროვნულ სტადიონზე, ერთა თასის გათამაშების მორიგ მატჩში ჩეხეთი სარეკორდო ანგარიშით 98:3 დაამარცხა. აქამდე ჩვენი უდიდესი მოგება 2002 წელს ჰოლანდიის 88:0 ძლევა იყო.

ბორჯღალოსნების გამარჯვებაში თამაშის დაწყებამდე ეჭვი არავის ეპარებოდა, მაგრამ თუ მოწინააღმდეგე ამდენად უსუსური აღმოჩნდებოდა, ნამდვილად არავის ეგონა.

ჩეხეთის ნაკრები დიდი ანგარიშით აქამდეც დაგვიმარცხებია. 2005 წელს ქუთაისში 75:10 მოვუგეთ, თუმცა ანგარიშში ასეთი საგრძნობი სხვაობის მიუხედავად, მაშინ მეტოქემ წინააღმდეგობა მაინც გაგვიწია. შაბათს კი მოედანზე მხოლოდ ერთი გუნდი იყო, და ერთადერთი ღირებული რაც სტუმართა გუნდმა მთელი თამაშის მანძილზე გააკეთა მათი კაპიტნის **ტომაშ კრეიჩის** მიერ გატანილი არეკნი იყო.

ჩეხების რბევა ბორჯღალოსნებმა მე-6 წუთიდან დაიწყეს, როცა ლელოდან ხუთ მეტრში დანიშნული მათივე შერკინება მოვიგეთ და ლელოში შევათრიეთ. ამის შემდეგ ჩვენი მორაგბეების ლამის ყველა შეტევა ლელოთი მთავრდებოდა. სულ 16 ლელო დაგროვდა, ყველაზე მეტი სამ-სამი შუამარბმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა** და კვაჭმა **დავით დადუნაშვილმა** მიითვალეს.

ძნელი სათქმელია, რამდენად სასარგებლო იყო ეს შეხვედრა ჩვენი გუნდისთვის, თუნდაც მსოფლიო თასისათვის მზადების კონტექსტში. ასე თავისუფლად სირბილს არსად არავინ გვაცლის. საკუთარი ოცდაორმეტრიანი ზონიდან შეტევის წამოწყებას ლელო მხოლოდ შვიდკაცა რაგბიში თუ მოჰყვება. შაბათს კი ასეთი კი სამი თუ ოთხი შემთხვევა იყო.

მეტოქის სისუსტე სულაც არ აკნინებს ჩვენი ბიჭების გარჯას და მონდომებას. მეტოქე, ვინც არ უნდა იყოს, თავიდან მაინც საბრძოლველად გამოდის მოედანზე. წინა შეხვედრაში რუსეთის ნაკრები მეორე ტაიმში გავტეხეთ და შედეგიც მოვიმკეთ, ჩეხებს არ "გაუმართლათ", მათ წინააღმდეგობის გაწევა ვერც მოასწრეს.

მაყურებელმა კი მაინც იხალისა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფსონების ჩამოსვლაც დაიწყეს, მორიგ ლელოს ვინ გაიტანდა. რამდენიმემ გაარტყა კიდეც. ფსონი 100 ქულის დაგროვებაზეც გაკეთდა. ასი, ასიო შეუძახეს კიდეც ქომაგებმა. **ბესო ხამაშურიძეს** შეეძლო კიდეც უკანასკნელ წამებზე მიზნის მიღწევა. მოედნის ცენტრთან ხაზი გაჭრა, თითქოს ხელსაც არავინ უშლიდა, მაგრამ უეცრად წაიბორძიკა, შეფერხდა. მეტოქეებიც წამოეწივნენ და თანაგუნდელებიც, ამასობაში კი არბიტრმა უნებლიე ბლოკი დააფიქსირა, ბურთი ჩამოგვართვა, შერკინება დანიშნა და თამაშიც დაასრულა.

ლევან მგელაძე, **ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელი:** - თავიდანვე ვამბობდი, რომ სუსტი გუნდი გვყავს. იმ შემადგენლობიდან, რომელიც ოპტიმალურად მიმაჩნია, დღეს მხოლოდ ხუთმა კაცმა ითამაშა. ყველა რომ ყოფილიყო ალბათ მაინც წავაგებდით დიდი ანგარიშით, მაგრამ ასე უსაშველოდ არა.

ტომაშ კრეიჩი, **ჩეხეთის ნაკრების კაპიტანი:** - ვერ ვითამაშეთ. ჩვენ სულ სხვა რამის გაკეთება გვინდოდა, არ გამოგვივიდა. ბოდიშს ვუხდით სტადიონზე მოსულ გულშემატკივრებს, ბრძოლა რომ ვერ ვუჩვენეთ.

მალხაზ ურჯუკაშვილი, **საქართველოს ნაკრები:** - არ მეგონა, ჩეხების გუნდი თუ ასეთი სუსტი იქნებოდა. უფრო მეტ წინააღმდეგობას ველოდით მათგან. ჩვენ მაქსიმუმი გავიღეთ, ყველაფერი გავაკეთეთ რაც შეგვეძლო. ვფიქრობ გულშემატკივრები კმაყოფილნი არიან.

ბესიკ ჯანგავაძე

ბესიკ ხამაშურიძის სალელოე პასი (დავით დადუნაშვილს) და ლელო

ნუგზარ სუარიძის ფოტოები

ზიმბაბვე-საქართველო. ვასილ კაკოვინის ლელო

მსოფლიო ჩემპიონატი. U-19

შანსი მაინც დაგვრჩა

საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრებმა ბელფასტში, მსოფლიო ჩემპიონატის მეორე შეხვედრაში ყველასთვის მოულოდნელად მარცხი განიცადა ზიმბაბვეს ნაკრებთან - 26:33. ჩვენმა გუნდმა მეტოქეს ოთხი ლელო გაუტანა, ამისთვის და შვიდი ქულით მარცხისთვის ორი პრემიალური ქულა მაინც მოიპოვა და პირველი ადგილისთვის პლეი ოფში გასვლის შანსი შეინარჩუნა.

ზიმბაბვესთან თამაში საქართველოს ნაკრების უპირატესობით დაიწყო და უკვე მეთორმეტე წუთზე შერკინების **გიორგი ჯაშიტაშვილმა** ანგარიში გახსნა, **ბექა ნიკლაურმა** ზუსტად გარდასახა 7:0. ათ წუთში უკვე ფლანკერმა **ვასილ კაკოვინმა** გამოიჩინა თავი - 12:0. ამის შემდეგ მოედანზე ვითარება კარდინალურად შეიცვალა. გატანილ ლელოს აფრიკელებმა ორი საჯარიმოც მიაყოლეს და ტაიმი სათავისოდ დაასრულეს - 13:12.

სამწუხაროდ მდგომარეობა არც მეორე ნახევარში გამოსწორებულა. ზიმბაბვემ სამი ლელო გაგვიტანა, რომელთაგან ერთი გარდასახა, ერთიც ჯარიმა მიუმატა და თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე 33:12 დაწინაურდა. ჩვენმა მორაგბეებმა ხელი ამ დროსღა გამოიღეს და შეცვლაზე შემოსულებმა, **დავით ჩიჩუამ** და **გიორგი კალმახელიძემ** თითო ლელო გაიტანეს, ორივე გარდასახვა ზუსტად **რატი ნუცუბიძემ** დაარტყა.

12 აპრილს საქართველოს ნაკრები ჯგუფური ეტაპის ბოლო შეხვედრას რუსეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, რომელმაც ორივე შეხვედრაში მარცხი განიცადა. პლეიოფში გასასვლელად რუსები ოთხი და მეტი ლელოთი უნდა დავამარცხოთ.

საქართველო-ზიმბაბვე 26:33

(15-9) კავთიძე (ალადაშვილი 77), ტუჩაშვილი, სვანიძე (ინაშვილი 62), ნუცუბიძე, ბ.წიკლაური (მ.წიკლაური 61), ხმალაძე, როხვაძე (ზირაქაშვილი 51); (1-8) ცირეკიძე (მირცხულავა 45), სულუხია, ჯაშიტაშვილი, კოლელიშვილი (ჩიჩუა 51), ძაგნიძე (სბ, კალმახელიძე 45), მძინარიშვილი, კოკოვინი, კობაური - 4ლ (ჯაშიტაშვილი, კაკოვინი, კალმახელიძე, ჩიჩუა) 3გ (ბ.წიკლაური, ნუცუბიძე-2)

მეორე ტური: **საქართველო-ზიმბაბვე 26:33, რუმინეთი-აშშ 10:16, რუსეთი-კანადა 5:33, ტონგა-კუკის კუნძულები 72:6, იტალია-ჩილე 32:13, ურუგვაი-ტაივანი 55:5**

სატურნირო მდგომარეობა: 1. ტონგა-10 ქულა, 2. იტალია-10, 3. კანადა-9, 4. აშშ-8 / 5. საქართველო-7, 6. ურუგვაი-5, 7. ზიმბაბვე-5, 8. ჩილე-5 / 9. რუმინეთი-1, 10. რუსეთი-1, 11. კუკის კუნძულები-0, 12. ტაივანი-0

12 აპრილი. **ჩილე-ურუგვაი, ზიმბაბვე-აშშ, ტაივანი-კუკის კუნძულები, ტონგა-იტალია, რუმინეთი-კანადა, საქართველო-რუსეთი.**

ევროპის ჩემპიონატი. U-18

მეექვსე ადგილზე

საქართველოს თვრამეტწლამდელთა ნაკრებმა, საფრანგეთის ბასკეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის ელიტურ A ჯგუფში, მეხუთე ადგილისთვის მატჩში რუმინეთის ნაკრებთან მარცხი განიცადა 7:10 და საბოლოოდ მე-6 ადგილს დასჯერდა.

პატარა ბორჯღალოსნებმა მართალია შარშან ნაჩვენები შედეგი (მე-5 ადგილი) გააუარესეს, მაგრამ ელიტაში ადგილი შეინარჩუნეს და მომავალ წელსაც A ჯგუფში იასპარეზებენ.

ევროპის ჩემპიონის ტიტული კი მასპინძელმა, საფრანგეთის ნაკრებმა მოიპოვა. ფინალური შეხვედრა ირლანდიის ნაკრების წინააღმდეგ მათ ფრედ 8:8 დასრულეს. გამარჯვებულის გამოსავლენად გუნდებმა მატჩისშემდგომი არეკნები დაარტყეს. ფრანგები აქ უფრო ზუსტი აღმოჩნდნენ, ერთით მეტი არეკნი გაიტანეს პირველობა ირგუნეს.

დივიზიონის ხელმოცარული კი პორტუგალიის ნაკრებია, რომელმაც მე-7 ადგილისთვის მატჩი რუსეთის ნაკრებთან დათმო 17:34. მის ადგილს B ჯგუფის გამარჯვებული ესპანეთი დაიკავებს.

ევროპის ჩემპიონატი. U-18

მე-7 ადგილისთვის

რუსეთი-პორტუგალია 34:17

მე-5 ადგილისთვის

რუმინეთი-საქართველო 10:7

მე-3 ადგილისთვის

ინგლისი-იტალია 52:9

ფინალი

საფრანგეთი-ირლანდია 8:8

(არეკნ. 4:3).

შერმადინი მსოფლიომ ვერ ნახა

კალათბურთი. ალბათ, ძალზე ძნელია ახალგაზრდა კალათბურთელისთვის იმის გათვითცნობიერება, რომ ის სულ ბოლო წამს დააკლდა მსოფლიო ნაკრებში თამაშს. **გიორგი შერმადინი** "ნაიკ ჰუპ სამიტის" ეგიდით მსოფლიოსა და ამერიკის ნაკრებთა მატჩში იყო დაპატიჟებული, თუმცა ჩვენებურმა ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო თამაში ვერ შეძლო. მის ნაცვლად მსოფლიოს ნაკრებს **რაიან რიჩარდსი** დაამატეს. ბრიტანელმა მატჩში მხოლოოს სამი წუთი ითამაშა. ამერიკელთა უპირატესობა აშკარა იყო და მათ 20 ქულის სხვაობით, 100:80 გაიმარჯვეს.

ძიუდო

ბრწყინვალე შვიდეული

პირველი გვერდიდან

73, ძევხიშვილი

ალბათ, მენისკნაოპერაციები და ტურნირებზე უჭიდავებელი **დავით ქევხიშვილის** ვერცხლი გუნდის ყველაზე დიდი სენსაციაა. ქევხიშვილმა შემოდგომაზე გამართული მსოფლიოს გუნდური პირველობის შემდეგ მენისკის ოპერაცია გაიკეთა და აქამდე ტურნირებში არ უჭიდავია. იგი ბელგრადში ორი შეკრების ამარა და გამოცდილების იმედით წაიყვანეს. ჯერ კიდევ ბოლო შეკრებაზე მუხლში ისევ წყალი უდგებოდა და მოძრაობაში ზღუდავდა. იმედოვნებდნენ, რომ ჩემპიონატამდე დარჩენილ ერთ კვირაში ისიც გაინოვებოდა დროს, ჩანს, ასეც მოხდა, რომ არა წონაში შექმნილი საკადრო პრობლემები, იქნებ, გამოცდილების მისალებად ვინმე ახალგაზრდა წაიყვანათ, მაგრამ ვინაიდან ქევხიშვილის იქით ნათელი ნერტილი არ მოჩანს, ენდნენ მის გამოცდილებას და ნაკრების პრესტიჟი ანდეს.

ქევხიშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მერე კი იოლად დაადგო ახალგაზრდა პოლონელი **პაველ ზიდაკი** და საკმაოდ გამოცდილი მოლდოველი **ვიტალი ბივოლი**. შედარებით გაუჭირდა მეოთხედფინალში ავსტრიელ **ქრისტოფ შტანგლთან** - კოკათი მოუგო, ნახევარფინალში კი იუკოთი დაამარცხა ასევე გამოცდილი პორტუგალიელი **ჟოაო პინა**.

ქევხიშვილი მეორედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, სადაც მეტოქედ ევროპის შარშანდელი მესამე პრიზიორი, 26 წლის არლუნელი ჩეჩენი **სალამუ მეჟიდოვი** ელოდა. ქევხიშვილი მას კარგად იცნობს - შარშან პრაღის ტურნირზეც მოუგო და მსოფლიოს გუნდურ პირველობაზეც. თანაც, ორივეჯერ მეტად დამაჯერებლად.

"იცოდე, თუ ფინალს არ მოიგებ, მეორე ადგილი ბევრი არაფერია. ეგრე მეც გავედი ევროპაში მეორეზე, მაგრამ რა მაგით მერე? მთავარი ჩემპიონობაა." - არიგებდა ქევხიშვილი შარშან, ასევე ევროპის პირველობის ფინალის წინ მეგობარს - ზაზა კედელაშვილს. ფინალისტის სტატუსის ჩამოსაშორებლად მან ახლაც ყველაფერი გააკეთა, ლამის მთელი შეხვედრა უტევდა და იმდენად კარგად იჭიდავა, რუსულ სააგენტოებსაც კი დასტყუა ქება, თუმცა მაინც წააგო - შეხვედრის მიწურულს კონტრილეთებზე წამოეგო და ორი ვაზარი გაატარა. მარცხი დასანანია, მაგრამ ამ პირობებში ვერცხლი ქევხიშვილისთვის ნორმალური შედეგია.

დავით ქევხიშვილი (ქვემოთ) ფინალში, სალამუ მეჟიდოვთან

81, გაინდურაშვილი

გიორგი გაინდურაშვილმა ევროპის სადებიუტო პირველობა მეშვიდეზე ადგილზე ჩაამთავრა, რაც ნორმალურ შედეგად მიგვაჩნია. ყოფილი სამბისტი ძიუდოში ინტენსიურად სულ რაღაც სამი წელინადია, რაც გამოდის და აკი ბელგრადში ნასვლამდე თვითონაც აღნიშნა, ჯერ მაინც არის ჩემში რაღაცები სამბისტის, რაც წარმატებაში ხელს მიშლისო. ჩანს, ძიუდოში საადაპტაციო პერიოდში ჯერ კიდევ არ გასრულებულა, მაგრამ მთავარია, მასში პერსპექტივა არის. ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს ხშირად უთქვამს, რომ იგი მზარდი სპორტსმენია და გეგმაზომიერად უმატებს.

დებიუტანტმა პირველი ორი შეხვედრა იოლად მოიგო - უნგრელი **შანდორ ნადისოლიმოში** კოკა-ვაზარის შემდეგ ბეჭებზე დასცა, პორტუგალიელი **ჟოაო ნეტო** კი პირდაპირ იპონზე დააგდო. ამის შემდეგ მცირე სხვაობით სლოვენიელ **კლერმონ ფერიანთან** წააგო. სავარაუდოდ, ესეც უფრო გამოუცდელობით, თორემ სლოვენიელი ლიდერებს ნაღდად არ მიეკუთვნება და დიდად ვერც აქ იყოჩაღა.

ბაინდურაშვილი სანუგეშოშიც წარმატებით ჩაერთო - უკრაინელ **სერგეი ბალაბანს** მოუგო, მაგრამ გერმანელ ევროპის ჩემპიონ **ოლე ბიშოფთან** დამარცხდა. იმის მიუხედავად, რომ ზედიზედ მეორე ევროპირველობაა, ბიშოფი მეხუთე ადგილს ვერ ასცდა, იგი მაინც წონის ერთ-ერთი ლიდერია და მასთან წაგება არაა დასაძრახი.

90, ცირეკიძე

როცა ჯერ კიდევ ბორჯომში, შეკრებაზე მყოფ შოთა ხაბარელს უკრაინელთა შემადგენლობა გავაცანით, უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა, აჰა, 90-ში მაინც გრეკოვი დააყენესო. სამწუხაროდ, გამოცდილ მწვრთნელს ალღომ არც ამჯერად უმტყუნა და ოქრო სწორედ **ვალენტინ გრეკოვმა** წაგვართვა. ხაბარელი არც იმაში შემცდარა, როცა **ირაკლი ცირეკიძე** წონის ლიდერად და ოქროს მოპოვების კანდიდატად დაასახელა.

ირაკლიმ ოთხი მოგებული შეხვედრიდან ორში წმინდად იმარჯვა - ხორვატ **ტომისლავ ვუჩაკთან** და თურქ **ბურჰან ქოჯანთან**, მომდევნო ორში კი იუკოებით იმარჯვა - იტალიელ **რობერტო მელონისთან** და ესპანელ **დავიდ ალარსასთან**. იტალიელი ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონია, უფროსებში - ევროპის ვიცე-ჩემპიონი და ბელგრადში ზედიზედ მეორედ მოიპოვა ბრინჯაო. ალარსა სულაც ევროპის ჩემპიონია, შარშან ვერცხლიც მოიპოვა, ახლა კი ბრინჯაოს დაეუფლა და ევროპული კოლექციაც შეკრა.

რაც შეეხება გრეკოვს, მას ევროპირველობაზე აქამდე ორჯერ გაემარჯვა, ბელგრადში კი დისკვალიფიკაციამოხდილი ჩავიდა - შარშან აშშ-ის ღია პირველობაზე დოპინგის მიღებაში ამხილეს და ერთწლიანი სასჯელიც მიიღო. ვერ ვიტყვით, რომ ცირეკიძესთან საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მაგრამ ჭკვიანური ტაქტიკით კი იბრძოლა. უკრაინელმა ჯერ კოკა მიიღო, მაგრამ ძირითადი დროის დასრულებამდე ცირეკიძემ მეტოქე გაფრთხილებინა და ანგარიში გაათანაბრა. სამწუხაროდ, დამატებით დროში, სადაც ბრძოლა პირველ ქულამდეა, ილეთი გრეკოვმა შეასრულა.

ცირეკიძემ კი გაასამა - აქამდე ორჯერ იჭიდავა ევროპაზე, მაგრამ უშედეგოდ - შარშანწინ მეხუთეზე გავიდა, შარშან კი უსახელოდ გავარდა. არსებითად, პირველხარისხოვან ტურნირებზე მას ევროპის გარდა, სხვაგან არც უჭიდავია. პარადოქსია, მაგრამ აქამდე ისე მოვიდა, ნაკრებიდან ოლიმპიური ჩემპიონი ისე ამოაგდო, ზურგს ერთი სერიოზული ჯილდო არ უმაგრებდა, ახლა კი ეს ხარვეზი გამოსწორდა. ამდენად, ეს ცირეკიძისთვის მნიშვნელოვანი მედალია, რომელიც ორიოდ კვირის წინ გარდაცვლილი პირველი მწვრთნელის - **ომარ მერაბიშვილის** ხსოვნას მიუძღვნა.

ახლა წინ მსოფლიოსთვის მზადების ეტაპია, რომელიც სამ სალიცენზიო ტურნირსაც მოიცავს - რომს, მოსკოვსა და ბუქარესტს. ცირეკიძეს იქ ცხარე ბრძოლა ელის, რადგან **ზურაბ ზვიადაურს** ნაკრებში დაბრუნება მტკიცედ გადაუწყვეტია. ვნახოთ, ეყოფა თუ საამისოდ ნებისყოფა, ამჯერად მაინც აჯობებს თუ ვერა საკუთარ თავს.



ირაკლი ცირეკიძე დამატებით დროში დამარცხდა

100, ჟორჟოლიანი

უმედლოდ დარჩენის მიუხედავად, **ლომერ ჟორჟოლიანის** გამოსვლას მარცხს მაინც ვერ ვუწოდებთ. ევროპის ჩემპიონატმა დებიუტანტს დიდი სიმაღლეები და იქამდე მიმავალი ციცაბო გზა დაანახა. რაც მთავარია, ქართველმა კიდევ ერთხელ, საკუთარი პერსპექტიულობა გვიჩვენა.

შესაძლოა, ახალგაზრდა, გამოუცდელი და ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ჟორჟოლიანი დღეს მზად არაა დიდი წარმატებების მოსაპოვებლად, მაგრამ წონის ლიდერებში გარევა რომ რეალურად შეუძლია, ბელგრადში გამოჩნდა.

სასურველია, ლომერმა ტექნიკაში ცოტა მოუმატოს და ჭიდაობა გაამრავალფეროვნოსო, გვითხრა მისი დახასიათებისას ხაბარელმა. წლეულს მისი ჭიდაობა საქართველოს ჩემპიონატზეც ვნახე, თბილისის ტურნირზეც და ბოლო შეკრებაზე, ერთობლივ ვარჯიშებზეც. რაღაც ერთფეროვნება მართლაც შეინიშნება. შეკრებაზე, საკონტროლო ბრძოლებისას ესეც შევამჩნიე - თავისივე თანატოლ **ნოდარ მეტრეველს**, არანაკლებ პერსპექტიულსა და ნაქებ მოჭიდავეს, თამამად ეჭიდავებოდა, არაფერს უთმობდა და დამაჯერებლადაც მოუგო, მაგრამ თავისზე უფროსსა და გამოცდილ **გიორგი ყიზილაშვილთან** უფრო ფრთხილად ჭიდაობდა. თითქოს ერიდებოდა ორთაბრძოლებში ჩაბმას, შუაგულ ბრძოლაში შევარდნას და გარედან უვლიდა მეტოქეს, მის შეცდომებს ელოდებოდა...

ბელგრადში ლომერი დაახლოებით ასე ეჭიდავა ბრინჯაოს მედლისთვის ებრაელ **არიელ ზეევის**. ზეევი უნიჭიერესი მოჭიდავეა, ძალიან დაკვირვებული და გამოცდილი, რომელიც ტატამზე იშვიათად გააკეთებს ზედმეტ მოძრაობას, მხოლოდ თავისზე გამოცდილთან თუ შეცდება, ჩვენებურთან კი არც გასჭირვებია თავისი ტაქტიკის შეთავაზება, შეხვედრის მიმდინარეობის რეგულირება და საბოლოოდ - გამარჯვება. ჟორჟოლიანს სწორედ ასეთ მეტოქეებთან, ამ დონეზე ბრძოლების გამოცდილება აკლია და იგი სწორედ ამგვარ შეხვედრებში უნდა გამოიწრთოს.

ლომერი პირელ წრეში ისვენებდა, მეორეში აზერბაიჯანელი მსოფლიოს პრიზიორი **მოვლუდ მირალიევი** ვაზარით დაამარცხა, მესამეში სლოვენიელ **პრიმოჟ ფერიანს** დიდი უპირატესობით აჯობა და ნახევარფინალში რუს ევროპის ჩემპიონ **რუსლან გასიმოვთან** დამარცხდა.

მძიმე, გუჯეჯიანი

როცა ხაბარელს ფრანგთა შემადგენლობა გავაცანით, უცხოელთაგან ერთადერთი კომენტარი მძიმეწონოსან **ტედი რინერზე** გააკეთა - ძალიან მაგარი ბიჭიაო. ჩვენდა სამწუხაროდ, მწვრთნელი არც ამჯერად შეცდა. ვერავინ დაიჩემებს, რომ რინერი, რომელიც ახლახან გახდა 18 წლისა, აუცილებლად ახალი **დავიდ დუიე** გახდება, მაგრამ მაინც ბევრი მოასწრო - ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონობაც და მსოფლიოსი, ახლა კი უფროსებში ევროპული დებიუტი ოქროთი დაასრულა.

არადა, ლაშა გუჯეჯიანს მოგებაც შეეძლო. ვგულისხმობთ იუ3 მშვენიერ კისრულს, უკვე კოკათი ჩამორჩენილმა ქართველმა რომ შეასრულა. თითქოს ყველაფერი უნაკლოდ გააკეთა, თითქოს რინერის ბეჭები ტატამს ვერ უნდა ასცდენოდა, მაგრამ ფრანგმა მაინც მოახერხა ჰაერში ამოტრიალება.

ვფიქრობ, მედალზე არანაკლებ მნიშვნელოვანი **ლაშა გუჯეჯიანის** გარდაქმნაა - მართლა სერიოზულად მიუდგა საქმეს და შედეგიც მიიღო. იგი თავადაც აღიარებს, რომ მხოლოდ ნაკრების ლიდერობა ბევრს არაფერს ნიშნავს და მთავარი მედალია. აცხადებდა კიდეც, რომ მისი მიზანი ჯილდოს მოპოვება იყო, ხოლო ხარისხს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. იგი რომ სერიოზულად მიუდგა ვარჯიშებს, სამგზის მსოფლიო ჩემპიონ **ალექსანდრ მიხაილინთან** მოგებაც ადასტურებს. იქნებ მიხაილინი არ იყო ფორმაში, იქნებ გუჯეჯიანმა გდება ვერ გააკეთა - მეტოქე გაფრთხილებინა და კოკათი მოუგო, მაგრამ ამ დონის მოჭიდავესთან მოგება მაინც გამორჩეულია. თანაც, მიხაილინის პასიურ მდგომარეობაში ჩაყენება, მისთვის შეტევა და კუთხეში მიმწყვდევა როგორია! მიხაილინის გარდა, მან ორივე ბრძოლა სუფთად მოიგო - ჯერ ბრიტანელ **ჯო დელეისთან**, მერე კი ნახევარფინალში უკრაინელ მსოფლიოს პრიზიორ **ევგენი სოტნიკოვთან**. და ძალიან ცოტა დააკლდა ევროპის ჩემპიონობამდე!

ევროპის ჩემპიონები

6-8 აპრილი, ბელგრადი (სერბეთი)

ვაჟები

73 კგ. 1. სალამუ მეჟიდოვი (რუსეთი), 2. დავით ქევხიშვილი (საქართველო), 3. გეორგი გიორგიევი (ბულგარეთი), კანსტანცინ სიამონაუ (ბელარუსი)

81 კგ. 1. რობერტ კრავჩიკი (პოლონეთი), 2. სიარჰეი შუნძიკაუ (ბელარუსი), 3. გიიომ ელმონტი (ჰოლანდია), ოლე ბიშოფი (გერმანია); 7. გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო)

90 კგ. 1. ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა), 2. ირაკლი ცირეკიძე (საქართველო), 3. დავიდ ალარსა (ესპანეთი), რობერტო მელონი (იტალია)

100 კგ. 1. დანიელ პადფი (უნგრეთი), 2. რუსლან გასიმოვი (რუსეთი), 3. ფრედერიკ დემონფოკო (საფრანგეთი), არიელ ზეევი (ისრაელი) 5. ლომერ ჟორჟოლიანი (საქართველო)

+100 კგ. 1. ტედი რინერი (საფრანგეთი), 2. ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო), 3. ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი), ანდრეას ტოლცერი (გერმანია)

ქალები

63 კგ. 1. ლუსი დეკოსი (საფრანგეთი), 2. ურსკა ზოლნირი (სლოვენია), 3. კლაუდია პაილი (ავსტრია), ანა ფონ პარნიე (გერმანია); ანა ძაძამია პირველ წრეში დამარცხდა

70 კგ. 1. ჟევრის ემანი (საფრანგეთი), 2. კატარინა პილოციკი (პოლონეთი), 3. ედიტ ბოსხი (ჰოლანდია), მარინა პრიშჩეპა (უკრაინა)

78 კგ. 1. სტეფანი პოსამაი (საფრანგეთი), 2. ვერა მოსკალიუკი (რუსეთი), 3. მიშელ როჯერსი (ბრიტანეთი), ესთერ სან მიგელი (ესპანეთი)

+78 კგ. 1. ან-სოფი მონდიე (საფრანგეთი), 2. კაროლა ულენპუდი (პოლანდია), 3. თეა დონღუზაშვილი (რუსეთი), ლუჩია პოლავდერი (სლოვენია); ირინე ლეონიძე პირველ წრეში დამარცხდა

მძიმე წონის პოდიუმი: გუჯეჯიანი, რინერი, ტოლცერი, მიხაილინი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ჩოგბურთი

ნენად ჯიმონჯიჩი, ილია ბოზოლიაცი

დევისის თასი

ერთი სეტი ნუგეშად

ერთადერთი ქართველი ჩოგბურთელი, რომელიც ბელგრადის გარეუბან კოვილოვოში ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა სერბ მეტოქეებს **ლადო ჩიხლაძე** იყო. სწორედ ლადომ შეძლო ერთადერთი სეტის მოგება მთელ მატჩში. მოკლედ, საქართველოს ნაკრებისთვის მსოფლიო ჯგუფის ფლეი-ოფში გასვლა ჯერ ნაადრევია, აი, სერბთათვის კი - სწორედ დროული. ჩვენ კი წლეულს ის ვიკმაროთ, რომ ელიტამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ **ირაკლი ლაბაძე** ტრავმის გამო დევისის თასის მატჩს გამოტოვებდა, ცხადი შეიქმნა, რომ სერბები ფლეიოფში უპრობლემოდ გავიდოდნენ. ასეც მოხდა - სამ დღეში მათ ყველა მატჩი მოგვიგეს - 5:0. პირველ დღეს **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** ჩვენი გამოუცდელი ჩემპიონი **გიორგი ჭანტურია** დაამარცხა (გიორგიმ ტრავმა მიიღო, თუმცა ისედაც უიმედოდ აგებდა), მას შემდეგ სერბებს თავიანთი ახალი გმირი, მსოფლიოს მეშვიდე ჩოგანი აღარ შეუწუხებიათ. მატჩის ბედი კი, ჩვენი აზრით, პირველი დღის მეორე მატჩში გადაწყდა, როდესაც ლადომ დიდი ბრძოლის მიუხედავად სამ სეტში დათმო სერბთა მეორე ნომერ **იანკო ტიპსარევიჩთან** (92).

წყვილებში ბოზოლიაცი-ჯიმონჯიჩის დუეტი ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში, მათ შაბათს ლადო ჩიხლაძისა და **გიორგი ხრიკაძის** აქამდე არარსებული დუეტი დაუპირისპირდა. უნდა ითქვას, რომ ამ მატჩში ლადომ თავი გამოიდო, ცდა არ დაუკლია, მაგრამ მეტოქეთა უპირატესობამ სათამაშო კლასში ბოლოს თავისი გაიტანა - 5:7, 4:6, 3:6. მატჩის შემდეგ ქართველმა სერბ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მარცხის მიუხედავად მისი ახალგაზრული გუნდის თამაშით კმაყოფილია: *"ჩვენი გუნდი გამოუცდელია, თუმცა მაინც ვიბრძოლეთ. დღეს მასპინძლები უფრო ძლიერები იყვნენ"*. სერბეთი 3:0 დაწინაურდა, მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყდა, ასე რომ, გუნდის კაპიტნები შეთანხმდენ, რომ კვირას ორი სეტის მოგებამდე ეთამაშათ.

კორტზე ჯერ ილია ბოზოლიაცი (120) და ლადო ჩიხლაძე (478) გავიდნენ, ბოზოლიაჩი ლადოზე ერთი წლით უმცროსია, თუმცა რეტინგში გვარიანად უსწრებს. ლადომ შეძლო პირველი სეტის მოგება - 6:4, მეორეში კი სერბმა იმარჯვა - 3:6. გადამწყვეტი მესამე სეტის ტაი-ბრეიკი აღმოჩნდა, რომელიც ბოზოლიაცმა 8:6 მოიგო. ბოლო მატჩი კი ძალზე უთანაბრო იყო - იანკო ტიპსარევიჩმა ურეიტინგო ხრიკაძეს მხოლოდ ერთი გეიმი მოაგებინა - 0:6, 1:6. ევროპა-აფრიკის პირველი ზონიდან ფლეი-ოფის საგზურები სერბებთან ერთად ბრიტანელებმა, ებრაელებმა და სლოვაკებმა მოიპოვეს. ამ უქმეებზე დამარცხებულებში კი მხოლოდ საქართველოს აქვს თავი ქუდში (ანუ მომავალ წელსაც ამ ზონაში ითამაშებს), ჰოლანდია ჩვენების მიერ დამარცხებულ პორტუგალიასთან გაარკვევს ჯგუფიდან გავარდნილის ვინაობას, მაკედონია კი - იტალიასთან.

ნიკოლოზ ნეფარიძე

დევისის თასი. ევროპა-აფრიკის I ზონა. II რაუ.

6-8 აპრილი. კოვილოვო (სერბეთი)

სერბეთი-საქართველო	**5:0**
ნოვაკ ჯოკოვიჩი-გიორგი ჭანტურია	6:1, 5:0 (შეწყდა)
იანკო ტიპსარევიჩი-ლადო ჩიხლაძე	6:4, 6:4, 7:5
ილია ბოზოლიაცი, ნენად ჯიმონჯიჩი-ლადო ჩიხლაძე, გიორგი ხრიკაძე	7:5, 6:4, 6:3
ილია ბოზოლიაცი-ლადო ჩიხლაძე	4:6, 6:3, 7:6 (6)
იანკო ტიპსარევიჩი-გიორგი ხრიკაძე	6:0, 6:1
დიდი ბრიტანეთი-პოლანდია	**4:1**
ჯეიმს მარი, ბრეგ რუსეტსკი-რობინ ჰაასე, როხერ ფასანი	6:1, 3:6, 6:3, 7:6
ჯეიმს მარი-რობინ ჰაასე	6:4, 6:7, 2:6
ტიმ ჰენმანი-იგორ სუსლინგი	6:2, 6:3
ისრაელი-იტალია	**3:2**
ჯონათან ერლიჩი, ენდი რამი-დანიელე ბრაჩიალი, პოტიტო სტარაჩე	6:3, 7:6, 7:6
ნოამ ოკუნი-ანდრეას ფაბენ	6:7, 6:7
დუდი სელა-სიმონე ბოლელი	5:7, 3:6
მაკედონია-სლოვაკეთი	**0:5**
ლაზარ მაგდინცევი, პრედრაგ რუსევსკი-დომინიკ ჰრბატი, მიხალ მერტინაკი	2:6, 1:6, 2:6
ილია მარტინოვსკი-პავოლ ჩერვენაკი	3:6, 4:6
დიმიტარ გრაგულოსკი-ივო კლეიჩი	2:6, 3:6

ჭადრაკი

ევროპის ჩემპიონატი

ყველაზე წინ ჯავახიშვილია

ალდგომის დღესასწაულებზე დრეზდენში მოჭადრაკეებმა სამი ტური გაითამაშეს. ქართველთაგან ყველაზე წარმატებული იყო **გიგა ყაჭეიშვილი**, რომელმაც სამივე პარტია მოიგო და ლიდერებში გადაინაცვლა. ვაუებში ერთპიროვნული ლიდერია **ანდრეი ვოლოკიტინი** (6 ქულა), მას ნახევარი ქულით ჩამორჩება 3 მოჭადრაკე და შემდეგ მოდის მდევართა დიდი ჯგუფი 5 ქულით: მათ შორის, ყაჭეიშვილი, **დავით არუთინიანი** და **დავით შენგელია**. კიდევ ნახევარ ქულაში ორი ჩვენიანია - **ბაადურ ჯობავა** და **მიხეილ მჭედლიშვილი**.

ქალუბშიც ერთპიროვნული ლიდერია და თანაც მაქსიმალური შედეგით - შვიდივე პარტია მოიგო **ტატიანა კოსინცევამ**! რუსი მთელი ქულანახევრით უსწრებს შვიდ უახლოეს მდევარს, რომელთა შორის **ლელა ჯავახიშვილიცაა**. 5 ქულა აქვთ **სალომე მელიას** და **მაია ლომინეიშვილს**.

დღეს ევროპის ჩემპიონატზე დასვენების დღეა. შეჯიბრების დასრულებამდე 4 ტურია.

ქალები

მეხუთე ტური: **ნანა ძაგნიძე** - ჰოანგ ტრანგი 0:1, ტატიანა ვასილევიჩი - **ნინო ხურციძე** 0.5:0.5, ოქსანა ვოზოვიჩი - **ქეთევან არახამია**-გრანტი 0.5:0.5, კარმენ ვოიკუ - **ლელა ჯავახიშვილი** 0:1, ჯესიკა ნილი - **სალომე მელია** 0.5:0.5, **სოფიო ხუხაშვილი** - ჰაიკე ფოგელი 1:0, **სოფიო გვეტაძე** - კატერინა დოლუიკოვა 1:0, **მაია ლომინეიშვილი** - ლულია-იონელა იონიცა 1:0, **სოფიკო გურამიშვილი** - მონიკა ციგანოვა 0.5:0.5, **მარიამ დანელია** - ბეთულ ილდიზი 0.5:0.5

მეექვსე ტური: **ლელა ჯავახიშვილი** - ზეინაბ მამედიაროვა 0.5:0.5, **ნინო ხურციძე** - ირინა ვასილევიჩი 1:0, **ქეთევან არახამია** - **სოფიკო ხუხაშვილი** 0.5:0.5, იოლანტა ზავადსკა - **ნანა ძაგნიძე** 1:0, **სალომე მელია** - მონიკა სეპსი 1:0, ჯესიკა ნილი - **მაია ლომინეიშვილი** 0:1, რასა ნორინკევიჩუტე - **სოფიკო გურამიშვილი** 0.5:0.5, იულია მაკა - **მარიამ დანელია** 0:1

მეშვიდე ტური: ელინა დანიელიანი - **ნინო ხურციძე** 1:0, ქრისტინა ფოიშორი - **ლელა ჯავახიშვილი** 0:1, იოვანკა ჰოუსკა - **ქეთევან არახამია** 1:0, **სოფიკო ხუხაშვილი** - ეკატერინა კოვალევსკაია 0.5:0.5, **მაია ლომინეიშვილი** - ირინა ჩელუშკინა 1:0, ირინა ზაკურდიაევა - **სალომე მელია** 0:1, **ნანა ძაგნიძე** - ანა შარევიჩი 1:0, **სოფიკო გურამიშვილი** - ელენა ჩერედნიჩენკო 0.5:0.5, **მარიამ დანელია** - იოანა ჰადირარიუ 1:0

მერვე ტურში: ტატიანა კოსინცევა (7) - ეკატერინა კორბუტი (5.5), **ლელა ჯავახიშვილი** (5.5) - ანტუანეტა სტეფანოვა (5.5), **სალომე მელია** (5) - ნატალია ბოიკოვიჩი (5), იოლანტა ზავადსკა - **მაია ლომინეიშვილი** (5), **ნინო ხურციძე** (4.5) - ოქსანა ვოზოვიჩი (4.5), ევგენია ოვოდი (4.5) - **ნანა ძაგნიძე** (4.5), სიდონია ვაიდა (4.5) - **სოფიკო ხუხაშვილი** (4.5), **ქეთევან არახამია** (4) - მარია მუზიჩუკი (4), სვეტლანა ვასილკოვა (3) - **მარიამ დანელია** (3.5); ხაიალა ისგარდანოვა (3) - **სოფიკო გურამიშვილი** (3)

ვაჟები

მეხუთე ტური: **დავით არუთინიანი** - ვიქტორ ლაჟნიკაა 0.5:0.5, **დავით შენგელია** - ლეონიდ კრიცი 1:0, რობერტ რაკი - **ბაადურ ჯობავა** 0.5:0.5, **მიხეილ მჭედლიშვილი** - კარელ ვან დერ ვეიდე 0.5:0.5, **დავით ლობჟანიძე** - **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 0.5:0.5, **თორნიკე სანიკიძე** - სუათ ათალიქი 0.5:0.5, მიჰაილუჩან გრინბერგი - **გიგა ყაჭეიშვილი** 0:1, **კონსტანტინე შანავა** - უმუთ ათაქისი 1:0

მეექვსე ტური: ზაპარ ეფიმენკო - **დავით შენგელია** 0.5:0.5, **დავით არუთინიანი** - ზდენკო კოზული 0.5:0.5, **ბაადურ ჯობავა** - **კონსტანტინე შანავა** 0.5:0.5, დევიდ ჰაუელი - **მიხეილ მჭედლიშვილი** 0:1, **გიგა ყაჭეიშვილი** - გეორგ მაიერი 1:0, **დავით ლობჟანიძე** - პეტერ ნილსენი 0:1, **ზურაბ აზმაიფარაშვილი** - დანიელ ალსინა 1:0, ბრანკო დამიანოვიჩი - **თორნიკე სანიკიძე** 0.5:0.5

მეშვიდე ტური: **დავით შენგელია** - ალექსანდრ ხალიფმანი 0.5:0.5, ევგენი ნაიერი - **დავით არუთინიანი** 0:1, **მიხეილ მჭედლიშვილი** - ალექსანდრ ნაუმანი 0.5:0.5, ვიტალი კუნინი - **გიგა ყაჭეიშვილი** 0:1, ვლადიმირ ჩუჩელოვი - **ბაადურ ჯობავა** 0:1, **კონსტანტინე შანავა** - გაბრიელ სარგისიანი 0.5:0.5, რუსლან სლობოდიანი - **ზურაბ აზმაიფარაშვილი** 1:0, **თორნიკე სანიკიძე** - სტელიოს ჰალკიასი 0.5:0.5, ლუტც ესპიგი - **დავით ლობჟანიძე** 0:1

მერვე ტურში: ვლადისლავ ტკაჩევი (5.5) - ანდრეი ვოლოკოტინი (6), **გიგა ყაჭეიშვილი** (5) - ალექსანდრ მოტილევი (5), **დავით შენგელია** (5) - ვიქტორ ლაჟნიკაა (5), ალექსანდრ ხალიფმანი (5) - **დავით არუთინიანი** (5); **ბაადურ ჯობავა** (4.5) - კონსტანტინ ლუპულესკუ (4.5), დიმიტრიოს მასტრობასილისი (4.5) - **მიხეილ მჭედლიშვილი** (4.5), **კონსტანტინე შანავა** (4) - ფრანსისკო ვალიეხო (4), თომას ლუთერი (3.5) - **დავით ლობჟანიძე** (3.5), **ზურაბ აზმაიფარაშვილი** (3.5) - მიჰაი-ლუჩან გრიუნბერგი (3.5), მიქელე გოდენა (3.5) - **თორნიკე სანიკიძე** (3.5)

ქულები ისევ დააკლდება

ანა ტატიშვილი

ანა ტატიშვილი ქართული ჩოგბურთის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ და იმედისმომცემ ჩოგბურთელად ითვლება, თუმცა წლეულს ანა ისეთი შედეგებით ვერ გვახარებს, რომ აუაჯლოეს პერიოდში მისი წინსვლა ვივარაუდოთ. ანას ორ სერიოზულ ტურნირში მოეცარა ხელი ამერიკაში (ინდიან ველსში და მაიამიში), სადაც მან ორგანიზატორებისგან "უაილდ ქარდი" მიიღო, ახლახან კი მან მესამე ასეთ ტურნირში ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. შარშან ჩარლსტონის (აშშ) "ფემილი სირკლის" ტურნირში (1,34 მილიონი დოლარი) ანა "უაილდ ქარდით" მიიწვიეს, მანაც პირველ წრეში ესპანელი ლაურა პოუს-ტიო დაამარცხა და მეორე წრეში ნატალი დეშისთან დათმო. ამისთვის მან რეიტინგში 25 ქულა მიიღო. ახლა კი აპრილის ბოლოსთვის (შარშან ტურნირი ერთი კვირით გვიან ჩატარდა, ვიდრე წლეულს) მას ეს ქულები დააკლდება და რეიტინგშიც სერიოზულად დაიხევს უკან.

წლეულს "ფემილი სირკლის" ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, ანასთვის ძირითადი ბადის"უაილდ ქარდი" აღარ მიეცათ და ქართველი მხოლოდ საკვალიფიკაციო ტურნირში მიეწვიათ. სამწუხაროდ, საკვალიფიკაციოში ანამ ვერ ივარგა და მორიგი მარცხი განიცადა, მისი მეტოქე მსოფლიოს 111-ე ჩოგანი უნგრელი **მელინდა ჩინკი** იყო. ქართველმა ორ სეტში დათმო - 1:6, 3:6.

ამერიკის ქალაქ ჯექსონში 25-ათასიანი ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში **სოფიო მელიქიშვილი** თამაშობს. მელიქიშვილი მე-8 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში მან იოლად აჯობა ამერიკელ **კემი გრეის**, რომელსაც ორგანიზატორებმა საკვალიფიკაციო ტურნირის "უაილდ ქარდი" მისცეს, 6:2, 6:0. მეორე წრეში მელიქიშვილის მეტოქე ბულგარელი **სვეტლანა კრივენჩევაა** (556).

დევისის თასის მატჩიდან პირდაპირ შვედეთში გაემგზავრა საქართველოს მეორე ჩოგანი ლადო ჩიხლაძე, რომელიც ნორჩოპინგის ფიუჩერსში (10 ათასი დოლარი) მეოთხე ნომრად არის განთესილი. ლადოს პირველი მეტოქე ნორვეგიელი **სტიან ბორეტი** გახლავთ, ბორეტი მსოფლიოს 595-ე ჩოგანია. ეს მატჩი დღეს D კორტზე გაიმართება. ნორჩოპინგის კორტების საფარი ჰარდია.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ლაბაძის საფრთხე

გამოქვეყნდა ATP-ის ახალი რეიტინგ-ლისტი. საქართველოს ნაკრების ტრავმირებულ ლიდერს, **ირაკლი ლაბაძეს** სულ 236 ქულა აქვს და მსოფლიო კლასიფიკაციაში 173-ეა, ეს ერთი კვირის წინანდელს ორი ადგილით სჯობს. ლაბაძეს 236 ქულიდან 165 შარშანდელი უიმბლდონის ტურნირის მერვედფინალისთვის აქვს, ასე რომ, თუ ის დროულად არ გამოჯანმრთელდა და სტაბილურად არ ათამაშდა, ივნისის ბოლოს ლაბაძე ხუთასეულიდან გავარდება (მანამდე კიდევ სამი ტურნირის 55 ქულა მოაკლდება). კვლავ 59 ქულა აქვს **ლადო ჩიხლაძეს** და მას კვლავ 478-ე ადგილი უჭირავს მსოფლიო კლასიფიკაციაში. **ნოდარ ითონიშვილი** 1342-ეა.

WTA-ს ახალი რეიტინგ-ლისტში 11 ქართველი ქალი ჩოგბურთელია. **მაკა ჩახნაშვილმა** სამი საფეხურით უკან დაიწია, ახლა მაკას 209 ქულა აქვს და ის მსოფლიოს 145-ე ჩოგანია. 17 წლის **ანა ტატიშვილი** მსოფლიოს 320-ე ჩოგანია (+1) 68,8 ქულით. ხუთი ადგილით უკან დაიხია **სოფიო მელიქიშვილმა** - 349-ე. მცირე წინსვლა აქვს 20 წლის **სალომე დევიძეს**, ის მსოფლიოს 535-ე ჩოგანია (+8).

სხვა ქართველები: 694 (-8) **სოფიო შაფათავა**, 773 (-6) **ეკა გორგოძე**, 818 (-3) **მანანა შაფაქიძე**, 921 (+48) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 1077 (-1) **თეონა ცერცვაძე**, 1193 (-3) **სოფიო ქვაცაბაია** და 1331 (-3) **მარიამ ქურდაძე**. როგორც ხედავთ, სერიოზული ცვილება მხოლოდ 16 წლის ოქსანა კალაშნიკოვას რეიტინგმა განიცადა (48 ადგილით წაინწია წინ), მას 7.5 ქულა აქვს. ეს ოქსანას კარიერის მორიგი მიღწევაა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

რისთვის თამაშობენ?

ხელგურთი. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა დანიაში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში სამი მატჩი გამართა და სამივე უიმედოდ წააგო. პირველ ტურში ჩვენი ახალგაზრდული ლიტვის ნაკრებთან 21:34 დამარცხდა. ჩვენებმა თამაში მხოლოდ მეორე ტაიმში გამოასწორეს და მხოლოდ ორი ბურთის სხვაობით წააგეს. მეორე ტურში ქართველები მასპინძლებთან შერკინდნენ - 6:49. ნაკრებმა მეორე ტაიმში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა! დაბოლოს, კვირას ჩვენმა ნაკრებმა ბოლო მატჩიც წააგო უკრაინის გუნდთან - 16:36.

II ჯგუფი

დანია-უკრაინა	**30:24 (20:8)**
საქართველო-ლიტვა	**21:34 (7:18)**
დანია-საქართველო	**49:6 (24:4)**
ლიტვა-უკრაინა	**33:26 (16:14)**
დანია-ლიტვა	**37:20 (18:7)**
საქართველო-უკრაინა	**16:36 (7:16)**

დანია - 6, ლიტვა - 4/ უკრ. - 2, საქ. - 0

ᲖᲔᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲬᲝᲜᲐ

ᲙᲐᲚᲫᲐᲒᲔ ᲰᲝᲚᲛᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲝᲠᲙᲘᲜᲡᲘᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲝᲠᲓᲐ

ᲖᲔᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ წონაში კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, უელსელმა **ჯო კალძაგემ** კარდიფის "მილენიუმ სტედიუმზე", 35 000 მაყურებლის წინაშე, ამერიკელი **პიტერ მანფრედო** სამ რაუნდში დაანოკაუტა და მეოცედ დაიცვა თავისი ტიტული. ამით, მან ლეგენდარულ ზემძიმენონოსან **ლარი ჰოლმსისა** და ასევე ლეგენდარული საშუალოწონოსნის, **ბერნარდ ჰოპკინსის** მიღწევა გაიმეორა.

WBO-ის სარტყელი კი შეინარჩუნა, მაგრამ სამაგიეროდ, კალძაგემ IBF-ის (კრივის საერთაშორისო ფედერაცია) სარტყელი ნებაყოფლობით დათმო იმის გამო, რომ ამ გაერთიანების საკალდებულო პრეტენდენტ **რობერტ შტიგლიცთან** ბრძოლას ამერიკელ რეალითი-შოუს ვარსკვლავთან შეხვედრა ამჯობინა.

პირველი ორი რაუნდის განმავლობაში, უელსელმა უამრავი დარტყმა აგვმა ტელევარსკვლავს, რომლის კარიერაზეც ლეგენდარულმა **შუგარ რეი ლეონარდმა** იზრუნა. მანფრედომ ორი რაუნდი კი გაძლო, მაგრამ მესამეს დასაწყისშივე მას ჩემპიონი რამდენიმე ძლიერი დარტყმით გაუმასპინძლდა, რის გამოც, რეფერი **ტერი ო'კონორმა** ბრძოლა შეწყვიტა.

მანფრედო გაოგნებული დარჩა. იძახდა, ჯომ მუშტები კი მომაყარა, მაგრამ ერთი დარტყმაც არ მტკენიაო. მაგრამ, რაღას იზამდა. კალძაგემ კვლავ გამარჯვებულმა დატოვა რინგი. მის ანგარიშზე ახლა პროფესიულ რინგზე ჩატარებული 43 ბრძოლაა, რომელთაგან ყველა მოგებული აქვს, მათ შორის 32 ნოკაუტით.

"ზოგი ამბობს, რომ რეფერმა ბრძოლა მეტისმეტად ადრე გააჩერა. ვერაფერს ვიტყვი, იქნებ ასეცაა, მაგრამ ისიც ხომ ნახეთ, რომ წინა ორი რაუნდის განმავლობაში ბრძოლა ცალმხრივი იყო და პიტერი თავის დაცვასაც ვერ ახერხებდა. მესამეს დასაწყისში რომ ბრძოლა არ შეწყვეტილიყო, რეფერის მისი გაჩერება მაინც მალე მოუხდებოდა. მოკლედ, ახლა მომდევნო ბრძოლაზე უნდა ვიზრუნო", - განაცხადა 35 წლის ჩემპიონმა.

ცნობისთვის, ჩემპიონის ტიტული ყველაზე მეტჯერ (25-ჯერ) ლეგენდარულ **ჯო ლუისს** აქვს დაცული. ამასთან, უელსელ მოკრივეს კიდევ ერთი ძველი მიღწევის გამეორების შანსი აქვს, რომელიც **როკი მარჩიანოს** ეკუთვნის - ლეგენდარულ ამერიკელს პროფესიულ რინგზე ჩატარებული 49-ვე ბრძოლა მოგებული აქვს. სხვათა შორის, თავის დროზე, ამ მიღწევის გამეორებამდე ოდენ ერთი გამარჯვება დააკლდა ჰოლმსს.

"რეფერმ ბრძოლა ადრე ხომ არ შეწყვიტა"? - ჰკითხეს პრეტენდენტს, რაზეც მან მიუგო: *"რა თქმა უნდა. ვინმემ დაინახა, რომ ფეხები მეკეცებოდა? არავინ! რეფერის ისიც არ უთქვამს - მუშტები იქნიე, თორემ ბრძოლას შევწყვეტო. არანაირი გაფრთხილება არ მიმიღია, მაგრამ როგორც კი რამდენიმე მუშტი მივიღე, მაშინვე ბრძოლა გააჩერა. არადა, მის შეტევებს ალღო ავუღე და მის მუშტებს ვირიდებდი. ის რომ ხელებს მიქნევდა, მხოლოდ რამდენჯერმე მომახვედრა. თანაც, მხოლოდ ტანში, თავში კი თითქმის არ მომხვედრია. ესეც რომ არა, მე მებრძოლი, გლადიატორი ვარ. დანებებას რინგზე სიკვდილი მირჩევნია. მოკლედ, რეფერის ბრძოლის შეწყვეტის უფლება არ ჰქონდა. გაოგნებული ვარ, მაგრამ ის სწორედ ასე მოიქცა"*, - ბრძოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე ბრაზობდა 26 წლის მანფრედო (26-4).



კალძაგეს ამ შეტევას ბრძოლის შეჩერება მოჰყვა

სანამ რინგი კალძაგესა და მანფრედოს დაეთმობოდა, მასზე პროფესიული კრივის ბრიტანელმა ამომავალმა ვარსკლავმა, ათენის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანმა **ამირ ხანმა** იბრძოლა. ის სამ სეტში გაუსწორდა ვინმე **შტეფი ბულს** და კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა მსუბუქი წონის საჩემპიონო ბრძოლისკენ. ჯერ ორი წელია, რაც ხანი პროფესიონალი მოკრივე გახდა და ამ დროში მან ჩატარებული 12-ვე ბრძოლის მოგება მოასწრო.

მერაბ ლორთქიფანიძე

10 ᲐᲠᲘᲚᲘ. ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ 2

22:00 საფეხბურთო მიმოხილვა.
22:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-რომა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ჩელსი.

HTB-ᲙᲚᲣᲑᲘ (ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 გასული კვირის პიტ-აღლუმი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ბლეკბერნი.
14:10 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
15:10 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:25 ინგლისის ჩემპიონატი. ჩარლტონი-რედინგი.
18:15 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
18:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:05 ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
19:35 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:35 გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:35 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-ჩელსი (LIVE).
00:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი. მანჩესტერ იუნ-რომა.

SPORT 1 (ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ)

08:00 ფეხბურთი. Barca-T
09:05 ფეხბურთი. ესპანეთის [illegible] მიმოხილვა.
10:00 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბეირა მარი-ბენფიკა.
11:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
12:10 ჰოკეი. NHL-ის რეგულარული ჩემპიონატი. ოტავა-პიტსბურგი.
13:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი.
15:40 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. ცსკა-მაკაბი.
17:30 სპორტინფორმი.
17:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ბაიერნი.
19:30 სპორტინფორმი.
19:40 მინი-მოედანი.
19:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
20:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. მიმოხილვა.
21:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალის ნინ.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
02:15 ფეხბურთი. პორტუგალიის ჩემპიონატი. ბეირა მარი-ბენფიკა.
03:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-რასინგი.
04:45 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
05:15 კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. III მატჩი. ცსკა-მაკაბი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

II ᲑᲣᲜᲔᲡᲚᲘ�გᲐ

მიუნხენი-კარლსრუე	2:0

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ბარი-მეცი	0:1

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ

ბეირა მარი-ბენფიკა	2:2

ᲓᲐᲜᲘᲐ

ბრონდბი-რანდერსი	3:0
პორსენნი-ვიბორგი	3:1
ნორდსილანდი-ესბერგი	1:1
ოდენსე-ვეჭლე	3:2
სილკებორგი-ოლბორგი	4:6
მიდბიულანდი-კოპენჰაგენი	1:4

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

ფრემი-ორეუსი	3:0
ოლსბიკე-ბრანბრანდი	0:0
აალბორგსკი-ნაუსგუელი	0:2
პიკ-პერფიოლგე	1:1
კიოგე-ფრედერიკი	3:3
ბისგელი-ლენგბიუ	1:2
აგუ ორეუსი-ფრედერიკსენ	2:0
კიოლდინგი-სიონდერილი	2:0

ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐ

აალესუნდი-სპარგბ	2:4
ლილესტრომი-ფრედრიქსტადი	3:0
ლინი-სანდეფიორდი	3:0
სტრომსგოდსეგი-ოდ გრენლანდი	2:1
ბრომსტი-ვოლერენგა	1:0
ვიკინგი-რუსენბორგი	1:1

II ᲓᲘᲕᲘᲖᲘᲝᲜᲘ

პამ კამი-სკეილი	5:1
პიონეფოსი-ბოდო გლიმგი	0:0
ლოე კამი-ბრინი	2:1
მანდალი-კონგსვინგერი	2:0
მოსი-პაუგესუნდი	2:1
ნოგოდეენ-რაუფოსი	2:2
სიონგალი-მიოლდე	2:3
სპარგა-ბრიმსდალენი	0:1

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ალა-კალმარი	0:1
გეფლე-ერებრუ	0:0
პალმსტალ-პელსინგბორგი	2:1

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ

არაუ-ლუსერნი	4:1
ციურიხი-ბაზელი	0:1

ᲩᲔᲚᲔᲜᲯᲚᲘᲒᲐ

ქსამაქსი-სერვეტი	2:0

ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

დერი-კორკი	1:4

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

ბანიკ-ბრნო	1:2

ᲣᲜ�გᲠᲔᲗᲘ

უიეშბი-პაკში	3:2

NBA. ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

6 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐ-ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 85:94
18:23, 28:22, 15:28, 24:21
ფილადელფია: იგუოდალა (20 ქ. 7 მ. 7 პ), დალეგბერი (15 ქ. 6 მ.), გრინი (12 ქ), ა. მილერი (10 ქ. 11 პ).
ტორონტო: ბოში (23 ქ. 13 მ. 4 რ), ტ. ფორდი (12 ქ. 6 პ), დიქსონი (12 ქ. 6 მ), ე. პარკერი (12 ქ).

ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ-ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ 102:112
23:25, 32:26, 22:30, 25:31
შარლოტი: ჯ. უილსი (29 ქ. 9 მ. 5 რ), ოკაფორი (15 ქ. 9 მ), ერმანი (15 ქ), ფეფტონი (13 ქ. 7 პ).
ინდიანა: გრეინჯერი (32 ქ. 3 დ), არმსტრონგი (16 ქ. 6 პ), ჯ. ო'ნილი (14 ქ. 9 მ. 3 დ), დანლეი (11 ქ. 14 მ), მაკლეოდი (11 ქ. 5 პ).

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ-ᲛᲘᲜᲣᲡᲝᲢᲐ 115:102
29:39, 31:23, 29:24, 26:16
ატლანტა: ჯოშ სმიტი (28 ქ. 18 მ. 5 პ. 3 რ), ს. სტაუდმაიერი (21 ქ), ლიუ (16 ქ. 6 მ. 9 პ), ე. ჯონსონი (13 ქ. 6 პ), ბ. უილიამსი (12 ქ. 16 მ. 3 რ).
მინესოტა: ბოიკინსი (36 ქ. 9 პ. 3 რ), რ. ბელი (28 ქ), რ. პატერსონი (19 ქ. 11 მ.).

ᲑᲝᲡᲢᲝᲜი-ᲛᲐᲘᲐᲛᲘ 85:88
26:28, 19:24, 25:18, 15:18
ბოსტონი: გომესი (24 ქ), გრინი (21 ქ), ა. რეი (13 ქ), რონდო (11 ქ. 10 მ), პოუი (10 ქ. 11 მ).
მაიამი: შ. ო'ნილი (22 ქ. 11 მ), პასლემი (17 ქ. 9 მ), პოუსი (13 ქ. 7 მ), ჯ. უილიამსი (8 ქ. 13 პ. 3 რ).

ᲜᲘᲣ ᲘᲝᲠᲙᲘ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 94:99
17:28, 24:31, 29:15, 24:25
ნიუ იორკი: რობინსონი (21 ქ), კარი (20 ქ. 6 მ), კოლინზი (16 ქ. 5 პ).
მინესოტა: ფოიე (19 ქ. 6 პ), რ. დევისი (17 ქ), კ. სმიტი (15 ქ. 6 მ), გარნეტი (12 ქ. 15 მ.).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜი-ᲙᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓი 94:99
23:21, 30:24, 18:23, 23:31
ვაშინგტონი: ჯეიმისონი (27 ქ), დენიელსი (18 ქ. 12 პ), სტიენსონი (17 ქ), ტომასი (10 ქ. 14 მ)
კლიველენდი: ლ. ჯეიმსი (25 ქ. 6 მ. 5 პ), ილგაუსკასი (18 ქ. 8 მ), ჰოუზი (15 ქ).

ᲛᲔᲛᲤᲘᲡი-ᲒᲝᲚᲓᲔᲜ ᲡᲢ. 104:116
28:33, 32:28, 22:19, 22:36
მემფისი: კინსი (28 ქ. 5 პ), გასოლი (21 ქ. 11 მ. 3 დ), გეი (15 ქ. 10 მ), ატკინსი (15 ქ).
გოლდენ სტეიტი: ბ. დევისი (31 ქ. 8 მ. 9 პ. 4 რ), ელისი (20 ქ. 8 მ. 8 პ), ჯ. რიჩარდსონი (19 ქ), ს. ჯექსონი (12 ქ. 7 პ. 4 რ).

ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜი-ᲤᲘᲜᲘᲥᲡი 95:103
23:37, 25:23, 19:17, 28:26
ნიუ ორლეანი: დ. უესტი (17 ქ), ბ. ჯეკსონი (16 ქ), დ. ბრაუნი (13 ქ. 7 მ. 6 პ), პარკეი (13 ქ), რ. ბატლერი (12 ქ. 7 მ).
ფინიქსი: ბარბოზა (26 ქ. 5 პ), მერეინი (20 ქ. 11 მ), ნეში (15 ქ. 8 მ. 12 პ), რ. ბელი (12 ქ).

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲞᲝᲠᲢᲚᲔᲜᲓი 78:85
14:23, 19:17, 21:21, 24:24
პიუსტონი: ჰეფი (19 ქ. ჯეკსონ-ბოარდი (14 ქ. 11 მ), ბატეე (12 ქ).
პორტლენდი: ბ. როი (24 ქ), ჯ. ჯეკი (23 ქ), მაკლეორი (12 ქ. 14 მ).

ᲩᲘᲙᲐ�გᲝ-ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡი 105:74
31:20, 22:18, 28:24, 24:12
ჩიკაგო: გორდონი (27 ქ. 6 მ), დენეი (24 ქ. 12 მ), პაირიხი (20 ქ. 6 მ. 5 პ).
ნიუ ჯერსი: კარტერი (21 ქ), ჯეფერსონი (11 ქ), კიდი (9 ქ. 6 მ. 6 პ).

ᲡᲐᲥᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ-ᲘᲣᲢᲐ 107:103
28:36, 21:24, 26:22, 32:21
საკრამენტო: მარტინი (21 ქ), სალმონსი (17 ქ), არტესტი (13 ქ. 10 მ.), პრაისი (13 ქ).
იუტა: ოქტერი (24 ქ. 8 მ), ბუზერი (17 ქ. 6 მ), გირიჩეკი (16 ქ), ფიშერი (14 ქ. 9 მ), პარკინსი (14 ქ).

ᲓᲔᲜᲕᲔᲠი-ᲓᲐᲚᲐᲡი 75:71
13:22, 17:15, 22:14, 23:20
დენვერი: ენტონი (23 ქ. 10 მ), ოიერსონი (22 ქ. 5 პ), ნენე (16 ქ. 10 მ).
დალასი: ნოვიცკი (22 ქ. 11 მ), ტერი (13 ქ), დამპიე (11 ქ. 13 მ).

ᲡᲘᲔᲒᲚი-ᲚᲔᲘᲙᲠᲡი 109:112
28:31, 29:18, 29:33, 23:30
სიეტლი: ულიკოფსი (32 ქ. 18 მ), უილკინსი (25 ქ), უოტსონი (16 ქ. 8 პ), კოლისონი (14 ქ. 14 მ).
ლეიკერსი: ბრაიანტი (46 ქ. 6 პ. 3 რ), ოდომი (20 ქ).

7 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲘᲣᲢᲐ-ᲡᲘᲔᲒᲚᲘ 103:106
27:30, 30:18, 30:19, 16:39
იუტა: დ. უილიამსი (24 ქ. 5 მ. 13 პ), ბუზერი (16 ქ. 13 მ), ბრიუერი (12 ქ).
სიეტლი: ლეისი (35 ქ. 8 მ), უოტსონი (15 ქ. 9 პ), კოლისონი (14 ქ. 3 რ).

ᲘᲜᲓᲘᲐᲜᲐ-ᲑᲝᲡᲢᲝᲜი 105:98
26:15, 25:28, 27:24, 27:31
ინდიანა: დანლეი (22 ქ. 8 მ. 7 პ), მაკლეოდი (17 ქ), ჯ. ო'ნილი (14 ქ. 14 მ), გრეინჯერი (15 ქ. 10 პ).
ბოსტონი: რეი (22 ქ), ტედეფეარი (21 ქ), რონდო (14 ქ. 8 მ. 8 პ. 7 რ), გომესი (12 ქ. 9 მ).

ᲝᲠᲚᲐᲜᲓᲝ-ᲛᲔᲛᲤᲘᲡი 116:89
35:14, 26:30, 34:19, 21:26
ორლანდო: დუკიტ ჰოკარდი (31 ქ. 11 მ), ჰილი (15 ქ), თურქოგლუ (15 ქ. 5 პ), პრისა (14 ქ. 7 მ. 3 რ).
მემფისი: ატკინსი (18 ქ. 5 პ), კინსი (15 ქ), გასოლი (14 ქ. 8 მ), უორიკი (14 ქ. 8 მ).

ნ. ჯერსი-ვაშინგტ. 120:114 (ო)
22:24, 30:27, 28:27, 24:26, 16:10
ნიუ ჯერსი: კარტერი (46 ქ. 16 მ. 10 პ. 3 დ), კიდი (10 ქ. 16 მ. 18 პ. 4 რ), ჯეფერსონი (27 ქ).
ვაშინგტონი: ჯეიმისონი (37 ქ. 11 მ. 4 პ. 4 რ.), ჰეივეი (29 ქ), დენელსი (7 ქ. 10 პ).

ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ-ᲜᲘᲣ ᲝᲠᲚᲔᲐᲜი 94:96
21:19, 36:32, 18:29, 19:16
მინესოტა: მაკალუმი (17 ქ), ჯეიმსი (15 ქ. 7 პ.), ფოიე (14 ქ. 6 პ), გარნეტი (13 ქ. 12 მ. 3 რ).
ნიუ ორლეანი: პოლი (18 ქ. 10 პ. 3 რ), ბაბტერი (17 ქ. 8 მ), ჯეკსონი (15 ქ. 11 მ), დევიდ უესტი (15 ქ. 9 მ.).

ს. ანტონიო-მ. სტეიფი 112:99
40:31, 19:25, 29:21, 24:22
სან ანტონიო: დენკანი (28 ქ. 15 მ. 4 დ), ჯინობილი (25 ქ. 7 მ. 7 პ.), პარკერი (18 ქ. 7 პ), ფინლი (15 ქ).
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (23 ქ), პარინგტონი (22 ქ. 7 მ), დევინი (17 ქ).

მილუოკი-ნიუ იორკი 113:118 (ო)
34:26, 26:27, 22:30, 20:19, 11:16
მილუოკი: პატერსონი (27 ქ. 7 მ. 4 პ. 7 რ), რედი (25 ქ. 3 რ), მ. უილიამსი (15 ქ. 8 მ. 10 პ), გაძურიჩი (9 ქ. 11 მ. 3 რ).
ნიუ იორკი: პარი (43 ქ. 13 მ), რობინსონი (34 ქ. 7 პ), კოლინზი (19 ქ. 12 მ. 8 პ. 5 რ), ჯეფერსონი (5 ქ. 10 მ. 3 დ).

დალასი-პორტლენდი 86:74
26:21, 25:12, 21:20, 14:21
დალასი: ტერი (29 ქ), პარისი (18 ქ), ჯოშმერი (6 ქ. 10 მ).
პორტლენდი: ჯეკი (18 ქ), ოუთლოუ (16 ქ), მაკლეორი (8 ქ. 9 მ).

ᲚᲘᲙᲚᲐᲜᲓი-ᲓᲔᲜᲕᲔᲠი 93:96
31:26, 21:23, 22:17, 19:30
კლიპერსი: მაგეტი (24 ქ), ბრენდი (22 ქ. 13 მ.), კამანი (12 ქ. 10 მ. 5 დ).
დენვერი: ოიერსონი (34 ქ), ენტონი (23 ქ), ბლეიკი (10 ქ. 9 პ), კემბი (4 ქ. 9 მ. 5 დ).

8 ᲐᲠᲘᲚᲘ

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ-ᲚᲔᲒᲚᲘᲕᲚᲔᲜᲓი 87:82
29:17, 15:24, 20:17, 23:24
დეტროიტი: ჰემილტონი (21 ქ. 6 პ), მაკდაესი (18 ქ. 13 მ), ბილაპსი (14 ქ. 12 პ. 5 მ), პრინსი (12 ქ. 6 მ), უეზერი (11 ქ. 10 მ), რ. უოლსი (10 ქ).
კლიველენდი: ლ. ჯეიმსი (20 ქ. 6 პ. 5 მ), ილგაუსკასი (15 ქ. 6 მ), ჰაველიჩი (14 ქ. 6 მ), ჰოუზი (12 ქ. 7 მ), გუდენი (10 ქ. 12 მ).

ᲚᲔᲘᲙᲠᲡი-ᲤᲘᲜᲘᲥᲡი 107:115
26:27, 22:27, 25:20, 34:41
ლეიკერსი: ბრაიანტი (34 ქ. 7 პ), პარკერი (25 ქ. 6 პ. 5 მ), ტერიაფი (19 ქ. 15 მ), ოდომი (10 ქ. 14 მ. 5 პ).
ფინიქსი: ნეში (25 ქ. 11 პ. 5 მ), ბარბოზა (23 ქ), ბელი (22 ქ), ა. სტაუდმაიერი (19 ქ. 9 მ), მერეინი (12 ქ. 7 მ).

ᲛᲐᲘᲐᲛᲘ-ᲨᲐᲠᲚᲝᲢᲘ 103:111 (ო)
22:29, 27:28, 19:21, 24:14, 11:19
მაიამი: მოურნინგი (20 ქ. 3 დ.), კაპონო (19 ქ), მ. ო'ნილი (15 ქ. 9 მ. 5 დ).
შარლოტი: ჯ. უილსი (30 ქ. 8 მ. 4 რ), ფეფტონი (16 ქ. 4 რ), ერმანი (15 ქ), ოკაფორი (13 ქ. 8 მ. 4 რ), ნაითი (13 ქ. 7 პ. 3 რ).

ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ-ᲩᲘᲙᲐ�გᲝ 103:89
23:22, 23:28, 31:17, 26:22
ტორონტო: ე. პარკერი (27 ქ), ბოში (22 ქ. 11 მ), გრეგი (19 ქ. 9 მ), დიქსონი (17 ქ).
ჩიკაგო: გორდონი (27 ქ. 7 მ. 6 პ), დენეი (13 ქ), პაირიხი (13 ქ).

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚ.-ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ 109:104 (ო)
24:30, 17:23, 29:21, 23:19, 16:11
ფილადელფია: იგუოდალა (25 ქ. 8 პ), ჯო სმიტი (18 ქ. 8 მ), დალეგბერი (16 ქ. 10 მ. 3 დ).
ატლანტა: ლიუ (24 ქ. 8 მ. 9 პ), მ. უილიამსი (21 ქ. 9 მ), ჯოშ სმიტი (16 ქ).

ᲡᲐᲥᲠᲐᲛᲔᲜᲢᲝ-ᲞᲘᲣᲡᲢᲝᲜი 106:112
24:21, 33:29, 23:31, 26:31
საკრამენტო: მარტინი (24 ქ), გარისა (16 ქ), აბდულ-რაჰმანი (15 ქ. 8 მ), არტესტი (10 ქ. 7 მ. 3 პ. 5 რ).
პიუსტონი: მაკგრეიდი (40 ქ. 8 მ. 10 პ), იაო მინი (18 ქ), ჰეფი (18 ქ).

ტᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲘ

ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡი

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

რუსეთი-საფრანგეთი	**3:2**
0:1 ნიკოლაი დავიდენკო-პოლ ანრი მანგინი	6:2, 2:6, 1:6, 5:7
1:1 მიხაილ იუჟნი-რიშარ გასკე	6:2, 6:3, 6:7(8), 5:7, 8:6
2:1 ანდრეევი/დავიდენკო-გროსანი/ლეროა	3:6, 7:5, 6:3, 3:6, 6:3
2:2 იგორ ანდრეევი-სებასტიან გროსანი	5:7, 5:4, 6:2, 3:6, 3:6
3:2 მარატ საფინ-პოლ ანრი მანგინი	7:6(3), 6:3, 6:2
ბელგია-გერმანია	**2:3**
0:1 კრისტოფ როჯერი-ფრენ ჰაასი	7:6(4), 5:7, 4:6, 2:6
0:2 ოლივიე როხუსი-ფილიპ კოლშრაიბერი	3:6, 5:7, 6:7(4)
0:3 კ. როხუსი/ო. როხუსი-კოლშეინი/ჰასეი	6:4, 2:6, 3:6, 1:6
1:3 კრისტოფ როხუსი-მიხაელ კოლშეინი	3:6, 6:4, 6:4
2:3 დ�ნ ნორგანი-ფილიპ კოლშრაიბერი	6:2, 6:3
აშშ-ესპანეთი	**4:1**
1:0 ჯეიმს ბლეიკი-ფრენ როდეოდ	6:4, 6:3, 6:4
2:0 ენდი როდიკი-ფერნანდო ვერდასკო	7:6(5), 6:1, 6:4
3:0 ბ. ბრაიანი/მ. ბრაიანი-ლოპეზი/ვერდასკო	7:5, 6:3, 3:6, 7:6(5)
3:1 ბობ ბრაიანი-როდეოდ	4:6, 4:6
4:1 ჯეიმს ბლეიკი-ლოპეზი	6:3, 7:6(3)
შვეიცარია-არგენტინა	**4:1**
1:0 მარატ იოანაინი-დავიდ ნალბანდიანი	6:7(3), 7:6(2), 6:1, 7:6(0)
2:0 როჯერ ფედერერი-ხუან დელ პოტრო	7:6(4), 7:6(4), 6:4
3:0 პიოლინი/მ. იოანაინი-კანასი/ნალბანდიანი	4:6, 7:6(4), 6:2, 6:3
4:0 იონას ბიორკმანი-სებასტიან პრიეტო	6:1, 6:2
4:1 როგერ ფედერერი-ხუან დელ პოტრო	6:7(7), 4:6

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ ᲮᲕᲓᲔᲑᲘᲐᲜ

რუსეთი-გერმანია
შვეიცარია-აშშ

WTA

Bausch @ Lomb-ᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲐᲛᲔᲚᲘᲐ ᲐᲘᲚᲔᲜᲓი (ᲐᲨᲨ). 2-8 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. ᲗᲘᲮᲜᲐᲠᲘ
ᲡᲐᲠᲘᲖᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ: 600 000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ

1/4 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ნადია პეტროვა (რუს, 1)-დინარა საფინა (რუს, 5) 6:4, 7:5; **ანა ივანოვიჩი (სერ, 6)**-ელენა იანკოვიჩი (სერ, 2) 7:5, 6:3; **სიბილ ბამერი (ავსტრია, 13)**-დანიელა პანტუხოვა (სლოვაკ, 3) 2:6, 6:2, 6:2; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 8)**-ვენუს უილიამსი (აშშ) 6:2, 6:3.

1/2 ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ნადია პეტროვა (რუს, 1)-სიბილ ბამერი (ავსტრია, 13) 7:6 (4), 6:1; **ტატიანა გოლოვინი (საფ, 8)**-ანა ივანოვიჩი (სერ, 6) 6:4, 3:6, 6:4.

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ტატიანა გოლოვინი (საფ, 8)-ნადია პეტროვა (რუს, 1) 6:2, 6:1.

ფორმულა 1. მალაიზიის დიდი პრიზი

მაკლარენისა და ალონსოს რევანში



ალონსოს ფინიშთან თანაგუნდელები მიეგებნენ

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატი ახალი დანყებულია და იმაზე მარჩიელობა, თუ ვინ გახდება პლანეტის ჩემპიონი, ჯერ ნაადრევია, მაგრამ პირველი ორი რბოლა უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ დაახლოებით მაინც განვსაზღვროთ იმ პილოტთა სია, რომლებიც პირველობისთვის იბრძოლებენ.

ავსტრალიის შემდეგ ასეთი გამოკვეთილი ფიგურა "ფერარის" ფინელი ახალწვეული **კიმი რაიკონენი** იყო, რომელმაც რბოლაც დიდი უპირატესობით მოიგო და ნაფინიშევს მეტოქეებს "საკონტროლოც" დაახალა – მანქანას ვზოგავდიო. ესე იგი, მეტიც შეეძლო, მაგრამ თავი შეიკავა.

რა თქმა უნდა, ყველა იფიქრებდა, რომ "ფერარის" დუეტს ბადალი არ უნდა ჰყოლოდა. მაგრამ სანამ ჩემპიონობის პრეტენდენტთა სია ორ კაცამდე შემცირდებოდა, "მაკლარენის" გამოცდილმა შეფმა **რონ დენისმა** აღმოაჩინა, რომ წითელ ბოლიდებს უწვეულო, დრეკადი ძირი აქვთ, რაც მათ აეროდინამიკურ მახასიათებლებს მნიშვნელოვნად აუმჯობესებს.

რა თქმა უნდა, დენისმა ფია-ს ტექნიკურ კომისიას აუწყა ყოველივე. შედეგად კი მალაიზიაში მარანელოელებისა და "ბეემვეს" ბოლიდები სტანდარტული, ნისტი ძირებით გამოვიდნენ საასპარეზოდ. მათმა ინჟინრებმა ისიც კი განაცხადეს, ეს ბევრს არაფერს დააკლებს ჩვენს მანქანებსო, მაგრამ ფაქტი სხვას გვეუბნება – კუალა ლუმპურში "ფერარის" ბოლიდების მელბურნული უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. კვალიფიკაციასა და თავისუფალ პრაქტიკებზე ორი თანაბარი შესაძლებლობის ლიდერი – "ფერარი" და "მაკლარენი" ვიხილეთ.

სანამ უშუალოდ რბოლაზე მოვყვებოდეთ, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ "ფერარი" და რაიკონენი მალაიზიას სერიოზული პრობლემებით ეწვივნენ. საქმე ისაა, რომ ჯერ კიდევ მელბურნში, ავსტრალიის დიდი პრიზის მიწურულს, ფინელი პილოტის ბოლიდის ძრავს გარკვეული პრობლემები შეექმნა. მისი გაგრილების სისტემა გასაგრილებელ სითხეს კარგავდა.

"ფერარის" ინჟინრები ძრავის შეცვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ. ეს კი იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ კიმი რბოლას კვალიფიკაციაზე ნაჩვენებ შედეგთან შედარებით, ათი პოზიციით უკანა ადგილიდან დაიწყებდა. მაგრამ ძრავის ტელემეტრიული ჩანაწერების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ, მარანელოელებმა გარისკვა გადაწყვიტეს. ფია-ს ტექნიკური კომისიისგან მათ იმის ნებართვა მიიღეს, რომ რაიკონენის მანქანიდან ძრავი მოეხსნათ და შესამოწმებლად იტალიაში გადაეგზავნათ. იქიდან დაბრუნებული აგრეგატი კი კვლავ შასიზე დაამაგრეს და... რაიკონენს ფინიშამდე პრობლემა არ შექმნია, მაგრამ ზემოთ რომ ბოლიდის ძირზე მოგიყევით, ის უპირატესობა აღარ ჰქონდა. შედეგად, კვარცხლბეკის ორივე უმაღლესი საფეხური ინგლისური საჯინიბოს მრბოლელებმა დაიკავეს.

კვალიფიკაციაზე კი, თითქოს ყველაფერი ისე იყო, როგორც ავსტრალიაში – "სკუდერიას" პილოტმა კვლავ საუკეთესო შედეგი აჩვენა. ოღონდ, ამჯერად სასტარტო რიგის პირველი პოზიცია ბრაზილიელმა **ფელიპე მასამ** დაიკავა. რაიკონენი მესამე შედეგს დასჯერდა, მათ შორის კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** ჩადგა, მეოთხე შედეგი კი დიდი პრიზების ცირკის პირველმა შავკანიანმა პილოტმა, ბრიტანელმა **ლიუის ჰემილტონმა** აჩვენა.

ავტოსპორტის მოყვარულები ავსტრალიის დიდი პრიზის გამეორების სანახავად მოვემზადეთ, მაგრამ სტარტზევე სცენარი რადიკალურად შეიცვალა და ეს ერთბაშად ორი კაცის, "მაკლარენის" პილოტების დამსახურებაა.

ალონსომ რაიკონენზე ოდნავ უკეთესი სტარტი აიღო და ფინელს პირველ მოსახვევში შეასწრო. თითქოს, გადასარევი სტარტი არ ჰქონდა – პირველ მოსახვევთან ის მეოთხე მივიდა, მაგრამ მოწინავეთა შორის პოზიციების გადანაწილებით ისარგებლა და ჯერ ფინელს შიდა რადიუსიდან ამოუდგა გვერდში, შემდეგ კი, მოსახვევიდან გასასვლელში, ბრაზილიელსაც გაუსწორდა. მასამ სცადა პოზიციის შენარჩუნება, მაგრამ შემდეგი მოსახვევის გამოსასვლელში ალბიონელს მაინც დაუთმო და ლიდერობიდან უცებ მდევრის როლში მოგვევლინა.

ახლა ბევრი რამ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს შეძლებდა ჰემილტონი ორი წითელი ბოლიდის შეკავებას. სანამ მასა და რაიკონენი ბრიტანელს ებრძოდნენ, ესპანელმა საკმაოდ სოლიდური ჰანდიკაპის შექმნა მოასწრო. რა თქმა უნდა, ეს მასას არ გამოჰპარვია და მან სწრაფადვე სცადა დაკარგული პოზიციის დაბრუნება. მაგრამ მეორე ცდაზე სერიოზულად შეცდა და გასწრებას ვინ ჩივის, მესამე პოზიციაც დათმო და წინ არამხოლოდ თანაგუნდელი, "ბეემვეს" გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდიც** გაუშვა.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ, ლიდერი მხოლოდ პიტსტოპებზე, დროებით თუ იცვლებოდა. ალონსომ ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია და ფინიშის ხაზით პირველმა გადაკვეთა. ჰემილტონმა მეორე ადგილი დაიკავა, მისგან წამში კი ფინიშს რაიკონენმაც მიაღწია.

ამ მოგებით, ალონსოს პირად ჩათვლაში 18 ქულა დაუგროვდა და პირველ ადგილზე გადაინაცვლა, მას ორი ქულით ჩამორჩება რაიკონენი. კიდევ ორი ქულით უკანაა ჰემილტონი. კონსტრუქტორთა პირველობაზე კი ლიდერი "მაკლარენია", რომელიც 9 ქულას უგებს "ფერარის".

მერაბ ლორთქიფანიძე

310.408 კმ (ტრასის სიგრძე 5.543 კმ, 56 წრე)

1. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენი)	1:32:14.930
2. ლიუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი)	+00:17.557
3. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი)	00:18.339
4. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე ზაუბერი)	00:33.777
5. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი)	00:36.705
6. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო)	01:05.638
7. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა)	01:10.132
8. ჯეიკე კოვალაინენი (ფინეთი, რენო)	01:12.015
9. ალექსანდერ ვურცი (ავსტრია, უილიამს-ტოიოტა)	01:29.924
10. მარკ უებბერი (ავსტრალია, რედ ბულ-რენო)	1:33.556
11. რუბენს ბარიჩელო (ბრაზილია, ჰონდა)	1 წრე
12. ჯენსონ ბატონი (ბრიტანეთი, ჰონდა)	1 წრე
13. ტაკუმა სატო (იაპონია, სუპერ აგური-ჰონდა)	1 წრე
14. სატო სეიდი (აშშ, ტორო როსო-ფერარი)	1 წრე
15. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა)	1 წრე
16. ენდრუ დევიდსონი (ბრიტანეთი, სუპერ აგური-ჰონდა)	1 წრე
17. ვიტანტონიო ლიუზი (იტალია, ტორო როსო-ფერარი)	1 წრე
18. რობერტ კუბიცა (პოლონეთი, ბეემვე-ზაუბერი)	1 წრე
- ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა)	13 წრე
- დევიდ კულტარდი (ბრიტანეთი, რედ ბულ-რენო)	19 წრე
- ალექსანდრ ალბერსი (პოლონეთი, სპაიკერ-ფერარი)	48 წრე
- ანტონიო სუტილი (გერმანია, სპაიკერ-ფერარი)	56 წრე

შენიშვნა: "-" - რბოლას გამოთიშულები

უსწრაფესი წრე: ლიუის ჰემილტონი 1:36.701, 22-ე წრე

პირადი ჩათვლა

1. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, მაკლარენი) 18; 2. კიმი რაიკონენი (ფინეთი, ფერარი) 16; 3. ლიუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, მაკლარენი) 14; 4. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია, ბეემვე ზაუბერი) 10; 5. ჯანკარლო ფიზიკელა (იტალია, რენო) 7; 6. ფელიპე მასა (ბრაზილია, ფერარი) 7; 7. იარნო ტრული (იტალია, ტოიოტა) 2; 8. ნიკო როსბერგი (გერმანია, უილიამს-ტოიოტა) 2; 9. ჯეიკე კოვალაინენი (ფინეთი, რენო) 1; 10. რალფ შუმახერი (გერმანია, ტოიოტა) 1.

კონსტრუქტორთა პირველობა

1. მაკლარენ-მერსედესი 32 ქულა; 2. ფერარი 23; 3. ბეემვე ზაუბერი 10; 4. რენო 8; 5. ტოიოტა 3; 6. უილიამს-ტოიოტა 2.

ეროვნული სპორტული ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თაკაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კოგა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგორიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
გაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგნატაშვილი

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერეკლე მანათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
აზმეტელის 10ª,
0159 თბილისი
(ფილიმი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. ბარდა კვირისა

ფეხბალი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

6 აპრილი

ქაროლინა-ატლანტა 1:4
0:2, 0:0, 1:2
გოლები: 0:1 კოვალჩუკი-41 (ტკაჩუკი-30, სიმი-12), 0:2 დუპუი-14 (ლარსენი-6), 0:3 ბარნა პოსა-43 (ბელანეტე-17), 1:3 ე. კარტერი-11 (სტალმანი-22, ე. სტაალი-39), 1:4 ბელანეტე-17 (სატონი-14, ეიარ. კოზლოვი-52).

დალასი-ანაჰაიმი 2:1 (ბ)
0:0, 0:1, 1:0, 0:0
გოლები: 0:1 სელიანე-46 (ე. მაკდონალდი-51, ო'დონელი-15), 1:1 მოროუ-15 (ნადი-42).
ბულტები გაიტანეს: ნადი (დალასი).

ტამპა ბეი-ფლორიდა 2:7
0:4, 0:2, 2:1
გოლები: 0:1 პორტონი-31 (ბოუმისტერი-30, პელტონენი-16), 0:2 უელში-2 (ვან რანი-24), 0:3 ბუტი-3, 0:4 ბოუმისტერი-11 (პელტონენი-17, ო. იოკინენი-50), 0:5 სპრუკსი-1 (ვან რანი-25), 0:6 ო. იოკინენი-38 (პელტონენი-18, მონტგომერი-8), 0:7 კრუსი-1, 1:7 ჯ. უორდი-8 (პერენი-23, ბ. რიჩარდსი-45), 2:7 ტარნავსკი-5 (პრატი-7, ფედერტენკო-20).

7 აპრილი

ფილადელფია-ატლანტა 2:4
0:1, 1:2, 1:1
გოლები: 0:1 შატანი-27 (მ-ა. ბერგერონი-31, ჯ. ბლეიკი-28), 0:2 იანინი-18 (პოტა-38, ჯ. ბლეიკი-29), 0:3 პარკი-8 (ტამბელინი-6, პილუტერი-20), 1:3 ბანიე-40 (რ. ჯონსი-16, ნუბალ-28), 2:3 მ. რიჩარდსი-9 (რ. ჯონსი-17), 2:4 პოტი-6 (რ. სმიტი-32, ჰანტერი-15).

ვაშინგტონი-ბაფალო 0:2
0:2, 0:0, 0:0
გოლები: 0:1 დ. რუა-20 (აფინოგენოვი-36, ტალინდერი-10), 0:2 ტ. კონოლი-1 (ჰეილი-8).

დეტროიტი-ჩიკაგო 7:2
3:0, 4:1, 0:1
გოლები: 1:0 დ. მარკოვი-4 (მოოლბი-5, კლირი-20), 2:0 სამუელსონი-13 (ლანგი-33, დ. მარკოვი-12), 3:0 კალდერი-14 (სამუელსონი-18, ჰუდლერი-10), 4:0 პოლმსტრო